

ბულინგის პრევენცია ადრეული ასაკიდან

სახელმძღვანელო ადრეული განათლების
სპეციალისტებისთვის



თბილისი
2019

**სახელმძღვანელო მომზადებულია WORLD VISION
საქართველოს მიერ ადრეულ ასაკში ბავშვის
განვითარების ტექნიკური პროგრამის ფარგლებში**

პროგრამის კოორდინატორი და ტექნიკური ექსპერტი: ცირა ბარქაია
სახელმძღვანელოს ავტორები: თამთა კუხალეიშვილი და ნანა გოჩიაშვილი
ენობრივი რედაქტორი: მზეჭაბუკ ქირია
დიზაინი: მიაკო ნადირაძე
ილუსტრატორი: ნინო ჯიჯავაძე

სარჩევი

შესავალი	4
თავი 1. ადრეული ბავშვობა და ბუღინგი (ნანა გოჩიაშვილი).....	8
ბუღინგი.....	9
ბუღინგის ფორმები	14
ბუღინგის პროცესში ჩართული ბავშვების როლები.....	15
ბუღინგის ნიშნები	17
რატომ ახორციელებენ ბავშვები ბუღინგს.....	18
თავი 2. სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვი (თამთა კუხალიშვილი).....	26
როგორია სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვი?.....	27
სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვის განვითარების ხელშეწყობი ფაქტორები	31
ადრეული განათლების სპეციალისტის როლი	33
თავი 3. საგანმანათლებლო სტრატეგიები (თამთა კუხალიშვილი)	44
ბუღინგის პრევენცია ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობით	49
საგანმანათლებლო პერსონალი	49
ზრუნვა საკუთარი სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ზრდაზე.....	50
ჯგუფის ერთობა.....	53
საგანმანათლებლო გარემო.....	57
ბუღინგის პრევენცია სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობით.....	60
ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობა.....	64
პროსოციალური ქცევის ჩამოყალიბება	70
ბუღინგის დროს და მერე.....	73
თავი 4. მშობლებთან მუშაობის სტრატეგიები (ნანა გოჩიაშვილი)	80
თავი 5. მართვის სტრატეგიები (ნანა გოჩიაშვილი)	86
პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების მნიშვნელობა	96
თანამშრომლების გაძლიერების სტრატეგიები.....	104
გამოყენებული ლიტერატურა	110

შესავალი

„ბუღინგის პრევენცია ადრეული ასაკიდან“ არის სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს საქართველოში ერთ-ერთ პირველ მცდელობას, სკოლამდელ დაწესებულებებს შესთავაზოს ბუღინგის პრევენციასა და ინტერვენციასთან დაკავშირებული ხედვა და კონკრეტული სტრატეგიები სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის.

სახელმძღვანელოს მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში ბუღინგისგან თავისუფალი გარემოს შექმნა, ბავშვების განვითარების პროცესში ისეთი მიდგომების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებში სოციალურ-ემოციური კომპეტენციებისა და მედეგობის განვითარებას. ადრეული განათლების სპეციალისტებს სტრატეგიების დეტალური გამოყენების საშუალებით ის აძლევს კონკრეტულ მიმართულებებს, - როგორ მიაღწიონ აღნიშნულ ძირითად მიზანს. ადრეულ განათლებაში გამოყენებული მსგავსი მიდგომები წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ ბავშვები მომავალში ეფექტურად გაუმკლავდნენ ძალადობასა და ბუღინგთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

ბუღინგის პრევენცია მნიშვნელოვანია, რადგან მას ნეგატიური გავლენა აქვს პროცესში ჩართულ ყველა ინდივიდზე როგორც იმწუთიერად, ისე მომავალში. ბუღინგის ციკლში ჩართულ ბავშვებს მომავალში უფრო მეტად შეიძლება განუვითარდეთ დეპრესია, შფოთი; იზრდება სირთულეები სწავლის დროს და წარმოიშობა ჯანმრთელობის პრობლემები, ბავშვები ადვილად შეიძლება გახდნენ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულები და მოძალადეები, ეს ყველაფერი კი ინდივიდის გარდა უარყოფითად აისახება მთლიანად საზოგადოებაზე.

სახელმძღვანელო ფოკუსს აკეთებს ადრეულ ბავშვობაზე, ანუ, დაბადებიდან 8 წლამდე ასაკზე. თითოეულ ასაკს თავისი სპეციფიკური მახასიათებლები აქვს, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბუღინგთან ბრძოლა ითვალისწინებდეს სწორედ ბავშვების ასაკობრივ თავისებურებებს. სახელმძღვანელოში ადრეული განათლების სპეციალისტი ნახავს თეორიულ და პრაქტიკულ რჩევებს, როგორ უნდა შეუწყოს ხელი სკოლამდელი დაწესებულების დონეზე ბუღინგის პრევენციას და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს ეფექტური ინტერვენცია. ამ ასაკიდან ბუღინგის პრევენციაზე მუშაობა რამდენიმე მიზეზის გამო უნდა მოხდეს.

პირველი: ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ამჟღავნებენ ბულინგს, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთ ფორმას.

მეორე: პრევენცია ყოველთვის უფრო დაბალხარჯიანი და ეფექტური ჩარევაა, ვიდრე მასზე რეაგირება.

მესამე: მშობლებისთვის განკუთვნილი სკოლამდელი დაწესებულების სერვისები ამარტივებს ბულინგის პრევენციულ ღონისძიებებში მათ ჩართვას.

სკოლამდელ დაწესებულებებში ბულინგის პრევენცია საშუალებას იძლევა, რომ ბავშვების დიდი ნაწილი მომავალში აღარ ჩაერთოს ბულინგის ციკლში. ასევე, მათ ეცოდინებათ, როგორ შეაჩერონ და გაუმკლავდნენ მას. ასეთი ბავშვები სოციალურ-ემოციურად კომპეტენტურები და მედეგები არიან.

ვინ არის სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვი? რა არის ბულინგი? როგორი უნდა იყოს პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიები? როგორ უნდა ჩაერთოს მშობელი ბავშვის ადრეულ განათლებაში და რა როლი აქვს ადრეული განათლების სპეციალისტს აღნიშნულ პროცესში? – ამ თემებზე პასუხი მოცემულია სახელმძღვანელოს ხუთ თავში.

პირველი თავი ეთმობა ბულინგის განმარტებას, მის ფორმებს, ბულინგის ციკლში ჩართული ბავშვების მახასიათებლებს და მიზეზებს, რის გამოც ბავშვები ახორციელებენ მას. **მეორე თავში** მოცემულია ინფორმაცია: რა არის სოციალურ-ემოციური კომპეტენციები და მედეგობა? როგორია ასეთი ბავშვი? რომელი ფაქტორები უწყობს ხელს სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვის განვითარებას და როგორია ადრეული განათლების სპეციალისტის როლი აღნიშნულ პროცესში? **მესამე თავი** ეხება საგანმანათლებლო სტრატეგიებს, რომლებსაც ადრეული განათლების სპეციალისტი იყენებს უშუალოდ ბავშვებთან მუშაობის დროს. კერძოდ, ის ყურადღებას ამახვილებს ბულინგის პრევენციისა და მომხდარ ფაქტებზე ინტერვენციის სტრატეგიებზე ხარისხიანი ადრეული განათლების უზრუნველყოფითა და ბავშვის სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობით. **მეოთხე თავი** მიმოიხილავს მშობლებთან მუშაობის სტრატეგიებს და მათი ჩართვის მნიშვნელობას სკოლამდელ დაწესებულებაში ბულინგისგან თავისუფალი გარემოს შექმნაში. **მეხუთე, ბოლო თავი** ეთმობა მართვის სტრატეგიებს, რომელიც მიმოიხილავს მუნიციპალიტეტისა და სკოლამდელი დაწესებულების დონეზე ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის მიმართულებით გასატარებელ ზოგად ღონისძიებებს.





ადრეული ბავშვობა და ბულინგი

ადრეული ბავშვობა და ბულინგი

ადრეული ბავშვობა არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პერიოდი ბავშვის განვითარებაში. ეს არის ზრდისა და ცვლილებების ყველაზე სწრაფი პერიოდი. ამ დროს ხდება სხეულისა და ნერვული სისტემის ჩამოყალიბება, მობილობის ზრდა, კომუნიკაციის უნარებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების ჩამოყალიბება. პატარებს უყალიბდებათ ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა მშობლებისა და სხვა მზრუნველების მიმართ, რომლებისგანაც იღებენ საკვებს, მხარდაჭერას, დაცვას. ასეთი გზით მათ უყალიბდებათ ინდივიდუალობა და იზრდება მათი შესაძლებლობები. ბავშვები აყალიბებენ საკუთარ მნიშვნელოვან ურთიერთობებს თავისი ასაკის ბავშვებთან, უფრო პატარებთან და დიდებთან. ასეთი კავშირებით ისინი სწავლობენ მოლაპარაკებებსა და აქტივობების გაზიარებას, პრობლემების გადაჭრას, შეთანხმებების მიღწევასა, უყალიბდებათ სხვების მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა. პატარებს აქტიურად უყალიბდებათ შეხედულებები იმ სამყაროს ფიზიკური, სოციალური და კულტურული მახასიათებლების შესახებ, სადაც უწევთ ცხოვრება, აქტიურად სწავლობენ მათ მიერ განხორციელებული აქტივობებიდან და ბავშვებსა და ზრდასრულებთან ინტერაქციის გზით. ადრეული ბავშვობის წლები არის ფუნდამენტური ბავშვების ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის, ემოციური უსაფრთხოებისთვის, კულტურული და ინდივიდუალური იდენტობის ჩამოყალიბებისა და კომპეტენციების განვითარებისათვის.

ბავშვის განვითარება სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის, ინდივიდუალურ მახასიათებლებზე, გენდერზე, საცხოვრებელ პირობებზე, ოჯახის ორგანიზებაზე, მზრუნველობის ფორმებსა და ადრეული განათლების სისტემაზე.

ადრეული ბავშვობა მიმართული უნდა იყოს ბავშვის ინდივიდუალობის, უნარების, მენტალური და ფიზიკური შესაძლებლობების სრულად განვითარებისკენ. აღნიშნული მიღწეული უნდა იყოს ბავშვზე ორიენტირებული, მეგობრული და მისი ღირსებისა და უფლებების პატივისცემაზე დამყარებული მიდგომებით.

მნიშვნელოვანია, რომ ადრეული ბავშვობის დროს განათლება და ფუნქციონირება იყოს ადამიანის უფლებების სწავლების მიდგომაზე. ასეთი გზით პატარები იაზრებენ როგორც საკუთარ, ისე თანატოლების უფლებებს, ერთმანეთის პატივისცემას და თანაგრძნობას.

ადრეული ბავშვობის დროს განსაკუთრებით იზრდება ბავშვებზე დამაზიანებლად მოქმედი გავლენების რისკი. განსაკუთრებით ეს ეხება ყველაზე მეტად დაუცველ ბავშვებს. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეებს, ბავშვებს, რომლებიც მიტოვების ან ინსტიტუციაში მოხვედრის რისკის წინაშე იმყოფებიან, უგულებელყოფის მსხვერპლ ბავშვებს. სკოლამდელ დაწესებულებას განსაკუთრებული ვალდებულება აქვს, გაითვალისწინოს ყველა ბავშვის აღნიშნული ინდივიდუალური საჭიროება მომსახურების მიწოდების დროს. ეს გარემოება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც ინკლუზიური განათლება წარმოადგენს საგანმანათლებლო მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განათლების სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებაში ხარისხიანი განათლების მიწოდებას ყველა ბავშვისათვის მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, მიუხედავად ბავშვის ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული და სხვა მახასიათებლებისა.

ბულინგი

ბულინგი - ხანგრძლივი, მიზანმიმართული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის მხრიდან მეორე ბავშვზე ან ჯგუფზე, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში.

მჩაგვრელი - ბულინგის, ანუ, აგრესიული ქცევის ერთ-ერთი ფორმის განმახორციელებელი. ის იყენებს აგრესიულ ქცევებს სხვებისთვის ზიანის მიყენების მიზნით (დაშინებით, მუქარით, დამცირებით და სხვა აგრესიული ქცევით).

მსხვერპლი - ბავშვი, ვისკენაც არის მიმართული მჩაგვრელის აგრესიული ქცევა.

ბულინგის შემსწრე - ბავშვი, ვის თვალწინაც ხორციელდება ბულინგი, მაგრამ თვითონ არც მსხვერპლია და არც მჩაგვრელი.

ფიზიკური ბულინგი - სხვა ბავშვის სხეულის ან საკუთრების დაზიანება.

ვერბალური ბულინგი - დამამცირებელი სახელების შერქმევა, შეურაცხყოფელი შენიშვნები, დაცინვა, შევიწროება, მუქარა და დაშინება.

სოციალური ბულინგი - რეპუტაციის შელახვა, ჯგუფიდან გარიყვა, დამცირება, უარყოფითი სხეულის ენის გამოყენება, შეურაცხყოფელი წარწერების გამოქვეყნება.

კიბერბულინგი - დამაზიანებელი ტექსტის ან ფოტოს გამოქვეყნება ინტერნეტის, სატელეფონო ზარის ან ციფრული კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით.

ბულინგის პრევენციის სტრატეგიები - მოიცავს მართვის ისეთ სტრატეგიებს, მშობელთან მუშაობის ფორმებს, ადრეული განათლების სპეციალისტების ბავშვებთან მუშაობის მიდგომებს და აქტივობებს, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებაში ქმნის ძალადობისგან თავისუფალ გარემოს და მიმართულია ბულინგის, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთი ფორმის, პრევენციისკენ.

ბულინგის ინტერვენციის სტრატეგიები - მოიცავს ისეთ მიდგომებს, რომლებიც ძალადობისა და ბულინგის არსებულ შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ბულინგი ხშირად აღქმულია, როგორც მოზრდილებისა და თინეიჯერებისთვის დამახასიათებელი ქცევა. ადრეულ ასაკში, რომელიც რვა წლამდე პერიოდს გულისხმობს, უმეტესად წარმოუდგენელია ბულინგის შემთხვევები, განსაკუთრებით 3 წლის ბავშვებში. რთულია იმის წარმოდგენა, რომ ადრეული ასაკის ბავშვს შეუძლია გამიზნულად სხვისი დაზარალება, თუმცა, კვლევები და ამ ასაკის ბავშვებთან მომუშავე ადამიანების პრაქტიკულ გამოცდილება ადასტურებს, რომ ბულინგი ადრეულ ასაკშიც ხდება.

კვლევები ადრეულ განათლებაში ბულინგის სიხშირის შესახებ მწირია, თუმცა უკვე დაგროვილი მეცნიერული მტკიცებულებები თვალსაჩინო ხდის, რომ ბულინგი ადრეულ ასაკშიც ხდება (Vlachou et al., 2013, 2011).

ფინეთში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ სკოლამდელი დაწესებულების ბავშვების (3-დან 6 წლამდე) 12,6% იყო ჩართული ბულინგში (Kirves & Sajaniemi, 2012). შვეიცარიაში ჩატარებული კვლევის

მიხედვით კი ბავშვების 36% იყო ჩართული ბულინგში (Vlachou et al., 2011). ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ იმ ბავშვების ერთ მეოთხედზე მეტი, რომლებიც გარკვეული ნიშნებით განსხვავდებიან სხვა ბავშვებისგან, ჩართულები არიან ბულინგში, როგორც მსხვერპლნი (Son et al., 2012).

ბავშვები თანატოლებთან ინტერაქციით და მათი გავლენით იყალიბებენ ქცევით ჩვევებსა და ღირებულებებს, რაც ფორმირდება ადრეულ ბავშვობაში და შესაძლებელია შეიცვლოს თანატოლებთან და ზრდასრულებთან ინტერაქციით ან, შესაბამისად, ქცევები, რომლებიც მოზრდილ ასაკში მიაგვრელად აყალიბებს ბავშვს, შესაძლებელია დაიწყოს სწორედ სკოლამდელ დაწესებულებაში. ეს ბავშვები სწავლობენ, როგორ მიიპყრონ თანატოლების ან გარშემო მყოფი ზრდასრულების ყურადღება. ეს დასწავლილი ქცევა გრძელდება შემდეგშიც.

მედიიდან მიღებული ინფორმაცია გავლენას ახდენს ბავშვებზე. ისინი შეიძლება სწავლობდნენ აგრესიულ ქცევებს ტელევიზორიდან, ფილმებიდან, ძალადობის მომენტების შემცველი თამაშებიდან. ამასთან, საგანმანათლებლო მედია შესაძლებელია ბავშვს აძლევდეს მიმართულებას, განივითაროს მოლაპარაკებასა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები თანატოლებთან.

როცა ბავშვი შედის სკოლამდელ დაწესებულებაში, მას თან მოჰყვება ოჯახიდან, მედიიდან და თანატოლებთან ურთიერთობის დროს მიღებული გამოცდილება. მაგალითად, დაძმებთან და სხვა ბავშვებთან ურთიერთობის გამოცდილება ასევე განაპირობებს მათ ქცევას სკოლამდელი დაწესებულების გარემოში. აღნიშნული გამოცდილებებიდან ზოგიერთი შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც მომავალში ბულინგის ციკლში ბავშვის ჩართვას უწყობდეს ხელს. მაგალითად, ზოგიერთ ოჯახში ბავშვებს აქვთ ძალადობის, ფიზიკური დასჯის, ვერბალური და ფიზიკური აგრესიის გამოცდილება. ეს გამოცდილება შეიძლება ბავშვს უბიძგებდეს იმისკენ, რომ თვითონაც იყოს აგრესიული ქცევის ინიციატორი.

ამის საპირისპიროდ, ნაკლებად ძალადობრივ და მზრუნველ გარემოში გაზრდილი ბავშვები, რომლებმაც შეიძინეს პოზიტიური სოციალური უნარები, ნაკლებად არიან ბულინგის მიმართ მიდრეკილნი.

„ჩემია!“ – ეს ის შეძახილია, რომლითაც ბავშვი ცდილობს სათამაშოს

გამოგლეჯას მეორე ბავშვისთვის: ჩვეულებრივი ქცევაა ადრეულ ასაკში და, როგორც წესი, არ მიიჩნევა ბულინგად. თუმცა, თუ მასწავლებელი თავისი დაკვირვების შემდეგ აღმოაჩენს, რომ ეს ქცევა მეორდება და მიმართულია კონკრეტული ბავშვისკენ, მომავლში ის შეიძლება იქცეს ვერბალური ან ფიზიკური ბულინგის ფორმად.

ბავშვებს ხშირად მოსწონთ ჩურჩულით ლაპარაკი და უცნაურ ან სასაცილო სახელებს არქმევენ ერთმანეთს. თუმცა, როცა ჩურჩულით ვრცელდება ჭორი ან პირადი ინფორმაცია, როცა უცნაური და სასაცილო სახელების დაძახება ხდება დამაზიანებელი და ბავშვი გამუდმებით ერთ კონკრეტულ ბავშვს ამოიჩემებს, ეს საბავშვო თამაშები უკვე შეიძლება შეფასდეს ბულინგად.

თამაში ზოგიერთი ბავშვისათვის წარმოადგენს შესაძლებლობას, მანიპულირება მოახდინოს, ან გაავრცელოს თავისი ძალაუფლება სხვა მოთამაშეებზე. ზოგჯერ ბავშვები ავალებენ სხვა ბავშვებს, შეასრულონ მამის, დედის, ბავშვის როლი, - ეს არ შეიძლება ბულინგად შეფასდეს. თუმცა, როცა ასეთი დავალება მუდმივად მიემართება ერთ ბავშვს, რათა მან შეასრულოს ნაკლებად სასურველი როლი (მაგალითად, ცუდი ადამიანი), არ ითვალისწინებს როლების გაცვლას და აკონტროლებს ამ ბავშვის ქცევას (სთხოვს იყეფოს, იტიროს, წავიდეს ციხეში), ეს ქცევა არის წინასწარ მოფიქრებული და შეიცავს ბულინგის მნიშვნელოვან კომპონენტებს.

„ხშირად რთულია ერთმანეთისგან გაარჩიო უბრალო ძიძგილაობა და მიზანმიმართული ჩაგვრა. ხშირად ბავშვები აგრესიულ ქცევას აკეთებენ მოფერებით ან გაუაზრებლად, რის გამოც არ ხდება მასზე ყურადღების გამახვილება. რეალურად ეს ასე არ არის. ერთი ბავშვი ჩქმეტდა ყველას ისე, რომ უსივდებოდათ ბავშვებს ხელები. მშობელი ამას აღიქვამდა, როგორც ხუმრობას. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ის ჩქმეტას ყოველთვის მიზანმიმართულად იყენებდა, რათა სასურველ ნივთს დაუფლებოდა ან ვინმესთვის თამაშის უფლება არ მიეცა“

თამუნა, აღმზრდელი

ადრეულ ასაკში ბავშვის მიმართვა/დამოკიდებულება თანატოლისადმი: „შენ არ შეგიძლია ჩემთან ერთად ითამაშო“, ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს, რომ ის მიზანმიმართულად რიყავს ვინმეს, მაგრამ მომავალში ეს ქცევა შეიძლება ადვილად გარდაიქმნას სოციალურ ბულინგად, რადგან ხშირად არ ექცევა სათანადო ყურადღება კონკრეტული ქცევის შედეგებს ხანგრძლივ პერსპექტივაში.

ბულინგის პრევენციისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია ცოდნა, რას ნიშნავს ის და მაქსიმალური ყურადღება. კარგი ის არის, რომ ბულინგი ექვემდებარება პრევენციას სათანადო ფასილიტაციით ან დროული ჩარევით.

მოკლედ ბულინგის შესახებ

ტერმინი „ბულინგი“ აღწერს ქცევათა ფართო სპექტრს, რომელმაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს თანატოლის საკუთრებაზე, სხეულზე, გრძნობებზე, ურთიერთობებზე, რეპუტაციასა ან/და სოციალურ სტატუსზე. უფრო კონკრეტულად, ბულინგი არის არასასურველი, აგრესიული ქცევა ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის მიერ სხვა ბავშვზე. ის მოიცავს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სოციალურად დამაზიანებელ განმეორებად ქცევებს; ხშირად ხდება ისეთ გარემოში, სადაც ბავშვების თავმოყრა ხდება, ასევე ონლაინ სივრცეში. ასეთი ქცევით თანატოლები მიზანმიმართულად ცდილობენ სხვის დამცირებას ან/და დაზიანებას.

ბულინგი არის აშკარა და აგრესიული ქცევის ფორმა, რომელსაც ერთდროულად სამი მახასიათებელი აქვს:

- **ემსახურება რაღაც მიზნის მიღწევას** - მიაგვრელისათვის ის არის გზა, რომ რაღაც კონკრეტულ მიზანს მიაღწიოს. მაგალითად, დაიმორჩილოს თანატოლი, შეასრულებინოს რაღაც მოქმედება.
- **არის დამაზიანებელი** - უარყოფითად და დამაზიანებლად აისახება მსხვერპლის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სოციალურ მდგომარეობაზე.
- **არის განმეორებადი** - მიაგვრელის ქცევა არ არის ერთჯერადი და ხშირად მიმართება ერთსა და იმავე თანატოლს.

„ჩემი დაკვირვებით, თუ ხშირად მეორდება აგრესიული ქცევა, ბავშვი ცდილობს დაჩაგროს სხვა ბავშვი, შიში ჩაუწეროს დამორჩილების მიზნით და მიზანმიმართულად აკეთებს ამას, უკვე ჩარევა საჭირო. ხშირი და ყურადღებიანი დაკვირვება უნდა“

ნინო, აღმზრდელი

„მყავს ერთი ბავშვი, რომელსაც ყოველთვის უნდა, რომ ყველა კუბი მისი იყოს, მან ააწყოს. ძალიან უყვარს კუბებით თამაში. არასოდეს ურტყამს სხვას, უბრალოდ, თამაში უნდა. ეს სხვა შემთხვევაა“

სოფი, აღმზრდელი

ბულინგის ფორმები

არსებობს ბულინგის სამი ძირითადი ფორმა: ფიზიკური, ვერბალური, სოციალური. ხშირად საკმაოდ რთულია აღწერო ყველა ქცევა, რომელიც შეიძლება იყოს ბულინგი, თუმცა მაინც შესაძლებელია მათი დახასიათება:

ქცევები, რომლებიც **ფიზიკურ ბულინგად** შეიძლება შევაფასოთ, არის შემდეგი: დარტყმა, წამორტყმა, ხელის კვრა, მხრის გაკვრა, ფეხის წამოკვრა, წიხლის კვრა. ასევე, სხვისი ნივთის აღება ან მოპარვა, ჩქმეტა და ა.შ. იძულება, რომ რაღაცისგან თავი შეაკავოს ან გააკეთოს მსხვერპლმა (საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ) ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ ფიზიკურ ბულინგად, რადგან ის ხშირად გამოწვეულია ვილადის მითითებით ან ქცევით. ყველა აღწერილი ფორმა შესაძლებელია იყოს დამაზიანებელი, თუნდაც ის „თამაშის“ ფორმით განხორციელდეს.

ცხრა წლის ბავშვი: „როცა მათ ხელი მკრეს მეგობრების წინაშე და დავეცი, ეს იყო ძალიან უხერხული და არაპუნური“.

ვერბალური ბულინგის ფორმებია: სახელების შერქმევა, შეურაცხმყოფელი შენიშვნები, მუდმივი დაცინვა, შევიწროვება, მუქარა და დაშინება, ზურგსუკან ჩურჩული.

როდესაც ბულინგზე ვფიქრობთ, უმეტესად გვახსენდება ფიზიკური და ვერბალური ბულინგი. თუმცა, ბულინგი შესაძლებელია იყოს **სოციალური**, რომლის ფორმებიც არის: ურთიერთობებით მანიპულაცია და მისი დანგრევის მცდელობა (მაგალითად, ვინმეს მეგობრის გამოყენება მის წინააღმდეგ), რეპუტაციის შელახვა, ჯგუფიდან ვინმეს გარიყვა, დამცირება, უარყოფითი სხეულის ენის გამოყენება, შეურაცხმყოფელი წარწერების გამოქვეყნება, მაგალითად, ინტერნეტსივრცეში. სოციალურ

ბულინგზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა ვახსენოთ **კიბერბულინგი**, რომელიც მოიცავს დამაზიანებელი ტექსტის ან ფოტოს გამოქვეყნებას ინტერნეტის, სატელეფონო ზარის ან სხვა ციფრული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

„შარშან მქონდა შემთხვევა: დედინაცვალი ბრდიდა ბავშვს, არ აქცევდა ყურადღებას მის ჩაცმასა და ჰიგიენას, პატარა დასახლებებში მალე გრცელდება ინფორმაცია, მშობლები ან სხვა ზრდასრულები ხშირად ამახვილებენ ამაზე ყურადღებას ბავშვების თანდასწრებით. ჯგუფშიც არავის უნდოდა მასთან თამაში. თუ მივიდოდა ეს ბავშვი სხვებთან, სკამს შორს დგამდნენ, გაიწიე იქეთ, არ მოხვიდე ჩვენთანო, ეუბნებოდნენ“

ნინო, აღმზრდელი

ბულინგის პროცესში ჩართული ბავშვების როლები

ბულინგის უკავშირდება თანატოლებს შორის სპეციფიკური ურთიერთობის ჩამოყალიბებას. **ბულინგის ციკლში ჩართულ ბავშვებს შორის როლები შემდეგნაირად ნაწილდება: მჩაგვრელი, მსხვერპლი და ბულინგის შემსწრეები.**

მჩაგვრელი არის ბულინგის, ანუ, აგრესიული ქცევის ერთ-ერთი ფორმის, განმახორციელებელი. ის ყველაზე ხშირად იყენებს თვალსაჩინო აგრესიულ ქცევებს, თუმცა ზოგჯერ შეიძლება მიმართავდეს უფრო რთულად შესამჩნევ ქცევებსაც. ბიჭები და გოგონები შესაძლოა ამ თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ბიჭებისთვის უფრო დამახასიათებელია პირდაპირი ფიზიკური და ვერბალური ფორმების გამოყენება საკუთარი ძალაუფლებისა და დომინანტური როლის მისაღებად. ასეთი ქცევები არის შედარებით ადვილად აღმოსაჩენი. ამის საპირისპიროდ გოგონები უფრო ხშირად იყენებენ სოციალური ბულინგის დახვეწილ და არაპირდაპირ ფორმებს, რომლებიც უფრო მეტად იწვევს თანატოლის გარიყვას ჯგუფიდან. მაგალითად, ისინი შესაძლოა მიმართავდნენ მანიპულაციებს მეგობრებს შორის, ჭორების გავრცელებას, საიდუმლოების მოყოლას. ასეთი ქცევების დაფიქსირება უფრო მეტ ყურადღებასა და დაკვირვებას მოითხოვს ზრდასრულებისგან.

„გოგონებში აგრესიას უფრო ყურადღების გარეგნობაზე გამახვილება იწვევს. ამ ფორმას ძირითადად ერთმანეთის დაჩაგვრის მიზნით მიმართავენ. ბიჭები უფრო ფიზიკურ ძალას იყენებენ, მე უფრო მაგარი ვარ, – ეს არის მათი მთავარი გზავნილი

ნინო, აღმზრდელი

ბიჭები უფრო ფიზიკურ ძალას იყენებენ ხოლმე. ამ ბოლო დროს მქონდა შემთხვევა გოგონებთან, ტანსაცმელზე რომ ამახვილებდნენ ყურადღებას ან გარეგნობაზე. ამას წინათ მოვიდა ერთი და შემომჩივლა, ასე მითხრეს, წვრილი ფეხები გაქვსო. მე რე მშობელთან მქონდა საუბარი. ადრეც იყო ასეთი შემთხვევა და კაბას აღარ იცვამსო“

სოფო, აღმზრდელი

მსხვერპლი არის ის, ვისკენაც მიემართება მჩაგვრელის აგრესიული ქცევა. ის ერთი ან ორი თანატოლის მიერ შეურაცხყოფილი, სოციალურად გარიყული, დაშინებული და თავდასხმის (ვერბალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური) ობიექტია.

მჩაგვრელი ბავშვი ირჩევს ჯგუფიდან პოტენციურად დაუცველ ბავშვს. თუ ეს უკანასკნელი მის ქცევას სიჩუმით, ტირილით პასუხობს ან გარბის კონკრეტული ტერიტორიიდან, მჩაგვრელი აღწევს „წარმატებას“ და შერჩეული ბავშვი უფრო და უფრო მეტად ხდება მსხვერპლი.

მსხვერპლად ჩამოყალიბების რისკის ქვეშ არიან ძირითადად ბავშვები, რომლებიც აღქმულები არიან პოტენციურად დაუცველებად, მორიდებულები, შეშინებულები და დამთმობები. გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, ბავშვი ბუღინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, როდესაც ის რაიმე ნიშნით განსხვავდება სხვა ბავშვებისგან. მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები და ა.შ. შესაძლებელია, მათ ხშირად არ ჰქონდეთ განვითარებული სოციალური და ასერტული უნარები, ამიტომ ზრდასრულებისგან მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ ემოციების გამოხატვის, სოციალური თამაშისა და კონფლიქტის მოგვარების უნარების განვითარებაში.

„ერთი კვირის წინ მივიღეთ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვი. ძალიან შეშინდა, არ ვიცოდი, როგორ მიიღებდნენ. ამის შესახებ როგორც კი გავიგე, შევედი ჯგუფში, ვუთხარი ბავშვებს, რომ ხვალ ახალი

გოგონა გვეყოლებოდა, რომელმაც ქართული კარგად არ იცის, თქვენს ლაპარაკს გაიგებს, მაგრამ შეიძლება ვერ დაგელაპარაკოთ, უნდა დავეხმაროთ, რომ ქართულად ლაპარაკი ისწავლოს-მეთქი. მკითხეს, რატომ ვერ ლაპარაკობდა ქართულად. ვუთხარი, რომ საქართველოში არ ცხოვრობდა, ამერბაიჯანელი იყო. ეს ბავშვი რომ მოვიდა ჯგუფში, ვთხოვეთ, თავის ენაზე რამდენიმე სიტყვა ესწავლებინა. ძალიან კარგად მიიღეს“

მაკა, აღმზრდელი

ბულინგის შემსწრე არის ბავშვი, ვის თვალწინაც ხორციელდება ბულინგი, მაგრამ თვითონ არც მსხვერპლია და არც მჩაგვრელი. სხვა ბავშვები ხშირად შორიდან აკვირდებიან ბულინგის ფორმირების პროცესს. ისინი სწავლობენ, მათი რომელი ქცევა იქნება დაჯილდოებული და დასაშვები მჩაგვრელის მიერ. იმ შიშის გამო, რომელიც მათ ამ პროცესში უყალიბდებათ, პასიური ქცევით ან/და მსხვერპლის გარიყვით ისინი დასაშვებს ხდიან მჩაგვრელი ბავშვის ქცევას. ბულინგის შემსწრე შეიძლება ყველა გახდეს. მათ ან არ იციან როგორ მოიქცნენ ასეთ შემთხვევებში, ან ფიქრობენ, რომ ეს მათი საქმე არ არის, ან კიდევ ეშინიათ, თვითონაც არ გახდნენ მსხვერპლები. კონფლიქტის მოგვარების უნარის განვითარება არის ის, რაზეც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამხვილონ ზრდასრულებმა.

აღსანიშნავია, რომ თითოეულმა ბავშვმა შესაძლოა სხვადასხვა როლი მოირგოს. მაგალითად, შესაძლებელია, რომ ბავშვი თავის ჯგუფში მჩაგვრელი იყოს და როდესაც ეზოში გადის და სხვა ჯგუფის ბავშვებიც მათთან ერთად თამაშობენ, ის მსხვერპლის როლს ირგებდეს. ბულინგის პრევენცია და მასზე რეაგირება გულისხმობს მუშაობას არა მხოლოდ მჩაგვრელთან, არამედ მსხვერპლთან და ბულინგის შემსწრე ბავშვებთან მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით. ამიტომ მნიშვნელოვანია, დაკვირვება და გაგება, რა როლს ირგებს თითოეული ბავშვი, რომელიც ბულინგის პროცესშია ჩართული, რა საჭიროებები აქვს მას.

ბულინგის ნიშნები

ბულინგს აქვს ნეგატიური გავლენა პროცესში ჩართულ ყველა ინდივიდზე. ბავშვებს, რომლებიც მსხვერპლები არიან, უფრო მეტად შეიძლება განუვითარდეთ დეპრესია, შფოთი, იზრდება სწავლის სირთულეები,

თავს იჩენს ჯანმრთელობის პრობლემები. მხაგვრელი ბავშვები შეიძლება ადვილად გახდნენ მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულები, ზრდასრულობისას – მოძალადეები ოჯახში. ამასთან, აღნიშნული შედეგები შეიძლება გამოვლინდეს როგორც იმშუთიერად, ისე მოგვიანებით.

ბულინგი, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთი სახე, კონკრეტულ შედეგებს იწვევს ჯგუფში, ირღვევა ბავშვებს შორის კომუნიკაცია, რთულდება საერთო აქტივობების განხორციელება და ა.შ. მნიშვნელოვანია, ზრდასრულები ყურადღებით იყვნენ, დააფიქსირონ ბულინგის არსებობა ჯგუფში და ყურადღება მიაქციონ მასთან დაკავშირებულ ნიშნებს. ბულინგის მსხვერპლ ბავშვს: უჭირს ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა და კონცენტრაცია; ის:

- მოულოდნელად კარგავს ინტერესს ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის მიმართ;
- ხშირად მოწყენილია;
- თანატოლების ნაცვლად უფროსთან კომუნიკაციას ანიჭებს უპირატესობას;
- ხშირად ამბობს, რომ ავად არის;
- ხშირად უჩივის დაღლილობას;
- მოულოდნელად იცვლის დამოკიდებულებას ჭამისადმი, უარს აცხადებს ჭამაზე;
- იცვლის ქცევას;
- ხშირად ტირის;
- ხშირად იცვლის განწყობას;
- იწყებს საუბარს, რომ არ მოსწონს თავისი თავი და ა.შ.

რატომ ახორციელებენ ბავშვები ბულინგს

ბავშვები ბულინგს სხვადასხვა მიზეზის გამო მიმართავენ. ზოგჯერ ისინი არიან იმპულსურები და არ ფიქრობენ საკუთარ ქცევასა და შედეგებზე. მათ ხშირად უნდათ დომინანტურობა სხვებთან შედარებით, ცდილობენ ძალაუფლების დემონსტრირებას და სხვების გაკონტროლებას. მოსწონთ საკუთარი თავის ზრდასრულად წარმოჩენა თანატოლების თანდასწრებით. ეს მათ ანიჭებს გარკვეულ სოციალურ სტატუსს. შესაძლებელია, ჰქონდეთ უფრო მეტი ოჯახური პრობლემა და საკუთარი

იმედგაცრუება და სიბრაზე გადაჰქონდეთ სხვებზე. ამ დროს ისინი ირჩევენ ისეთ თანატოლებს, რომლებიც უფრო სუსტად გამოიყურებიან.

ზოგიერთი მჩაგვრელის ქცევა გამოწვეულია იმით, რომ მას აქვს ძალადობის გამოცდილება სახლში ან არ მიეწოდებოდა მისი ასაკის შესაბამისი განათლება ადრეულ ბავშვობაში. შესაძლებელია, არ მომხდარა მათთვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების სწავლება და გაზიარება, როგორიცაა **პატივისცემა, თავაზიანობა, ემპათია და სიკეთე**.

ძალადობა და უგულებელყოფა

ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა შესაძლებელია განხილული იყოს როგორც ერთ-ერთი რისკფაქტორი ბულინგის ციკლში ბავშვის ჩართვის თვალსაზრისით. ამიტომ, ბულინგის პრევენციაზე საუბრის დროს მნიშვნელოვანია ვიცოდეთ: რას გულისხმობს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა, ძალადობის ფორმები, მისი გავლენა და შედეგები, ადრეული განათლების სპეციალისტის როლი ძალადობის ამოცნობისა და მასზე რეაგირების მიმართულებით.

ბავშვზე ძალადობად მიჩნეულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის მის განვითარებას, ფიზიკურ და ფსიქიკურ კეთილდღეობას. ძალადობა წარმოადგენს ბავშვის უფლებების დარღვევას. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ეს ქმედება ხორციელდება განზრახ თუ მის გარეშე, ამოსავალი არის ის დამაზიანებელი გავლენა, რაც ბავშვს მიადგება ძალადობით.

ბავშვზე ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ისეთი სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა: ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, იძულება და უგულებელყოფა.

მოძალადე შეიძლება იყოს ოჯახის წევრი, ნათესავი, კაცი თუ ქალი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ნებისმიერი პირი, რომელიც მუშაობს ან ურთიერთობს ბავშვთან.

ძალადობის ამოცნობისა და მასზე დროული რეაგირებისათვის აუცილებელია იცოდეთ, რა ფორმით, როგორ შეიძლება ის გამოვლინდეს:

ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ცემაში, სხეულის დაზიანებაში, ხელის კვრაში, ჩქმეტაში, შენჯღრევებაში, თავისუფლების შეზღუდ-

ვასა და ბავშვის ფიზიკურ დასჯაში. ფიზიკური ძალადობის აღმოჩენის მიზნით, ადრეული განათლების სპეციალისტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა: ჩალურჯებები ბავშვის სხეულზე; ბავშვი ფრთხება მოულოდნელ ხმებზე ან მასთან მიახლოებისას; იწყებს აგრესიულ ქცევას, გაღიზიანებულია ან პირიქით, განსაკუთრებით დამყოლია.

სექსუალური ძალადობა გულისხმობს ბავშვთან სქესობრივ კავშირს ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მისი უმწეობის გამოყენებით, ასევე სქესობრივ კავშირს ძალადობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ყველა სხვაგვარ მოქმედებას, რომელსაც აქვს სექსუალური ელფერი და რომელშიც ბავშვი მოტყუებით ან იძულებით არის ჩართული, სექსუალური შინაარსის შენიშვნები, ინტიმურ ადგილებზე შეხება, თვალთვალი, ბავშვისათვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სასქესო ორგანოების ჩვენება, ბავშვთან სექსზე ღია საუბარი და ა.შ. ადრეული განათლების სპეციალისტმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს: ბავშვი ხშირად ამბობს, რომ მისი სხეული უშნოა, ინტერესდება სექსუალური ქმედებებით, ასაკთან შეუსაბამო სექსუალური ცოდნა აქვს, სხვა ადამიანების თანდასწრებით იხდის და ა.შ.

„ერთი გოგონა მყავდა, იხდიდა ტანსაცმელს, ბიჭებს ეძახდა, მიყურეთო. ძალიან რთული შემთხვევა იყო. მერე გადამისამართდა ეს ამბავი სოციალურ მუშაკთან და ისინი ჩაერთვნენ, როგორც ვიცი, ოჯახიდანაც გამოიყვანეს ეს ბავშვები“

ნინო, ადრეული განათლების სპეციალისტი

ფსიქოლოგიური ძალადობის დროს ხდება ბავშვის შეურაცხყოფა, დამცირება, მუქარა, რაც იწვევს ბავშვის ღირსების შელახვას ან დაშინებას. ადრეული განათლების სპეციალისტს შეიძლება ექვი გაუჩნდეს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ფსიქოლოგიურ ძალადობაში, თუ მას აქვს თავდაჯერებულობის ნაკლებობა, დაბალი თვითშეფასება, ზედმეტად პასიურია.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება ბავშვის უზრუნველყოფის შეზღუდვა საკვებით, საცხოვრებელი ან განვითარებისათვის საჭირო სხვა პირობებით, სახეზეა **ეკონომიკური ძალადობა**. ხშირად არის შემთხვევა, რომ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულებით ბავშვს რაიმე ქმედების განხორციე-

ელებას აიძულებს ზრდასრული, რომლის ასეთი ქმედებაც წარმოადგენს ძალადობის ერთ-ერთ ფორმას - იძულებას. მაგალითად, იძულება იქნება ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, წვრილმან ვაჭრობაში.

ძალადობის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა **უგულებელყოფა**. აღნიშნული გულისხმობს ბავშვის ფიზიკური (კვება, ჰიგიენა), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობას, განათლების უფლების შეზღუდვას, საფრთხისგან დაუცველობას. მაგალითად, უგულებელყოფად ჩაითვლება, თუ ბავშვს არ მიეწოდება საკვები, ტანსაცმელი, აკლია შესაბამისი მოვლა, არ არის დაცული მისი ჰიგიენა და ა.შ. უგულებელყოფის აღმოჩენისა და მასზე რეაგირების განხორციელების მიზნით, ადრეული განათლების სპეციალისტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ ნიშნებზე, როგორიცაა: ბავშვი ფიზიკურად სუსტად არის განვითარებული, ცოტას იწონის, უმეტესად არის მოუწესრიგებელია, უსუფთაო, სეზონისათვის შეუფერებელი ტანსაცმელი აცვია, არა აქვს აუცილებელი ნივთები, ხშირად არის დაღლილი, ხშირად არ დადის სკოლამდელ დაწესებულებაში და ა.შ.

„ერთი ბავშვი მყავდა. ისეთი ჭუჭყიანი და სუნიანი შემოვიდა ჯგუფში, რომ არ ვიცი... გული არ მიგივიდოდა. ისეთი ქურთუკი ეცვა, რომ თითს ვერ მიაკარებდი. ამ ბავშვს სოფელში ერქვა ბინძური, წუნკალა. ყველგან გარიყული იყო, უბანშიც და ბაღშიც. ხელს არავინ ჰკიდებდა, არავინ უკდებოდა გვერდით, ყოვლად მიუღებელ ბავშვად იყო ქცეული“

თამუნა, ადრეული განათლების სპეციალისტი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა ბუღინგის ციკლში მისი ჩართვის რისკფაქტორად უნდა განვიხილოთ. აღნიშნული პირდაპირ არის დაკავშირებული იმ შედეგებთან, რასაც იწვევს ძალადობა, რა ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს ის.

ძალადობა უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების შემდგომ ცხოვრებაზე, ემოციურ და ქცევით თავისებურებებზე. მაგალითად, ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ხშირად აგრესიული ქცევა გადაეცეთ სხვა ბავშვებზე, ნებისმიერი გზით ცდილობენ ზრდასრულები-სა და თანატოლების ყურადღების მიპყრობას, ხშირად იქცევიან აგრესიულად და გამომწვევად. ასევე ხშირია ძალადობის მსხვერპლ

ბავშვებში დაბალი თვითშეფასება, რის გამოც უჭირთ თანატოლებთან კონტაქტი.

„მქონდა ისეთი შემთხვევა, რომ ორი ტრავმირებული ბავშვი მყავდა ჯგუფში. ერთს ოპერაციის შემდეგ ვიზუალურად ეტყობოდა იარა თვალებზე, მეორეს ოჯახში ძალადობის გამოცდილება ჰქონდა. ყველამ იცოდა ამ ბავშვის მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის შესახებ, თავად იწყებდა ამაზე საუბარს. შეეძლო უცებ მისულიყო რომელიმე ბავშვთან, ეჯანჭლარებინა. მივიდოდა ამ მეორე ბავშვთან და პირდაპირ ეკითხებოდა, რატომ გაქვს თვალი გამოთხრილი, არ მომწონხარ. ეს მეორე სულ ჩუმად იყო, ვერაფერს ეუბნებოდა“

ნინო, ადრეული განათლების სპეციალისტი

„ორი წლის წინ ჩემთანგადმოვიდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, ბიძა სცემდა, ამწყვდევდა. არავის უნდოდა მიღება, რთული ქცევები ჰქონდა. მთელი დღე ლაპარაკობდა, რომ გაიზრდებოდა, თავი უნდა მოეკლა, ოღონდ იქამდე ბიძას მოკლავდა. მოჰქონდა სათამაშო თოფი, დასდევდა ბავშვებს, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. სხვა ბავშვებს ართმევდა ყველაფერს, თუ რამე ეჭირათ, ურტყამდა“

მარინა, აღმზრდელი





სოციალურ-ემოციურად
კომპეტენტური და მედეგი ბავშვი

სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედვი ბავშვი

კეთილდღეობა – მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ბედნიერებისა და კმაყოფილების განცდას.

ის გულისხმობს ინდივიდის ეფექტიან სოციალურ ფუნქციონირებასა და მიდრეკილებას

ოპტიმიზმისადმი, ღიაობისადმი, ცნობისმოყვარეობისა და მედეგობისადმი;

მედეგობა – ინდივიდის უნარი, გაუმკლავდეს და მოერგოს ყველა ტიპის ცხოვრებისეულ გამოწვევასა და ცვლილებას ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და გარემოს რესურსების გამოყენებით;

სოციალურ-ემოციური განვითარება – ბავშვის ხელშეწყობა, განივითაროს ის უნარები, რომლებიც სჭირდება პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად როგორც გარშემომყოფებთან, ისე საკუთარ თავთან, იმისათვის, რომ შეიცნოს საკუთარი თავი, ისწავლოს საკუთარი ემოციების, იმპულსებისა და ქცევის მართვა, ისწავლოს თანამშრომლობა და სხვა;

მიკუთვნებულობა, მიკუთვნებულობის განცდა – ბავშვის, როგორც პიროვნების, გარდაუვალი ნაწილი. ბავშვს მიკუთვნებულობის განცდა აქვს თავისი ოჯახის, ირგვლივ არსებული კულტურული ჯგუფისა (სამემობლო, თემი) და კიდევ უფრო ფართო საზოგადოების მიმართ მის ცხოვრებაში.

ბავშვის მიკუთვნებულობის განცდა ურთიერთდამოკიდებულების საჭიროების აღიარებაა მის მიერ და მის მიმართ, აყალიბებს იდენტობას და ბავშვს აღაქმევინებს, თუ ვინ არის ის და როგორი შეიძლება იყოს/გახდეს;

ბულინგი, ანუ, ქცევა, რომლის მიზანიც თანატოლის დაჩაგვრაა, მიუღებელია როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ასევე სრულიად საზოგადოებაში. თვალსაჩინოა ის ზიანი, რომელიც ამ არასასურველ ქცევას მოაქვს და, შესაბამისად, თვალსაჩინოა ბულინგთან ბრძოლის საჭიროებაც, მისი პრევენცია კი შესაძლებელია. ჩარევა ბულინგის პრევენციის მიზნით მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო მალე მოხდება ეს ჩარევა. ად-

რეული ასაკი, როგორც ასაკი, როდესაც ასეთი ქცევები იწყებს ჩამოყალიბებას, არის საუკეთესო დრო პრევენციისთვის. ამიტომაც, რომ ადრეული განათლების დაწესებულებები წარმოადგენენ ადგილს, სადაც არის შესაძლებელი ბულინგის ქცევის ეფექტურად გაქრობა.

ბულინგის პრევენცია ნიშნავს ამ ქცევის თავიდან არიდებას, ანუ, ხელის შეშლას, რომ ეს ქცევა საერთოდ გამოვლინდეს. პრევენციის ეფექტურად განსახორციელებლად პრაქტიკოსებმა ორი რამ უნდა იცოდნენ:

1. რისი არიდება სურთ - რა არის ბულინგი?
2. რისი მიღება სურთ - რას ვთავაზობთ ბულინგის სანაცვლოდ?

ადრეული განათლების სპეციალისტმა უნდა იცოდეს, თუ რომელ ქცევას უნდა იყენებდეს ბავშვი არასასურველი ქცევის ნაცვლად. ეს ცოდნა ეხმარება მას, ხელი შეუწყოს ბავშვს, რათა მან ჩანაცვლოს არასასურველი ქცევა სოციალურად მისაღები ქცევით. ასევე ეხმარება სპეციალისტს იმის ცოდნა, თუ რა სპეციფიკური მახასიათებლებით გამოირჩევა ბავშვი, რომელიც არ არის მიაგვრელი ან/და მსხვერპლი და რა ფაქტორები ზემოქმედებს მასზე, - ეს მას აძლევს საშუალებას, ეფექტურად და პროაქტიურად განახორციელოს ბულინგის პრევენცია. შესაბამისად, ბულინგთან ბრძოლა გულისხმობს ზრუნვას იმაზე, რომ ბავშვები ჩამოყალიბდნენ სოციალურ-ემოციურად კომპეტენტურ და მედეგ პიროვნებად.

როგორია სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვი?

სოციალურ-ემოციური კომპეტენციები არის ისეთი უნარების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და სოციუმში საარსებოდ.

ემოციური კომპეტენციები - გულისხმობს ოთხ ძირითად უნარს - ემოციების გაგება, ემოციების გამოხატვა, ემოციებისა და ქცევის მართვა და იმპულსებისა და ქცევის მართვა. ეს კომპეტენციები დაკავშირებულია ინდივიდის უნართან, შეძლოს საკუთარი და სხვების ემოციების ამოცნობა და სახელდება, მათზე საუბარი და ქმედებებისა და გამომეტყველების მი-

სადაგება ემოციებთან და სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება საკუთარი ემოციების, იმპულსებისა და ქცევის მართვის მიზნით (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 3, საგანმანათლებლო სტრატეგიები გვ.44).

პროსოციალური ქცევა - გულისხმობს სოციალურად მისაღები ქცევების ჩამოყალიბებას და მათ გამოყენებას საზოგადოებაში. ეს კომპეტენციები უკავშირდება პოზიტიურ ურთიერთობებს, მეგობრობას და ასერტულობას (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ თავი 3, საგანმანათლებლო სტრატეგიები გვ.44).

მედევობა არის უარყოფით მოვლენებთან გამკლავებისა და ადაპტირების უნარი. ის აძლევს ინდივიდს საშუალებას, გამოავლინოს ადაპტირების, მორგების უნარი ისეთ უარყოფით ვითარებებში, რომლებიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლისუნარიანობას ან განვითარებას. მედევობა პროცესია, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდის კომპეტენციებზე, გარემოში არსებულ მხარდამჭერ ფაქტორებსა და ინდივიდის მიერ ამ ფაქტორების გამოყენების უნარზე.

„ბექა ძალიან პატარა ასაკში დედის გარეშე დარჩა. დედის გარდაცვალება ოჯახში ყველასთვის ტრაგედია იყო. თავისთავად პატარა ბექას ძალიან გაუჭირდა დედის დაკარგვასთან გამკლავება, მამა და ბებიები ფიქრობდნენ, რომ ბექას არაფერი ესმოდა და ვერაფერს ხვდებოდა, რადგან მხოლოდ 5 წლის იყო. ამ პერიოდში ბექა ხშირად მოწყენილი იყო და მარტო თამაშობდა. ბავშვებთან თამაშისას ბექა ხშირად გამოხატავდა აგრესიას და ურთიერთობა კონფლიქტით მთავრდებოდა. ძალიან მეშინოდა, ბექა სულ ჩხუბობდა და ჩაგრავდა თანატოლებს, თითქმის არაფერი აინტერესებდა.“

ბექას ამ ტრავმის წინაშე მარტო ვერ დავტოვებდი, ამიტომ რამე უნდა მომეშოქმედებინა. პირველი, რაც გავაკეთე: გავიხსენე, რა უყვარს ყველაზე მეტად, რისი თამაში. სიამოვნებდა სასრილოზე სრიალი. ჯერ მხოლოდ მე და ბექა გავდიოდით ერთად; შემდეგ, როდესაც ჯგუფი ერთად გადიოდა ეზოში, ბექას შეეთავაზე, რომ სხვები ჩაერთო სასრილოზე გართობისას. ამან გაამართლა. შემდეგ ეზოში ბექას და მის თანატოლებს ვთხოვე, ერთად დაეხატათ დიდ ფურცელზე დღის გამოცდილება. გადავწყვიტე, რომ ბექას თანატოლებთან ურთიერთობა მსგავსი სტრატეგიით სხვა აქტივობებშიც დამერეგულირებინა. აღმოვაჩინე, რომ ბავშვის ურთიერთობა ლაღი გახდა. მესიამოვნა ის, რომ ბექასთვის უკვე არსებობდა გარემო, სადაც ის თავს კარგად გრძნობდა. ცხადია, იყო პერიოდები, როდესაც ბექა იწყებდა და ნატ-

რობდა დედას. არ ვიცოდი, რა მექნა. თუმცა ერთი, რაც ვიცოდი იყო ის, რომ მისი ემოციები არ უნდა დამეიგნორირებინა, ხშირად ვიხუტებდი გულში და ვეუბნებოდი, რომ ძალიან მიყვარს. მგონია, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრი რამე იყო გასაკეთებელი. ახლანდელი გადასახედიდან გავივლიდი კონსულტაცი-ას სპეციალისტთან და მივიღებდი რჩევებს, რა გამეკეთებინა ბავშვთან, რომელსაც დედა გარდაეცვალა“.

მანანა, აღმზრდელი

სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედევი ბავშვი არის ინდივიდი, რომელიც ახერხებს, რომ საკუთარი პოზიცია, სურვილები და მიზნები სამოგადოებისთვის მისაღებ ფორმებში გამოხატოს, დაიცვას საკუთარი თავი, პოზიცია, თანაგუნდელი და საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის სხვას მიმართოს და ამ ყველაფერს ახერხებს მაშინაც, როდესაც მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე დგას.

ადამიანი ამ უნარებით არ იბადება. მედეგობისა და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება სათანადო ხელშეწყობით მიიღწევა. „ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტი“ აღწერს, თუ როგორ ვითარდება მოცემული უნარები ადრეულ ასაკში. მაგალითად, მედეგობა, როგორც ერთ-ერთი კატეგორია, ისე არის წარმოდგენილი, რომ მოქცეულია დამოუკიდებლობისა და ადაპტური ქცევის სფეროს სტანდარტში - „ბავშვი ამჟღავნებს მოქნილობას და გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილებას უსადაგებს თავის ქცევას“.

ა.ე.დ ბავშვი ამჟღავნებს მოქნილობას და გარემოსა და ყოველდღიური საქმიანობის ცვლილებას უსადაგებს თავის ქცევას:

მოქნილობა	აქტიურად აკვირდება გარემოს.	ქცევის ცვლილებით მიაჩნშნებს, რომ ამჩნევს ახალ გარემოს.	მზრუნველის დახმარებით აღმოაჩენს და შეისწავლის ახალ გარემოებებს.	თავისუფლად გრძნობს თავს უცხო გარემოში, როდესაც მის გვერდით მზრუნველი იმყოფება, ცდილობს მისი თანდასწრებით შეიგნოს ახალი და უცნობი გარემო.
მედეგობა	იმეორებს წარუმატებელ მოქმედებებს (მაგ., დგება, ეცემა და ისევ დგება).		ქცევის დასასწავლად იმეორებს რთულ ქმედებებსა და საქმიანობებს.	თავდაჯერებულობის განცდისთვის იმეორებს ნაცნობ ქმედებებს.

სტანდარტში არსებული ეს ჩანაწერი გვკარნახობს მედეგობის განვითარებას. მოცემული ყველა ინდიკატორი ადრეულ ასაკშივე მიიღწევა. თითოეული ბავშვის განვითარების პროცესი ინდივიდუალურია და ხასიათდება განსხვავებული ტემპით. ამიტომ ადრეული განათლების სპეციალისტს უწევს თითოეულ ბავშვთან სხვადასხვა ინდიკატორზე და განსხვავებული ხანგრძლივობით მუშაობა, ყველასთვის საერთო კი თვითონ ეს ინდიკატორები და მათი თანმიმდევრობაა. ადრეული განათლების სპეციალისტი ბავშვთან მუშაობისას ცდილობს, ხელი შეუწყოს ყველა ზემოთ წარმოდგენილი ინდიკატორის გამოვლენას თანმიმდევრულად, რადგან ინდიკატორები ერთმანეთზე დაშენებულია: ბავშვი „სიმშვიდეს ინარჩუნებს, როცა რამე ისე არ ხდება, როგორც მას სურდა“ (ინდიკატორი 7), თუ ის უკვე „ქცევის დასასწავლად იმეორებს რთულ ქმედებებსა და საქმიანობებს“ (ინდიკატორი 2). თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფიქსაცია ერთ ინდიკატორზე უნდა მოხდეს. საგანმანათლებლო პროცესი თითოეულ ბავშვს უნდა აძლევდეს საშუალებას, რომ მან გამოავლინოს ქცევა, რომელიც, ერთი მხრივ, უკვე დასწავლილი აქვს და ისეთი ქცევაც, რომელიც მისი განვითარების უახლოეს ზონაშია – ეს უკვე რამდენიმე ინდიკატორის შესაბამის ქცევას შეიძლება გულისხმობდეს.

ადრეული ასაკის პერიოდი სენსიტიურია ზემოთ ჩამოთვლილი უნარების შეძენისა და განვითარებისთვის. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ამ უნარების განვითარება ბუნებრივად ხდება. თუ ამ დროს სათანადო უნარების განვითარებაზე განსაკუთრებული ყურადღება არ გამახვილდება, ამისთვის უფრო მეტი ენერგია, რესურსი და დრო გახდება საჭირო მოგვიანებით (ზოგი მიიჩნევს, რომ ზოგიერთი უნარი საერთოდ აღარც განვითარდება).

ამის გათვალისწინებით, სკოლამდელი დაწესებულება მნიშვნელოვანი ადგილია, სადაც ბავშვის განვითარება ხდება მედეგობისა და სოციალურ-ემოციური კუთხითაც, რაც თანატოლებს შორის ჯანსაღი, არაძალადობრივი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების წინაპირობაა როგორც ადრეულ ასაკში, ისე მომავალში.

სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედევი ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები

სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედევი ბავშვის ხელშემწყობი ფაქტორები შესაძლებელია ორ დიდ ჯგუფად დაიყოს:

ინდივიდში არსებული ფაქტორები მოიცავს:

- ბავშვის ტემპერამენტს;
- გენეტიკურად განპირობებულ მიდრეკილებებს;
- მის უნარებსა და კომპეტენციებს.

ინდივიდის გარეთ არსებული ფაქტორები მოიცავს:

- ოჯახისა და თანატოლთა სისტემებს;
- საგანმანათლებლო სისტემას;
- თემს.

როგორ მუშაობს სისტემები იმისთვის, რომ ხელშემწყობ ფაქტორებად მოგვევლინოს? რა პროცესების ხელშეწყობას ახდენენ? თითოეული ეს სისტემა სხვადასხვა დონეზე, მაგრამ ერთსა და იმავე პროცესებზე ზემოქმედებს. ისინი, პირველ რიგში, ხელს უწყობენ ბავშვის განვითარებას და, შესაბამისად, მისი მაქსიმალური პოტენციალის მიღწევას. მეორე მხრივ, სისტემები აყალიბებს და ამყარებს ინდივიდის პოზიტიურ წარმოდგენებს საკუთარი თავისა და სამყაროს მიმართ, ქმნის საფუძველს, რომ ბავშვი იყოს იმედიანი, ჰქონდეს მიკუთვნებულობის განცდა – რომ ის ოჯახის, კლასის, სამეზობლოს, ქვეყნის ნაწილია. მესამე, – ეს სისტემები მუშაობს, როგორც მხარდაჭერი რესურსები, რომლებიც ბავშვისთვის მარტივად ხელმისაწვდომია. სისტემაში არსებული ადამიანები – მშობლები, მეგობრები და მასწავლებლები – თავიანთივე სოციალურ-ემოციური კომპეტენციებისა და მედეგობის გამოვლენით უზრუნველყოფენ მოდელირებას და ბავშვების მხარდაჭერას.

სკოლამდელი დაწესებულება, რომელშიც ხარისხიანი ადრეული განათლების პროგრამა ხორციელდება, არის ხელშემწყობი ფაქტორი თითოეული ბავშვისთვის, რათა განვითარდეს მისი სოციალურ-ემოციური უნარები და მედეგობა.

■ ასეთ დაწესებულებაში არის მხარდაჭერა იმისათვის, რომ ბავშვმა მიაღწიოს თავის მაქსიმალურ პოტენციალს. ამ პროცესში ბავშვს

უვითარდება ის სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური და შემეცნებითი უნარები, რომლებიც დაკავშირებულია მედეგობასთან; პარალელურად უყალიბდება თვით-ეფექტურობის განცდა. ეს განცდა (რომ ეფექტური, თავდაჯერებული და უნარიანია) პირდაპირ კავშირშია ბავშვის სურვილსა და მოტივაციასთან, - უფრო განვითარდეს, მეტი ისწავლოს, უკეთ აღმოაჩინოს სამყარო და უპასუხოს გამოწვევებს.

■ სკოლამდელი დაწესებულება ხელშემწყობი ფაქტორია, რადგან აქ ყალიბდება მიკუთვნებულობის განცდა თვითონ ჯგუფის, ასევე სამეზობლოს/თემის და ქვეყნის მიმართ. ხარისხიანი განათლება საუკეთესო საშუალებაა მეგობრების შესაძენად და საკუთარი სოციალური უნარების განსავითარებლად, რაც შედეგად იძლევა მყარ და პოზიტიურ ურთიერთობებს ადამიანის ცხოვრებაში. ასეთ სკოლამდელ დაწესებულებასთან მიკუთვნებულობის განცდა მშობლებსაც აქვთ, რადგან ისინი ჩართული არიან მიმდინარე პროცესებში და პერიოდულად სასიამოვნო და საინტერესო დროს ატარებენ ამ ადგილას. მშობლების დამოკიდებულება ბავშვის მიკუთვნებულობის განცდას ამყარებს. ამასთანავე, ადგილობრივი ქალაქის/სოფლის, ქვეყნის და პლანეტის შესახებ ცოდნისა და გამოცდილებების გაზიარებით - იმით, რომ თემის წარმომადგენლები სტუმრად მიდიან დაწესებულებაში, ეცნობიან სხვადასხვა ქვეყნის კულინარიასა და დღესასწაულებს, მონაწილეობენ სოფელში/ქალაქში არსებული საჯარო პარკის დალაგებაში - ამ პროცესში ბავშვის პიროვნების მუდმივად აღიარებითა და მიღებით, იმით, რომ ბავშვებს ყოველთვის აქვთ საშუალება საკუთარი აზრი, საჭიროება, სურვილი გამოხატონ, იმით, რომ ტოლერანტულობა და განსხვავებულის მიმღებლობა მუდმივად წახალისებულია, ვიღებთ ბავშვს, რომელმაც იცის: სამეგობროს, სკოლამდელი დაწესებულების, საზოგადოების, ქვეყნის სრულფასოვანი და მიღებული წევრია.

■ თანამშრომლობისა და კომპეტენტურობის საუკეთესო მაგალითების ნახვა შეიძლება ხარისხიან სკოლამდელ დაწესებულებაში, რადგან ასეთ დაწესებულებაში, ერთი მხრივ, მუშაობენ სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური ადამიანები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ საკუთარ განვითარებაზე და, მეორე მხრივ, ეს ადამიანები თანამშრომლობენ თემში არსებულ სხვა სპეციალისტებთან. შედეგად კი ვიღებთ ბავშვს, რომლისთვისაც ნორმაა, რომ ადამიანები საკუთარ განვითარებაზე

ბრუნავენ, კომპეტენტურები არიან, დახმარებას სთხოვენ ერთმანეთს და ეხმარებიან კიდევაც.

ზემოთ მოკლედ აღწერილ სამ პროცესზე ზემოქმედებით ხდება თითოეული ბავშვის მედეგობისა და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა სკოლამდელ დაწესებულებაში. ამ პროცესებში კრიტიკულად მნიშვნელოვანია ადრეული განათლების სპეციალისტების, ანუ, იმ ადამიანების როლი, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებაში დანერგილი პროგრამის ხარისხს ქმნიან – ესენი არიან: აღმზრდელ-პედაგოგები, აღმზრდელები, მეთოდისტები და დირექტორები.

ადრეული განათლების სპეციალისტის როლი

მნიშვნელოვანია ზრდასრულის როლის გავლენის გაცნობიერება ბავშვის ამჟამინდელ და მომავალ ცხოვრებაზე. ადრეული განათლების სპეციალისტი უნდა დაფიქრდეს, თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს იმისათვის, რომ დაიცვას ბავშვი, ხელი შეუწყოს მის ჯანსაღ განვითარებას და წვლილი შეიტანოს მის კეთილდღეობაში.

თუ ზრდასრული არის ბავშვის მშობელი, ოჯახის წევრი, აღმზრდელი, ძიძა ან მასწავლებელი, მაშინ მას აქვს გავლენა მის აწმყოსა და მომავალზე, მასთან დამყარებული ურთიერთობა განსაზღვრავს ამ ზემოქმედების მნიშვნელობას პერსპექტივაში. ეს ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება ადრეული ასაკის ბავშვსა და მისთვის მნიშვნელოვან ზრდასრულს შორის, ხასიათდება მათ შორის ემოციური კავშირით, ანუ, მიჯაჭვულობით. ეს კავშირი საფუძვლად ედება ბავშვის კომპეტენციების განვითარებას, რაც ზრდის შესაძლებლობას, რომ ის სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი იქნება. ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობა დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად გულისხმიერი და მგრძნობიარეა ზრდასრული. მიჯაჭვულობის თეორია, განვითარების სხვა თეორიებთან ერთად, თვალსაჩინოს ხდის მზრუნველი ზრდასრულის როლს ბავშვის ცხოვრებაში და იმ გავლენას, რომელიც მას აქვს ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბოქსი „მიჯაჭვულობის თეორია“ გვ. 34).

მიჯატეულობის თეორია

დაბადებიდან პირველი წლის მანძილზე ბავშვი ამყარებს ემოციურ კავშირს, ანუ, მიჯატეულობას მშრუნველთან, რომელიც ცდილობს დააკმაყოფილოს ბავშვის მოთხოვნილებები და უზრუნველყოს უსაფრთხო და კომფორტული გარემო.

მიჯატეულობა

უღიმის მშრუნველს	როდესაც მშრუნველი ეძახის, თავს მისკენ აბრუნებს	გარემოს ძირითადი მშრუნველის დახმარებით შეივნობს, თუმცა ასევე ზედღეს მის გარეშე მოქმედებასაც.	თავს უსაფრთხოოდ გრძნობს ახლოზელ უფროსებთან (მაგ., ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყნარება სურს).	როდესაც თავს ართმევს ახალ ამოცანას (მაგ., დამოუკიდებლად დგას ან დადის), მშრუნველს უცურებს.	ძირითადი მშრუნველის გარდა გამორჩეულ ურთიერთობას ამყარებს ყოველ ერთ უფროსთან, რომელიც რეგულარულად და ზარმონიულად ურთიერთობს მასთან.
ძირითადად ტირის, როდესაც მშრუნველი გადის ოთახიდან.	ამულავენებს მიჯატეულობას, ამჯობინებს იყოს ძირითად მშრუნველთან, რომელიც ეძახის მას, თავს მისკენ აბრუნებს	წყენას და უკმაყოფილებას მარტო დარჩენისას, ტირილით გამოხატავს და ეძახის მშრუნველს.	თავს უსაფრთხოოდ გრძნობს ახლოზელ უფროსებთან (მაგ., ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყნარება სურს).	აღიზიანებს ძირითად მშრუნველთან განშორება (მაგ., როცა დედა მიდის სამსახურში).	

(საქართველოს მთავრობა, 2017)

ეს ურთიერთობა საფუძვლად ედება ბავშვის მომავალ განვითარებას და მუშაობს, როგორც სხვა ადამიანებთან ურთიერთობების შაბლონი, რადგან მშრუნველთან მიჯატეულობა განსაზღვრავს ინდივიდის მიერ სამყაროს აღქმას და იმას, თუ როგორ ფუნქციონირებს ის მასში.

მგრძნობიარე და გულისხმიერ მშრუნველთან, რომელიც სწრაფად და ადეკვატურად რეაგირებს ბავშვის საჭიროებებზე, ბავშვს უყალიბდება უსაფრთხო მიჯატეულობა. იმ შემთხვევაში თუ მშრუნველი ვერ ახერხებს თანმიმდევრულად დაამყაროს პოზიტიური სოციალური ინტერაქცია, შესაძლებელია ბავშვს ჩამოუყალიბდეს სამი ტიპის არაჯანსაღი მიჯატეულობიდან ერთ-ერთი: განრიდებული, ამბივალენტური ან დემორგანიზებული.

უსაფრთხო მიჯაჭვულობის განცდა ეხმარება ინდივიდს ემოციების გაგებასა და მათ რეგულაციაში, შედეგად კი ემოციურად ექსპრესიულები და სხვების მიმართ გულისხმიერები არიან. მიჯაჭვულობა ინდივიდის ემოციურ ფუნქციონირებასა და კეთილდღეობაზე მოქმედებს.

უსაფრთხო მიჯაჭვულობის მქონე ინდივიდებს აქვთ ჯანსაღი თვითშეფასება და კომპეტენტურობის განცდა. თავდაჯერებულობა, რომ შეუძლიათ გადაჭრან პრობლემები, მათ აძლევთ საშუალებას ჩამოყალიბდნენ ცნობისმოყვარე და შემოქმედებით ადამიანებად და ინტერესით ჩაერთონ განმავითარებელ საქმიანობებში. უსაფრთხო მიჯაჭვულობა ხელშემწყობი ფაქტორია ადამიანის ემოციურ, სოციალურ, თუ შემეცნებით განვითარებაში.

კვლევები ამტკიცებს, რომ მიჯაჭვულობის ტიპი არ არის მდგრადი მუდმივად, მთელი ცხოვრება და ის შეიძლება შეიცვალოს გარემოში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად. ოჯახში სიტუაციის შეცვლას და მზრუნველის კომუნიკაციური კომპეტენციების გაზრდას შეუძლია ცვლილება გამოიწვიოს ბავშვის მიჯაჭვულობის ხარისხში. ნიშანდობლივია, რომ ადამიანები ცხოვრების მანძილზე მჭიდრო ემოციურ კავშირს ამყარებენ არა მხოლოდ პირველად მზრუნველთან, არამედ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე შეძენილ მათთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან. ეს ადამიანები ხდებიან მიჯაჭვულობის ფიგურები და მათთან ჩამოყალიბებული თერაპიული და მდგრადი ურთიერთობა მოქმედებს, როგორც დამცავი ფაქტორი.

(Kerig et al., 2012)

უსაფრთხო მიჯაჭვულობის გარდა, ბავშვის განვითარებასა და ცხოვრებაში მიღწეულ შედეგებზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. ადრეული განათლების სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის ცხოვრებაში სხვა მნიშვნელოვანი ზრდასრულებიც (მშობლები, ოჯახის სხვა წევრები, აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელები, მასწავლებლები და სხვა) მისი პარტნიორები იყვნენ. ბავშვის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს უშუალო გარემოსაც, სადაც ბავშვი იზრდება, ისევე,

როგორც ფართოდ დანახულ სოციალურ და კულტურულ გარემოს. ბავშვის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ოჯახი, სამეგობლო, საგანმანათლებლო დაწესებულება, მშობლების სამეგობრო და სამსახური, თემი, რომელშიც ბავშვი იზრდება. ბავშვის განვითარების პროცესზე ზემოქმედებენ როგორც ამ სისტემებში მოაზრებული ადამიანები, ასევე სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელსაც ეს ადამიანები ქმნიან. ბავშვის ირგვლივ არსებული საზოგადოება და გარემო ადრეული განათლების სპეციალისტთან ერთად უნდა მუშაობდეს მიზნის მისაღწევად. (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბოქსი „ბრონფენბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია“ გვ. 36).

ბრონფენბრენერის ეკოლოგიური სისტემების თეორია

იური ბრონფენბრენერი (1979) განვითარებას აღწერს, როგორც ინდივიდისა და გარემოს ფუნქციას – აქტიური ინდივიდისა და მუდმივად ცვალებადი გარემოს ურთიერთქმედების შედეგს. გარემო სხვადასხვა შრეებისგან შედგება, რომლებიც ეკოლოგიურ სისტემებს წარმოადგენენ:

- მიკროსისტემა მოიცავს აქტივობებს, როლებსა და ურთიერთობებს, რომელშიც ჩართულია განვითარების პროცესში მყოფი ინდივიდი ფიზიკური და მატერიალური დამახასიათებლების მქონე კონკრეტულ გარემოში. ბავშვისთვის ეს გარემო არის სახლი, სკოლამდელი დაწესებულება, ეზო და სხვა. მიკროსისტემა გულისხმობს ინდივიდის უშუალო რეალობას, რომელშიც ის იმყოფება და რომელსაც ის განიცდის (ცხოვრობს/გამოცდის);

- მეზოსისტემა მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებებს ორ ან მეტ გარემოს შორის, რომელშიც განვითარების პროცესში მყოფი ინდივიდი აქტიურად არის ჩართული. მეზოსისტემა მიკროსისტემების სისტემაა. ბავშვისთვის წარმოადგენს სახლს, სკოლას და სამეგობლოს შორის არსებულ კავშირსა და ურთერთგეგავლენას;

- ეგზოსისტემა მოიცავს ისეთ გარემოებებს, რომელშიც ინდივიდი არ არის აქტიური მონაწილე, მაგრამ მასში არსებული მოვლენები ზემოქმედებს ან განიცდის ზემოქმედებას იმ გარემოზე, რომელშიც ინდივიდი უშუალოდ იმყოფება. მაგალითად, მშობლების სამსახური, უფ-

როსი დედამიწვილის კლასი, მშობლების სამეგობრო წრე, სკოლამდე დედი დაწესებულების ადმინისტრაცია;

■ მაკროსისტემა მოიცავს კულტურის დონეზე არსებულ იმ ფაქტორებს, რომლებიც ერთიან და მასშტაბურ ჩარჩოს წარმოადგენს დანარჩენი სისტემებისთვის (მიკრო-, მეზო-, ეგზო-). მაკროსისტემის ნაწილია, მაგალითად, კულტურული ნორმები და ფასეულობები, რწმენა, იდეოლოგია, ეკონომიკა და პოლიტიკა.



ეკოლოგიური სისტემების თეორია განვითარების სამ მნიშვნელოვან მახასიათებელს გამოყოფს. პირველი: ინდივიდი, რომელიც ვითარდება, არის ამ პროცესის აქტიური მონაწილე. ის დინამიკური კომპონენტია, რომელიც, თავის მხრივ, ზემოქმედებს სისტემებზე და ცვლის გარემოს. მეორე: სისტემებში არსებული გარემოები და ადამიანები ზემოქმედებენ ერთმანეთზე. პროცესი ორმხრივია ყველა მონაწილე კომპონენტს შორის, რაც პროცესს დინამიკურს ხდის. მესამე: განვითარების პროცესზე ზემოქმედებს არა მხოლოდ უშუალო გარემო, რომელშიც ინდივიდი იმყოფება, არამედ ფართოდ დანახული სოციალური და კულტურული გარემო და მათი ურთიერთქმედებები *Bronfenbrenner, 1979*

არსებობს მყარი თეორიული საფუძველი, რომ ერთიანი და მიზანმიმართული სისტემის შექმნით შესაძლებელია ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ შედეგებზე გავლენა. დაგროვდა პრაქტიკაზე დაფუძნებული მტკიცებულებებიც იმის შესახებ, რომ კონკრეტული მიზნის ირგვლივ სისტემის სხვადასხვა მონაწილის გაერთიანებით შედეგზე გავლენა სწრაფად და ეფექტურად არის შესაძლებელი. ამის კარგი მაგალითებია, პროგრამა „კარგი დასაწყისი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში და ისლანდიის ინიციატივა – „ახალგაზრდობა ისლანდიაში“.

„კარგი დასაწყისი“ – Head Start

1964 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოუცხადა ომი სიღარიბეს. ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა ბავშვის განვითარების პროგრამაზე. პროგრამა „კარგი დასაწყისის“ მიზანი არის სიღარიბის ჯაჭვის გაწყვეტა სიღარიბეში მცხოვრები ბავშვებისათვის ხარისხიანი ადრეული განათლების მიწოდებით.

პროგრამაში ჩართულობა ზრდის შემეცნებით და სოციალურ-ემოციურ უნარებს ადრეული ასაკის ბავშვებში (Puma et al., 2010). სამომავლოდ იგი მოქმედებს აკადემიურ მოსწრებაზე და ზრდის შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების შანსს, ხოლო ამცირებს კრიმინალური ქცევის და სუსტი ჯანმრთელობის გამოვლინების შანსებს (Garces et al., 2002; Deming, 2009).

პროგრამის წარმატების საიდუმლო მის მრავალმხრივობაშია. „კარგი დასაწყისი“ მოიცავს სხვადასხვა ტიპის ხარისხიან სერვისს (Head Start Programs., n.d.):

- ადრეული განათლება. საგანმანათლებლო პროცესი დაფუძნებულია თამაშზე და მისი მიზანია თითოეული ბავშვის ჰოლისტური განვითარება. შემეცნებითი, სოციალურ-ემოციური და ფიზიკური უნარების განვითარებაზე ზრუნვა ხდება ინდივიდუალიზებული სტრატეგიების გამოყენებით.

- ჯანმრთელობა. პროგრამაში ჩართულ ბავშვებს უვითარდებათ ჯანსაღი ცხოვრების უნარ-ჩვევები, ისინი უზრუნველყოფილები არიან ჯანსაღი კვებითა და საჭირო სამედიცინო სერვისებით. ხდება ჯანმრთელობისა და განვითარების პერიოდული შემოწმება და საჭიროების

შემთხვევაში ოჯახების დაკავშირება სპეციალიზებულ სერვისებთან.

■ ოჯახის კეთილდღეობა. მშობლებისა და ოჯახების მხარდაჭერა ხდება ბავშვის განვითარების პროცესში მათი ჩართულობის და ბავშვთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით.

„ახალგაზრდობა ისლანდიაში“ Youth in Iceland

ოთხმოცდაათიან წლებში ისლანდიის მთავრობამ ომი გამოუცხადა მავნე ნივთიერებების მოხმარებას ახალგაზრდობაში. ახალი პროგრამის დანერგვამ ალკოჰოლის, თამბაქოსა და კანაფის მოხმარებასა და გასინჯვაში 60 %-იანი კლება გამოიწვია (შიგფუსდოტირ ეტ ალ., 2011).

ამ ინიციატივის წარმატების საფუძველი მის ტრანსდისციპლინურ ბუნებასა და თეორიაზე დაფუძნებულ მიდგომაში მდგომარეობს. „ახალგაზრდობა ისლანდიაში“ ეფუძნება თეორიებს სოციალური ინტეგრაციის, კონტროლისა და მხარდაჭერის შესახებ და მოქმედებს დამცავი ფაქტორების (მშობლების ჩართულობა და ახალგაზრდობის დაკავება სპორტით) გაზრდისა და რისკფაქტორების (თავისუფალი დრო და ზრდასრულის წვეულებები ყურადღების გარეშე) შემცირების საფუძველზე (Kristjansson et al., 2010; Sigfusdottir et al., 2011).

ინიციატივის ფარგლებში შეიცვალა კანონები, განხორციელდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია, შეიქმნა ორგანიზაცია მშობლების გასაძლიერებლად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნა საბჭოები, შეიქმნა ფონდები და პროგრამები ახალგაზრდობის სპორტში ჩართვის მიზნით, თემში დაიგეგმა პრევენციული საქმიანობები.

ადრეული განათლების სპეციალისტს, როგორც საგანმანათლებლო სისტემაში მომუშავე ადამიანს, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვების ამჟამინდელ და მომავალ ცხოვრებაზე. მით უფრო, თუ ბავშვთან უშუალო კონტაქტი აქვს (მაგალითად, მისი აღზრდელ-პედაგოგი ან აღზრდელია). არანაკლებია მისი როლი, თუ ის სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელია. ადრეული განათლების სპეციალისტი ბავშვის განვითარებასა და კეთილდღეობასთან დაკავშირ-

რეზულ მიზანს აღწევს უშუალოდ ბავშვებთან მუშაობით, ამასთანავე, სხვა რელევანტურ ადამიანებთან (მაგალითად, მშობლები, კოლეგები, მკვლევრები, მენეჯერები თუ საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტილების მიმღებები) მუშაობითა და თანამშრომლობით და ასევე ბავშვზე ზემოქმედი გარემოს გამოყენებითა და გაუმჯობესებით (მაგალითად, ბავშვის ოჯახურ გარემოზე ზემოქმედებით, სკოლამდელი დაწესებულების ფიზიკური და სოციალური გარემოს მართვით).





საგანმანათლებლო
სტრატეგიები

საგანმანათლებლო სტრატეგიები

ემპათია – ადამიანის უნარი, წარმოიდგინოს, როგორ გრძნობს, რას განიცდის სხვა კონკრეტულ სიტუაციაში და გამოიჩინოს ზრუნვა მის მიმართ (მაგალითად, ბავშვი სანუგეშებლად ამხანაგს

თავის საყვარელ სათამაშოს სთავაზობს);

თვითრეფლექსია – საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, ასევე

საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება, შეფასება, დაგეგმვა და კონტროლი;

პროსოციალური ქცევა – ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია ინდივიდის მიერ სხვათა დახმარებაზე. პროსოციალური ქცევის განხორციელების მთავარი მოტივი სხვა ადამიანის დახმარებაა. პროსოციალურ ქცევას წარმოადგენს ალტრუიზმიც, რომელიც საკუთარი უსაფრთხოებისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად მეორე ადამიანისთვის დახმარების გაწევას ნიშნავს;

„ხარაჩოს“ მეთოდი – ბავშვისთვის ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარების გაწევა, რათა მან უფრო ეფექტიანად გააკეთოს ის, რის გაკეთებაც მას ჯერ დამოუკიდებლად არ შეუძლია, დროთა განმავლობაში ნაკლები დახმარების გაწევა და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალების მიცემა;

ჰოლისტური განვითარება – თვითაქტუალიზაციისა და სწავლის პროცესი, რომელიც მოიცავს ინდივიდის ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და სულიერ ზრდას კომპლექსურად. ბავშვის მრავალმხრივი/ჰოლისტური განვითარება გულისხმობს მისი ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ურთიერთობების საჭიროებების თანხვედრას. განვითარებისადმი ამგვარი მიდგომა ახალისებს მზრუნველს, დაინახოს ბავშვი, როგორც მთლიანი პიროვნება და არა ცალკეული განვითარების სფეროების ნაკრები;

ბულინგთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი ძალა გათვითცნობიერებული საგანმანათლებლო პერსონალია, რომელმაც იცის, რა არის ბულინგი, როგორ ვლინდება ის ადრეულ ასაკში, რა ფაქტორები მოქმედებს მის

ტერმინთა განმარტებები წარმოდგენილია ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებში (საქართველოს მთავრობა, 2017).

წარმოქმნასა და აღმოფხვრაზე. ასეთმა აღმზრდელმა იცის, რომ არ არსებობს რეცეპტები მის საქმიანობაში, იცის, რომ უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მიდგომები და სპეციფიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ცვალოს სტრატეგიები.


ბულინგის აღმოსაფხვრელად არ არის საკმარისი ჩარევა ქცევის დაფიქსირების შემდგომ. ბულინგთან ბრძოლა შედგება როგორც ინტერვენციის, ასევე პრევენციისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ ზრდასრულები იყენებენ სტრატეგიებს, რომლებიც, ერთი მხრივ, ბულინგის გამოვლენას ხელს უშლის და, მეორე მხრივ, ქცევის გამოვლენის შემდგომ ინტერვენციის სახით აქრობს ამ ქცევას. პრევენციაც და ინტერვენციაც აუცილებლად გულისხმობს პოზიტიური ქცევის დასწავლას და ამ ქცევით ბულინგის, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთი სახის ჩანაცვლებას, შესაბამისად, სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობას.

ადრეული განათლების პრაქტიკაში სამი დონის სტრატეგიებს იყენებს ადრეული განათლების სპეციალისტი (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ბოქსი „პირამიდის მოდელი“ გვ. 46.) როგორც ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობის, ასევე რთული ქცევის აღმოფხვრისთვის გამოიყენება უნივერსალური, პროაქტიული და ინდივიდუალიზებული სტრატეგიები.

პირამიდის მოდელი ადრეული ასაკის ბავშვებში სოციალურ-ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობისათვის

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ადრეული სწავლებისათვის სოციალური და ემოციური საფუძვლების ცენტრში (CSEFEL) შემუშავდა პირამიდის მოდელი, რომლის მიზანია არის პრევენციულად შეამციროს რთული ქცევა ადრეულ ასაკის ბავშვებში და გაზარდოს სკოლისათვის მათი მზაობა (ფოხ ეტ ალ., 2003). მოცემული მიზნების მისაღწევად მოდელი გვთავაზობს ბავშვებში სოციალურ-ემოციური კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას და აღწერს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ საფეხურებრივ სტრატეგიებს. უნივერსალური საფეხური მოიცავს ორ კომპონენტს: პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება ბავშვებთან, ოჯახებთან და კოლეგებთან და მხარდამჭერი და განმავითარებელი გარემოს ორგანიზება. პროაქტიული საფეხური გულისხმობს ბავშვების სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშე-

წყობ სტრატეგიებს, ხოლო ინდივიდუალიზებული საფეხური - რთული ქცევის მქონე ბავშვებისთვის ინტენსიური ინდივიდუალური ინტერვენციის შემუშავებას (Hemmeter, Ostrosky, & Fox, 2006; Fox et al., 2010).



პირამიდის მოდელი ხუთ საკვანძო დაშვებას ეფუძნება (Fox et al., 2010):

1. ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოსა და მრავალფეროვან სოციალურ კონტექსტში ხორციელდება განვითარების ხელშეწყობა;
2. პირამიდის მოდელის საფეხურები ერთმანეთზეა დაშენებული;
3. პირამიდის მოდელის სტრატეგიები უფრო მიზანმიმართული და ინტენსიურია ზედა საფეხურებზე;
4. სტრატეგიები დაუყოვნებლივ და ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული;
5. ოჯახები კრიტიკულად მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან.

უნივერსალური სტრატეგიები არის ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ბაზისურია მიზნის მიღწევისთვის. ეს სტრატეგიები შესაძლებლობას ქმნის, რომ თითოეული ბავშვი განვითარდეს და ისწავლოს. ასეთია სტრატეგიები, რომლებიც ეხება პოზიტიური სოციალური გარემოს ჩამოყალიბებას და განმავითარებელი ფიზიკური გარემოს შექმნას, ასევე მოიცავს ხარისხიანი ადრეული განათლების მახასიათებლებს, როგორიცაა, მაგალითად, თამაშზე დაფუძნებული პროცესი.

პროაქტიული სტრატეგიები გულისხმობს სტრატეგიებს, რომელიც მიბმულია მიზანზე. ჩვენს შემთხვევაში მიზანი ბულინგთან ბრძოლაა, შესაბამისად, პროაქტიული სტრატეგიები იქნება ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ბულინგის გამოვლენამდე მიმართულია სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისკენ. პროაქტიული გულისხმობს ჩარევას არასასურველი ქცევის პრევენციის მიზნით.

ინდივიდუალიზებულ სტრატეგიებს ვიყენებთ კონკრეტულ ბავშვებთან, რომლებიც წინა საფეხურის სტრატეგიების მიუხედავად, იყენებენ ბულინგს და მის წინარე ქცევებს. ეს არის სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება ბულინგის დროს და მის მერე, ასევე სტრატეგიები, რომლებიც მიზანმიმართულად ემსახურება ინდივიდუალური მხაგვრელის, მსხვერპლისა და მაყურებლის კონკრეტული უნარების განვითარებას. ადრეული განათლების სპეციალისტმა იცის, რომ ზემოთ წარმოდგენილი სტრატეგიების დანერგვა საფეხურებრივად არ ხდება, ყველა სტრატეგია ერთდროულად უნდა მუშაობდეს. თუმცა მაშინ, როდესაც პრაქტიკოსი საჭიროებს სხვადასხვა სტრატეგიის დასწავლას და გამოყენებას, შეუძლებელია ყველა სტრატეგიას ერთდროულად შეეჭიდოს. ადრეული განათლების სპეციალისტი იწყებს საგანმანათლებლო პროცესსა და მის მონაწილეებზე დაკვირვებითა და შეფასებით. სიტუაციის შეფასება და მისი ანალიზი იძლევა ცოდნას იმის შესახებ, თუ რა გამოდის და რა არა. აქედან გამომდინარე შესაძლებელია ეფექტური გადაწყვეტილების მიღება, თუ რომელი სტრატეგიების დანერგვის საჭიროება დგას და რითი ჯობია დაწყება. შეფასებისას პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- უკვე არის ბულინგი?
- ხშირია ბულინგის წინარე ქცევა?
- სად და ვინ არის ამ ქცევაში ჩართული?
- რა პრევენციული სტრატეგიები არის უკვე დამკვიდრებული?

■ ეფექტურად ხდება სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება ბავშვებში?

■ რა იციან მშობლებმა ბულინგისა და მისი პრევენციის შესახებ?

■ როგორი აღმზრდელი ვარ?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა კვლევის ჩატარება, რომელიც შესაძლოა საგანმანათლებლო პერსონალმა თვითონ ან კოლეგის დახმარებით განახორციელოს. ინფორმაციის შესაგროვებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას არსებული კითხვარები, ობიექტური ჩანაწერები და პერსონალის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები.

თუ სასწავლო პროცესი ახალი დაწყებულია და პატარა ასაკობრივ ჯგუფში აგრესიული ქცევები მწირია, ადრეული განათლების სპეციალისტმა, პირველ რიგში, უნივერსალური სტრატეგიების გამოყენებაზე უნდა იფიქროს და მალევე შემოიტანოს პროაქტიული სტრატეგიები. თუ ბულინგი ხშირია ჯგუფში, მაშინ მნიშვნელოვანია ინდივიდუალიზებული სტრატეგიების გამოყენება ისწავლოს საგანმანათლებლო პერსონალმა, რომ ასეთი ქცევის დროს მოახერხოს მყისიერი რეაგირება და პარალელურად დანარჩენი სტრატეგიების გაძლიერებამც დაიწყოს მუშაობა.

მნიშვნელოვანია, რომ ადრეული განათლების სპეციალისტი ხედავდეს იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც მას და მის მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესს აქვთ და ამ ძლიერ მხარეებზე აშენებდეს ახალ უნარებსა და ჩვევებს. თითოეული სპეციალისტი უნდა ზრუნავდეს, რომ მისთვის მისაღები და ეფექტური ტემპით შეიძინოს ახალი უნარები და გააუმჯობესოს საგანმანათლებლო გარემო. ყველაფრის ერთდროულად კეთება შეუძლებელია, ხოლო ეფექტურია მიზნების დაყოფა გადამუშავებად ზომებად და ისე შეჭიდება, უნარების ნელ-ნელა შეძენა და დანერგვა. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ადრეული განათლების თითოეულმა სპეციალისტმა შექმნას ბულინგის პრევენციის საკუთარი პროგრამა, რომელიც დაეყრდნობა შეფასებას, ჯგუფის საჭიროებებს, სპეციალისტების ინტერესებს, შესაძლებლობებს და მიზნებს და რომლის მიზანიც იქნება ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების დანერგვა.

ბულინგის პრევენცია ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობით

უნივერსალური სტრატეგიები, რომლებსაც საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს, ბავშვის არა მხოლოდ სოციალურ-ემოციური, არამედ მისი ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობიცაა. მათი გამოყენება და საგანმანათლებლო პროცესში დანერგვა გულისხმობს ბავშვის უშუალო გარემოს იმდაგვარად ორგანიზებას, რომ მასში ბუნებრივად და ძალდატანების გარეშე შეექმნას გადალახვადი გამოწვევები, რომლებიც მის ჰოლისტურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

საგანმანათლებლო პერსონალისთვის საგანმანათლებლო გარემოს მართვა უბრალო პასუხისმგებლობა კი არ არის, არამედ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო სტრატეგიაა. **ბულინგის პრევენციის მიზნით სამ ძირითად მიმართულებას უნდა მიექცეს ყურადღება: საგანმანათლებლო პერსონალი, ჯგუფის ერთობა, საგანმანათლებლო გარემო.**

საგანმანათლებლო პერსონალი

როგორი უნდა იყოს აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი? რა პიროვნული თვისებები უნდა ახასიათებდეთ? რა ცოდნა და უნარები სჭირდება იმისთვის, რომ პროფესიონალად ჩაითვალოს? ამ კითხვებზე პასუხი თავმოყრილია „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტში“ (საქართველოს მთავრობა, 2017).

„აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი“ ეროვნული დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს, ვინ შეიძლება დასაქმდეს აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე და რა უნდა იცოდეს და შეეძლოს ადამინს, რომელიც ამ პოზიციაზე არის დასაქმებული. სტანდარტი, პირველ რიგში, დამსაქმებლისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემქმნელებისთვის განსაზღვრული დოკუმენტია. თუმცა, ამასთანავე, ეს დოკუმენტი მნიშვნელოვან რესურსად შეიძლება იქცეს საგანმანათლებლო პერსონალისთვის. სტანდარტზე დაყრდნობით შესაძლებელია საკუთარი კომპეტენციების შეფასება და ამ შეფასებაზე დაყრდნობით პროფესიული განვითარების მიზნების დასახვა.

ბულინგის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია ჯგუფში მომუშავე

ადამიანებს განვითარებული ჰქონდეთ სოციალურ-ემოციური კომპეტენციები და მათ მოდელირებას აკეთებდნენ საგანმანათლებლო პროცესში. ეს სტრატეგია ორ მნიშვნელოვან საქმიანობას გულისხმობს:

ერთი: საგანმანათლებლო პერსონალის მუდმივი ზრუნვა საკუთარი სოციალურ-ემოციური კომპეტენციების გაუმჯობესებაზე და მეორე: მოდელირების გამოყენების ჩვევის გამომუშავება.

„როდესაც პრობლემურ ქცევას ვაწყდები, ისეთ ელემენტარულსაც კი, როგორც კბენაა, მიჩნდება განცდა, რომ მჭირდება დამატებითი ინფორმაცია. თითქოს რაღაც შედეგს ვიღებ ჩარევებით, მაგრამ მინდა გადავამოწმო და უფრო დავხვეწო. ამ საჭიროებას ხშირად ვიკმაყოფილებ იმით, რომ ვუკავშირდები მულტიგუნდის წევრებს. ვსხდებით და ვმსჯელობთ. ყოველთვის ამართლებს ასეთი რაღაცები, - კონსულტაცია სპეციალისტთან ან კოლეგასთან დამატებითი ინფორმაციის მისაღებად“.

ანა, აღმზრდელი

ზრუნვა საკუთარ სოციალურ-ემოციურ კომპეტენციების ზრდაზე

განვითარების ხელშეწყობის პროცესი, ეხება ეს ბავშვს, ზრდასრულს თუ საკუთარ თავს, ყოველთვის იწყება შეფასების პროცესით. ხელშეწყობის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიზანმიმართულები ვართ. საკუთარი თავის შეფასებიდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადრეული განათლების სპეციალისტი მიზანმიმართულად იყენებს საკუთარ ძლიერი მხარეებს და კიდევ უფრო ავითარებს მათ, ქმნის სიტუაციებს, რომლებშიც მიეცემა სუსტი მხარეების გაუმჯობესების შესაძლებლობა.

ამისთვის საუკეთესო სტრატეგია **თვითრეფლექსიაა**. თვითრეფლექსია არის საკუთარი ღირებულებების, აზრებისა და ქცევის გაცნობიერება, შეფასება და ანალიზის პროცესი, რომელიც საკუთარი ქცევისა და ღირებულებების გადაფასებისა და მართვის საშუალებას იძლევა.

თვითრეფლექსიისთვის სამი ძირითადი გზა არსებობს. ყველაზე ეფექტური სამივეს რუტინულად გამოიყენება, თუმცა საკუთარი შესაძ-

ლებლობებისა და საჭიროებებიდან გამომდინარე, ადრეული განათლების სპეციალისტმა შესაძლებელია ამოარჩიოს ერთ-ერთი სტრატეგია.

■ „ფიქრის დრო“ - ყოველ დღე გამოყავით დრო (15-20 წუთი) თვითრეფლექსიისთვის (უმჯობესია, სამუშაო დღის ბოლოს). განმართოვდით კომფორტულ და წყნარ სივრცეში. გაიხსენეთ იმ დღეს მომხდარი სიტუაცია, რომელშიც მოგიწიათ გამოგეყენებინათ სოციალურ-ემოციური უნარები. დაფიქრდით იმაზე, თუ რა მოხდა, რატომ მოხდა, რა იგრძენით და რა დამოკიდებულება გაქვთ ამ სიტუაციასთან მიმართებით. შესაძლებელი იყო თუ არა, რომ სხვანაირად მოქცეულიყავით და უკეთ გამოგეყენებინათ თქვენი უნარები. დაფიქრდით, სამომავლოდ ასეთ სიტუაციებში როგორ მოიქცევით, რას შეცვლიდით და რას გააკეთებდით იგივენაირად.

■ „რეფლექსური დღიური“ – გამოყავით ბლოკნოტი, რომელშიც ყოველდღიურად გააკეთებთ ჩანაწერებს. „ფიქრის დროს“ მსგავსად სიტუაციები უნდა აღწეროთ და გააანალიზოთ, თუმცა „რეფლექსური დღიურის“ უპირატესობა ის არის, რომ, ერთი მხრივ, ნააზრევს დაწერა ამარტივებს გააზრებასა და დამახსოვრებას და, მეორე მხრივ, იძლევა ძველი ჩანაწერების გადახედვის და მთლიანობაში გააზრების საშუალებას.

■ „გუნდური მუშაობა“ - შემოიკრიბეთ ადამიანები, რომელიც დაგეხმარებიან რეფლექსიაში. კვირაში ერთხელ გამოყავით დრო მათთან შესახვედრად. ამ შეხვედრებზე გაუზიარეთ საკუთარი გამოცდილება, შესაძლოა წაუკითხოთ ჩანაწერი „რეფლექსური დღიურიდან“ ან აჩვენოთ ვიდეო, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში გადაიღეთ. ერთად გაარჩიეთ ეს სიტუაცია, მოისმინეთ თქვენი გუნდის წევრების პერსპექტივა: როგორ ხედავენ ისინი ამ სიტუაციას? თვითონ თუ ჰქონიათ ასეთი გამოცდილება? რა რეკომენდაციები აქვთ თქვენთვის? „გუნდური მუშაობა“ შესაძლებელია წყვილში ან მცირე ჯგუფში (5-8 ადამიანი) მოხდეს; მთავარია, გუნდის წევრები ერთმანეთს ენდობოდნენ და უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს. გუნდში შესაძლებელი უნდა იყოს ყველა გამოწვევაზე საუბარი, მის წევრებს არ უნდა გაუჩნდეთ განცდა, რომ ვინმეს განსჯიან ან ეჭვქვეშ დააყენებენ მის პროფესიონალიზმს.

მოდელირება

მოდელირება საგანმანათლებლო სტრატეგიაა, რომელიც ეფუძნება ადამიანების უნარს, დაისწავლონ ქცევები სხვების იმიტირებით. მოდელირება გულისხმობს იმ უნარის, ცოდნის ან ქცევის თვალსაჩინოდ გამოყენებას, რომლის სწავლებასაც ვცდილობთ. მაგალითად, თუ ბავშვი კომუნიკაციის დროს ჯერ ვერ იყენებს პირის ნაცვალსახელებს ზრდასრული მიზანმიმართულად და ხშირად იყენებს ისეთ წინადადებებს, რომლებშიც ნაცვალსახელებია. ამ შემთხვევაში ის მოდელირებას უკეთებს პირის ნაცვალსახელების სწორი ფორმით გამოყენებას. ზრდასრული მოდელირებით მართავს ბრაზს და ავლენს შეუპოვრობას, როდესაც ბავშვებთან თამაშის დროს მას რაიმე არ გამოსდის (მაგალითად, დაენგრა აშენებული კოშკი) - ხმამაღლა ამბობს: „გავბრაზდი იმიტომ, რომ დაინგრა“; ის იყენებს ბრაზის მართვის იმ სტრატეგიას, რომელიც ბავშვებს ასწავლა (ხმამაღლა ითვლის 5-მდე) და ხმამაღლა აცხადებს: „ახლა დავწყნარდი და კიდევ ვცდი“.

მოდელირება არ არის დემონსტრირება. დემონსტრირება საგანმანათლებლო სტრატეგიაა, რომელიც გულისხმობს ქცევის ჩვენებას, სანამ იმავეს გაიმეორებს ბავშვი. მაგალითად, როდესაც საგანმანათლებლო პერსონალმა ხელოვნების ცენტრში პირველად შემოიტანა პაპიე მაშეს მასალა, ბავშვებს სთხოვა, ჯერ მისთვის ეყურებინათ; დაკუწა ძველი ჟურნალი, ამოავლო წებოში და დააწება გაბერილ ბუშტს, შემდგომ სთხოვა იგივენაირად გამოეყენათ ნივთები და შესდგომოდნენ საქმიანობას - ამ სიტუაციაში ზრდასრულმა პაპიე მაშეს გამოყენების დემონსტრირება გააკეთა. დემონსტრირება მნიშვნელოვანი სტრატეგიაა საგანმანათლებლო პროცესში, თუმცა ის მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციებში და საჭიროებიდან გამომდინარე უნდა გამოიყენოს აღმზრდელმა, იმისთვის რომ ეფექტური იყოს.

მოდელირება, დემონსტრირებისგან განსხვავებით, არ მოიაზრებს მოლოდინს, რომ ბავშვმა ერთი ერთში გაიმეოროს ქცევა მისი ნახვის შემდეგ. მოდელირებული ქცევა არის მისაღები და მისაბაძი ქცევა, რომელსაც ზრდასრულები ბუნებრივად იყენებენ. ჩვენი ქცევის მოდელირებას მუდმივად ვახორციელებთ ზრდასრულები, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა გაიაზროს, რას უკეთებს მოდელირებას და ეს სტრატეგია მიზანმიმართულად გამოიყენოს საგანმანათ-

ლებლო პროცესში.

ბუღინგის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად ხდებოდეს ადრეულ ასაკში სოციალურ-ემოციური უნარების მოდელირება. ასევე მნიშვნელოვანია ბუღინგთან დაკავშირებული ღირებულებების მოდელირება ბავშვების დამოკიდებულებების ჩამოსაყალიბებლად. თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ ზრდასრულებისთვის ჩაგვრა მიუღებელია. ამის მიღწევა შესაძლებელია იმით, რომ საგანმანათლებლო პერსონალმა ყოველ ჯერზე დააფიქსიროს თავისი აზრი ბუღინგთან მიმართებით, როდესაც ასეთ სიტუაციის შესახებ წაიკითხავენ, მოისმენენ რამეს ან შეესწრებიან.

ჯგუფის ერთობა

ჯგუფის ერთობა იმის საფუძველს ქმნის, რომ ბავშვებმა, რომლებიც ამ ჯგუფში არიან, ბუნებრივად განავითარონ სოციალურ-ემოციური უნარები. ჯგუფის ერთობა გულისხმობს ჯგუფის თითოეული წევრის განცდას, რომ ამ ჯგუფს მიეკუთვნება და დანარჩენი წევრებიც მისნაირად ჯგუფის სრულფასოვანი წევრები არიან. ამასთანავე, გულისხმობს განცდას, რომ ეს ჯგუფი ერთიანია და ეფექტური, ანუ, წევრებს ერთმანეთთან თანამშრომლობა, ერთმანეთის დახმარება შეუძლიათ და ჯგუფში მრავალფეროვნება და განსხვავებულობა ბუნებრივი და პოზიტიური მოვლენაა. ჯგუფის ერთობა დგას პატივისცემის, თანასწორობისა და ტოლერანტობის იდეებზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბუღინგის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანია ჯგუფებში ერთობის ჩამოყალიბება. საგანმანათლებლო დაწესებულებაში სხვადასხვა ჯგუფი არსებობს, რომელთა ერთობაზეც საჭიროა ზრუნვა. სპეციალისტების გუნდისა და დაწესებულების პერსონალის გუნდების ერთობაზე უნდა ზრუნავდეს ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო პერსონალის მოვალეობაში კი შედის ერთობის ჩამოყალიბება როგორც უშუალო ჯგუფის, ასევე მთლიანად საგანმანათლებლო დაწესებულების დონეზეც.

მიკუთვნებულობა

მიკუთვნებულობა განცდაა, როცა რაიმე ჯგუფის ნაწილი ხარ. ამ განცდის გაღვივებისა და გაზრდის მიზნით საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვებთან მუშაობს სასწავლო წლის დასაწყისიდანვე.

■ ყოველდღე შეხვდით ბავშვებს და მათი ოჯახის წევრებს. დაწესებულებაში მოსვლის პროცესში მნიშვნელოვანია:

1. შემოსასვლელში მშობელთან გამოლაპარაკება პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბების მიზნით („მოგესალმებით, სალომე და გურამ“. „შეხედე, სალომე როგორი ყოჩაღია. დამოუკიდებლად უვლის საკუთარ ნივთებს“. „გურამ, ამ სალამოს თქვენ მოაკითხავთ სალომეს თუ თქვენი მეუღლე?“ „სასიამოვნო დღეს გისურვებთ!“);

2. დაფიქსირება, რომ ბავშვი მოვიდა დაწესებულებაში („მამუკაც მოსულა! როგორ ხარ?“);

3. ბავშვის დახმარება, რათა ჯგუფში შემოსვლისთანავე საინტერესო აქტივობაში ჩაერთოს („თომა, რისი თამაში გინდა? წამოდი, ჯერ ერთად ვნახოთ, სხვები რას აკეთებენ“).

■ გააცანით ბავშვებს ჯგუფისა და საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცეები. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, სად რა ხდება, მათ შორის, ისეთ სივრცეებში, რომლებიც მათთვის არ არის განკუთვნილი. ამისთვის შესაძლებელია, მაგალითად, წლის დასაწყისში მშობლებთან ერთად „ექსკურსიის“ მოწყობა თითოეული ბავშვისთვის ან „განძის ძეხნის“ თამაშის დაგეგმვა, რომლის საშუალებითაც ბავშვები სხვადასხვა სივრცეში მოხვდებიან.

■ გამოყავით პერსონალური სივრცე ბავშვებისათვის. მაგალითად, მოაწყვეთ უჯრები ან ყუთები თითოეული ბავშვისთვის, რომლებიც ინდივიდუალური იქნება. ამ უჯრაში ბავშვის პორტფოლიო და მისი პირადი ნივთები იდება.

■ მოაწყვეთ ზეიმები და განსაკუთრებული ღონისძიებები. მაგალითად, დაგეგმეთ „დღესასწაული კოცონის ირგვლივ“ ბავშვებთან ერთად, მოამზადეთ პიკნიკისთვის საკვები, მუსიკალური ინსტრუმენტები, პლედები და ა.შ. და ერთ დღეს ეზოში სპეციალურ ადგილას დაანთეთ კოცონი და იქ გაატარეთ დრო ერთად. ყოველი წლის ბოლოს მოაწყვეთ ზეიმი სასწავლო წლის დასრულების აღსანიშნავად და ერთმანეთთან დასამშვიდობებლად. მოაწყვეთ პიკნიკები საგანმანათლებლო დაწესებულების

ეზოში ან გარე ტერიტორიაზე მშობლების ჩართულობით.

■ ფიზიკური გარემოს მოწყობისას გამოიყენეთ ბავშვების იდეები, ნამუშევრები, ინტერესები და ინდივიდუალური მახასიათებლები. თითოეული ბავშვის ნამუშევარი გამოფინეთ. კედელზე გამოფენილი ვიზუალური მასალა ბავშვის თვალის სიმაღლეზე დაკიდეთ. სათამაშოები, წიგნები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა საგანმანათლებლო რესურსი შემოიტანეთ ისე, რომ წარმოდგენილი იყოს ყველა ბავშვის სქესი, ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა და სხვა (მაგალითად, თუ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი გყავთ ჯგუფში, უნდა გქონდეთ წიგნი, რომლის მთავარი გმირიც დაუნის სინდრომის მქონეა; თუ ჯგუფში სომხურენოვანი ბავშვია, ორენოვანი (ქართული და სომხური) ვიზუალური მინიშნებები დაამზადეთ).

პატივისცემა

პატივისცემა ნიშნავს სხვისი გრძნობების, სურვილებისა და უფლებების მიმართ ყურადღებიან და მიმღებლურ დამოკიდებულებას. იმისთვის, რომ ჯგუფში პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები ჩამოყალიბდეს, საგანმანათლებლო პერსონალმა, პირველ რიგში, თვითონ უნდა სცეს პატივი თითოეულ ბავშვს.

ბავშვების პატივისცემა ნიშნავს არა მის სიყვარულს და კარგად მოქცევას, არამედ მის აღიარებას სრულფასოვან პიროვნებად, რომელსაც თავისი ინდივიდუალური გრძნობები, სურვილები და უფლებები აქვს.

ბავშვის მიმართ პატივისცემის გამოსახატად:

■ ყურადღებით მოუსმინეთ ბავშვს, რომელიც თავის აზრს გამოხატავს. სხეულის ენით და დამაზუსტებელი კითხვების დასმით აჩვენეთ, რომ გაინტერესებთ, რასაც ის ამბობს. არ გააწყვეტინოთ საუბარი „უფრო მნიშვნელოვანი საქმის“ გამო. თუ სხვა გზა არ გაქვთ და ვერ მოუსმენთ, ბოდიში მოუხადეთ და აუხსენით, რატომ არ შეგიძლიათ ეს ამ მომენტში. როდესაც გათავისუფლდებით, აუცილებლად მიუბრუნდით და სთხოვეთ განაგრძოს ლაპარაკი.

„ბავშვის მოსმენა არ არის დამოკიდებული მის ასაკზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვს შეუძლია საკუთარი შეხედულება დააფიქსიროს ძალიან პატარა ასაკიდან, კერძოდ, როცა ის პირველად იწყებს ვერ-

ბალურ კონტაქტს. ეს გულისხმობს, რომ არავერბალური კომუნიკაცია, თამაში, სხეულის მოძრაობა, ხატვა, ძერწვა, რომლითაც ბავშვი ცდილობს საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირებას, მხედველობაში იყოს მიღებული.“

Committee on the rights of the child, 2005

ბავშვის უფლებათა კომიტეტის კომენტარი №7

„ბავშვის უფლებების იმპლემენტაცია ადრეულ ასაკში“

■ დაუდასტურეთ ემოციები. არ დააკნინოთ ის ემოციები, რომელსაც ბავშვი გამოხატავს და არ დასცინოთ მას. ამის დადასტურება ნიშნავს, რომ შეამჩნიოთ მისი ემოცია და აღიაროთ ის, როგორც რეალური.

■ მიჰყევით ბავშვის საჭიროებებს მისი სურვილებიდან გამომდინარე. როდესაც ბავშვი უარს აცხადებს რაიმეს გაკეთებაზე, მოუსმინეთ და სთხოვეთ მიზეზების ასხნა. თუ აღნიშნული ქცევა არ ქმნის ფიზიკურ და ფსიქიკურ საფრთხეს და განვითარების შემაფერხებელი არ არის, მაშინ მიჰყევით მას. თუ შეუძლებელია მიყოლა, მაშინ დაუდასტურეთ, რომ მისი გესმით, აუხსენით, რატომ არ გამოვა, რასაც ის ითხოვს და დაეხმარეთ მისთვის არასასურველი ქცევის მაინც განხორციელებაში.

მეგობრობა

მეგობრობის ხელშეწყობა საგანმანათლებლო პერსონალის მოვალეობაა. ზოგიერთი ბავშვი ბუნებრივად ამყარებს მნიშვნელოვან ურთიერთობებს თანატოლებთან, ზოგს კი უჭირს მეგობრობის შექმნა.

■ წახალისეთ ბავშვები, რომ ერთმანეთთან ითამაშონ. სიტყვიერი წახალისებით, ფიზიკური გარემოს მოწყობით (მცირე ჯგუფების სივრცეების შექმნით, პატარა მრგვალი მაგიდების გამოყენებით, ჯგუფური სათამაშოების შემოტანით) და ჯგუფური აქტივობების ინიცირებით შექმენით შესაძლებლობები, რომ ბავშვებმა ერთად ითამაშონ. დაიწყეთ წყვილებში თამაშების ხელშეწყობით და ნელ-ნელა გაზარდეთ მცირე (5-6-ბავშვიანი) ჯგუფები ბავშვების უნარების ზრდასთან ერთად.

■ წახალისეთ გუნდური თამაში. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები ერთვებოდნენ ისეთ საქმიანობებში, რომლებიც გუნდურობას, ერთმანეთის დახმარებას და თანამშრომლობას მოითხოვს მათგან. არ შეაჯიბროთ ერთმანეთს ბავშვები და არც ბავშვთა ჯგუფები.

■ გამოიყენეთ ხარაჩოს მეთოდი ბავშვებისთვის მეგობრობის სასწავლებლად. ადრეულ ასაკში ბავშვებს არ აქვთ ყველა საჭირო უნარი პოზიტიური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ ყოველთვის ყურადღებით იყავით და საჭიროების შემთხვევაში წამიერად ჩაერთეთ, სანამ კონფლიქტი წარმოიქმნება ბავშვებს შორის.

■ წაახალისეთ, რომ ბავშვები ერთმანეთს დაეხმარონ. იმის მაგივრად, რომ თქვენ უპასუხოდ კითხვებს ან დაეხმაროდ ბავშვს, მის თანატოლს სთხოვეთ ამის გაკეთება. „გიორგიმ იცის დინოზავრების შესახებ ძალიან ბევრი რამ, მას ჰკითხე, ტირანოზავრი ხორცის მჭამელია თუ ბალახის“, „მარიამ, შეგიძლია ნინის კარი დაუჭირო? დახმარება სჭირდება, რომ შეაწყოს საღებავები“.

■ შექმენით ისეთი სიტუაციები, რომლებშიც ბავშვები ერთმანეთის შესახებ მეტს გაიგებენ. მცირე ჯგუფებში და სრულ ჯგუფთან წაახალისეთ ბავშვები, ისაუბრონ და გაუზიარონ სხვებს თავიანთი აზრები და გამოცდილებები. ისაუბრეთ დილის და საღამოს წრეებზე სხვადასხვა თემებზე („ვინ ყოფილა კბილის ექიმთან?“, „ვის ჰყავს ძაღლი სახლში?“); ჰკითხეთ აზრი წიგნის კითხვისას („ვინ ფიქრობს, რომ რწყილი მოახერხებს ჭიანჭველას გადარჩენას? ნინო, მათე და ნუცა, ნახეთ, თქვენ ერთნაირად ფიქრობთ. ვნახოთ, აბა რა მოხდება“); შეიტანეთ მცირე ჯგუფებში ისეთი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთმანეთის გაცნობას (მაგალითად, წყვილში სთხოვეთ ერთმანეთის პორტრეტის დახატვა, სთხოვეთ გამოარკვიონ მეგობრის საყვარელი ფერი და იმ ფერის „მეგობრობის სამაჯური“ დაამზადონ).

საგანმანათლებლო გარემო

როგორია საგანმანათლებლო გარემო, რომელიც:

- ხელს უწყობს კომპეტენტური და მედევი ბავშვის განვითარებას?
- ხელს უშლის ბუღინგის გამოვლენას?
- ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას?

საგანმანათლებლო გარემო სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება, ესენია: ფიზიკური, დროითი და სოციალური.

ფიზიკური გარემო - არის ფიზიკურად არსებული საგნებისა და მა-

თი მახასიათებლების ერთობლიობა. გარემო, რომელიც სუბიექტის მიერ ფიზიკურად შეიგრძნობა, ანუ, შეხებადი და დანახვადია.

დროითი გარემო - გულისხმობს დღის, კვირის, სემესტრის თუ წლის მანძილზე განხორციელებულ კომპონენტებს, მათ ხანგრძლივობას და თანმიმდევრულობას.

სოციალური გარემო - მოიცავს კომუნიკაციურ პარტნიორებს, ანუ, სუბიექტის გარემოში არსებულ ყველა ადამიანს, რომელთანაც რაიმე ტიპის ურთიერთობას ამყარებენ და ინტერაქციაში შედიან.

საგანმანათლებლო გარემოს მიმართ მოთხოვნები მკაფიოდ არის გაწერილი ხარისხის სტანდარტში (საქართველოს მთავრობა, 2017). ამ დოკუმენტში მოცემული ინდიკატორები განსაზღვრავს იმ ბაზისურ პირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს, რათა ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას შევუწყოთ ხელი. ქართულ ენაზე უკვე არსებობს კურიკულუმები, წიგნები და სახელმძღვანელოები, რომლებიც ინფორმაციას იძლევა სტანდარტის შესაბამისი ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესის ორგანიზებისა და მართვის შესახებ. მათი შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა აუცილებელი პირობაა ბულინგის პრევენციისთვის. ადრეული განათლების სპეციალისტი მუდმივად უნდა ზრუნავდეს ხარისხიან განათლებასთან დაკავშირებული ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

ხარისხიანი განათლება და მისი მახასიათებლები მრავალფეროვან და სიღრმისეულ საკითხებს მოიცავს, თუმცა აქ გამოვყოფთ ხარისხიანი საგანმანათლებლო გარემოს სამ პრინციპს, რომლებიც საკვანძოა ბულინგის პრევენციის დროს:

საგანმანათლებლო პროცესი თამაშით მიმდინარეობს - თამაში ბავშვის წამყვანი ქცევაა და მისი განვითარება ამ ბუნებრივი ქცევის ფარგლებში ხდება.

სხვადასხვა ტიპის თამაში ქმნის სხვადასხვა უნარის გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას, რასაც ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე გავყავართ. ამიტომ მნიშვნელოვანია, სკოლამდელ დაწესებულებაში ყველა ტიპის თამაში იყოს ხელმისაწვდომი ბავშვისთვის.

■ ფიზიკური გარემო ისე უნდა მოეწყოს, რომ მუდმივად იყოს შესაძლებელი ჩართვა სხვადასხვა ტიპის თამაშში (მაგალითად, ცენტრებად იყოს დაყოფილი ოთახი). საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწ-

ვდომი უნდა იყოს, ბავშვს არ უნდა სჭირდებოდეს სხვისი დახმარება ან ნებართვის თხოვნა რესურსის გამოსაყენებლად.

■ დრო ისე უნდა იყოს გადანაწილებული, რომ ბავშვები დღის განმავლობაში უმეტეს დროს თამაშში ატარებდნენ: ტრანზიციებისა და რუტინული აქტივობების გარდა თამაშისთვის უნდა რჩებოდეთ დროის, მინიმუმ, 1/3.

ბუღინგის პრევენციის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დრამატული თამაშები, რადგან სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. საგანმანათლებლო პერსონალის მოვალეობაა დრამატული თამაშების წახალისება და მათი განვითარება ბავშვის საჭიროებებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს ინდივიდუალიზაციას. ინდივიდუალური მიდგომა ხარისხიანი განათლების აუცილებელი პირობაა. სკოლამდელ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პერსონალი მიზანმიმართულად მუშაობს თითოეული ბავშვის განვითარებაზე ამ ბავშვის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების მიხედვით შერჩეული სტრატეგიების გამოყენებით. პროცესის წარმატება იმით კი არ იზომება, თუ საშუალოდ რა მიღწევები აქვთ ბავშვებს, არამედ თითოეული ბავშვის მიერ განხორციელებული პროგრესის გაზომვით.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ყველანაირი ურთიერთობა პატივისცემაზეა დაფუძნებული

სკოლამდელ დაწესებულებაში ყველა აქტივობა და ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს განსხვავებულობის პატივისცემას. ეს შესაძლებელს გახდის ბავშვებში მრავალფეროვნების მიღების, გააზრების, სხვებზე ზრუნვისა და ემპათიის განვითარების შესაძლებლობას. აღმზრდელებმა მხედველობაში უნდა იქონიონ ჯგუფში მყოფი თითოეული ბავშვის ცხოვრებისეული გამოცდილება, მდგომარეობა და მახასიათებლები, მათი რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მიკუთვნებულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა.

ჩვენ ისეთ სფეროში ვმუშაობთ, რომ ყველა ბავშვი ჩვენთვის ერთი და უნდა ვზურნავდეთ ჯგუფში მათ ჩართვაზე. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვი მყავდა ჯგუფში. მაქსიმალურად რომ შემეწყობ ხელი ჯგუფში მისი ჩართვისთვის, მუსიკის მასწავლებელს ვთხოვე, აზერბაიჯანული მუსიკის ელემენტები შეეტანა თავის გაკვე-

თილებზე; გვერავდით ეროვნულ კოსტიუმებს; შემდეგ კულინარიული შემაჯამებელი შეხვედრა გავაკეთეთ სხვადასხვა ქვეყნის საჭმელების შესახებ, მშობლებიც ჩავრთეთ ამ აქტივობაში. ძალიან დამეგობრდნენ ბავშვები, თან მეტი ინფორმაციაც მიიღეს თავიანთი მეგობრის შესახებ“

მანანა, აღმზრდელი

მხოლოდ ასეთ გარემოში შეძლებს ბავშვი საკუთარი ამრის გამოხატვას. საკუთარი შეხედულებების ქონა და მათი დაფიქსირების უნარი წარმოადგენს სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური და მედეგი ბავშვის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს. განსაკუთრებული როლი აქვს ადრეული განათლების სპეციალისტს, რომელმაც უნდა შექმნას ისეთი მეგობრული და ბავშვზე ორიენტირებული გარემო, სადაც ბავშვებს აქვთ განცდა, რომ მათ უსმენენ, მათი ამრი აინტერესებთ და პატივს სცემენ.

ზრდასრულების მხრიდან ასეთი დამოკიდებულება ქმნის როლურ მოდელს ბავშვებისათვის და გარდაუვალ წინაპირობას, ერთმანეთის ამრის მოსმენის, თანატოლების სურვილების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინების წასახალისებლად.

ბულინგის პრევენცია სოციალურ-ემოციური განვითარების ხელშეწყობით

პროაქტიულია ქმედება, რომელიც გამოწვევის დადგომამდე მართავს სიტუაციას. ამის საპირისპიროა რეაქტიული ქმედებები, რომლებიც გულისხმობს რეაქციას გამოწვევის წინაშე დადგომის შემდეგ. მაგალითად, ჯგუფში მხოლოდ ორი მაკრატელია და სივრცე ისე არის მოწყობილი, რომ ხელოვნების საქმიანობაში ერთდროულად ათი ბავშვი შეიძლება ჩაერთოს. აღმზრდელ-პედაგოგი პროაქტიულია, თუ ის კოლაჟის დამზადების დაწყებამდე მოიტანს დამატებით მაკრატლებს ან ბავშვების დასაშვებ რაოდენობას შეამცირებს იმ მიზნით რომ სავარაუდო კონფლიქტები თავიდან აიცილოს მაკრატლების განაწილებასთან დაკავშირებით. ამ პროაქტიული ქმედების გარეშე მეტად სავარაუდოა, რომ ბავშვებმა ვერ გაიყონ მაკრატლები და იჩიუბონ, კონფლიქტზე აღმზრდელ-პედა-

გოგის რეაქცია კი იქნება, ერთი მხრივ, ბავშვების დახმარება მის მოგვარებასა და ბრძნის მართვაში და, მეორე მხრივ, კონფლიქტის პრევენცია.

პროაქტიული საგანმანათლებლო სტრატეგიები გულისხმობს ისეთი სიტუაციას, რომ გამოწვევები არ წარმოიქმნას. ბულინგის გამოვლენამდე საგანმანათლებლო პერსონალი იყენებს სტრატეგიებს პრევენციის მიზნით. ეს პროაქტიული სტრატეგიები მიმართულია ისეთი უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს ბულინგისგან თავისუფალ გარემოს.

ამ თვალსაზრისით (ბულინგის პრევენციის მიზნით) მნიშვნელოვანია პროაქტიულად შევუწყოთ ხელი ბავშვების ემოციური კომპეტენციების განვითარებას და პროსოციალური ქცევის ჩამოყალიბებასა.

„სულ ველაპარაკები და ვუხსნი, რომ ასე არ შეიძლება, რომ უნდა იმეგობრონ, მაგრამ გუგას ვერაფერი გავაგებინე“.

ხათუნა, აღმზრდელ-პედაგოგი

„მეგობრობის სამაჯურებიც გავაკეთებინე, მერე წიგნიც წავუკითხე მეგობრობაზე, მაგრამ არაფერი შეიცვალა, ნუცა ისევ არ ეთამაშება სალომეს და ასე ჩაგრავს.“

მანანა, აღმზრდელი

სტრატეგიების ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ვახორციელებთ მას, როდის და რასთან კომბინაციაში.

თუ დამრიგებლური ტონი გაქვთ ან ბავშვის განვითარების დონის შესაბამის მეტყველებას არ იყენებთ, „ლაპარაკი და ახსნა“ ანუ „ჭკუის დარიგება“ არაეფექტური სტრატეგია იქნება.

თუ წერტილოვნად გეგმავთ აქტივობებს და ბავშვებს არ ეძლევათ ამ გამოცდილების გააზრების საშუალება, კონკრეტული აქტივობა ვერ მოგცემთ სასურველ შედეგს.

ბავშვები, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში, სწავლობენ:

- კეთებით – მათ თვითონ უნდა გააკეთონ, შეეხონ, ნახონ, გასინჯონ... უნდა გამოსცადონ ახალი ცოდნა, უნარი თუ სიტუაცია;

- გააზრებით – ისინი უნდა დაფიქრდნენ და გააანალიზონ, რა გამოუვიდათ, რა იყო რთული, როგორ იგრძნეს თავი, რა მოეწონათ;

- თავიდან გამოცდით – მათ სხვადასხვა ფორმაში უნდა გადმოს-

ცენ ახალი ცოდნა, დახატონ, გაითამაშონ, მოყვნენ, იცეკვონ თუ იმღერონ;

■ პროცესის კონტროლით – ისინი უნდა გეგმავდნენ და წყვეტდნენ, როდის, რა, რამდენი ხნით და რამდენჯერ გააკეთონ. სწავლის პროცესი, რომელსაც თამაშის ფორმა აქვს, ნებაყოფლობითი, საინტერესო და შინაგანად მოტივირებული უნდა იყოს.

აღნიშნული უნარების განვითარების ხელშეწყობა სკოლამდელ დაწესებულებაში ტიპური საგანმანათლებლო სტრატეგიების გამოყენებით ხდება. ამ სტრატეგიებით შესაძლებელია ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობა, ანუ, მისი აღჭურვა ნებისმიერი უნარითა და ცოდნით. თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგიებმა ჩაანაცვლა ძველებური სწავლების მეთოდები (გაკვეთილის ჩატარება, ჯილდოსა და დასჯის გამოყენება და სხვა). კომპეტენტურმა საგანმანათლებლო პერსონალმა ისეთი თანამედროვე ეფექტური სტრატეგიების გამოყენება უნდა იცოდეს, როგორიცაა ხარაჩოს მეთოდი, მოდელირება, კითხვების დასმა, გამოწვევების შექმნა, საქმიანობების ინიცირება, წიგნის კითხვა და რეფლექსიის წახალისება.

ხარაჩოს მეთოდი

ხარაჩოს მეთოდი გულისხმობს ბავშვის მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში ახალ და რთულ საქმიანობაში წარმატებულობის უზრუნველყოფით. საგანმანათლებლო პერსონალი ბავშვთან ერთად ერთვება საქმიანობაში და მოდელირების ან დემონსტრირების გამოყენებით ეხმარება მის განხორციელებაში მანამ, სანამ ბავშვი დამოუკიდებლად შეძლებს იმავეს.

მოდელირება

მოდელირება გულისხმობს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებას, რომლებიც უნდა განუვითარდეს ბავშვს.

კითხვის დასმა

კითხვის დასმა ბავშვის ზედა ღონის სააბროვნო უნარების განვითარების მიზნით გულისხმობს ღია კითხვების გამოყენებას. ღია კითხვები, რომლებსაც ერთი სწორი პასუხი არა აქვს, ის სუბიექტურ აღქმასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. ნიმუშები:

- შენი აზრით, რატომ იყო მოწყენილი ბაჭია? რატომ მოიქცა ასე და-თუნია?
- დააკვირდი, რას ხედავ? რითი განსხვავდება და რითი ჰგავს ეს საგნები ერთმანეთს?
- როგორ ფიქრობ, რა მოხდება, თუ ასე მოიქცევი?
- რა შეიძლება გააკეთო, რომ პრობლემა თავიდან აიცილო?
- წარმოიდგინე, რომ არ არსებობდეს ელექტროენერგია, რა მოხდება?
- რომელია შენი საყვარელი წიგნი? რატომ?
- რას იგრძნობ ამ დროს?

გამოწვევების შექმნა

გამოწვევების შექმნა გულისხმობს გარემოში ისეთი ცვლილებების შეტანას, რომლებიც ახალ გამოწვევებს შექმნის და განსხვავებულ გამოცდილებებს მისცემს ბავშვებს. მაგალითად, ახალი ტიპის საღებავები-სა და ფუნჯების შემოტანა ან ჯგუფში არსებული რესურსების ისე დაწყობა, რომ ბავშვებს მოუწოდებდეს მათი ახლებურად გამოყენება.

საქმიანობების ინიცირება

საქმიანობების ინიცირება გულისხმობს კონკრეტული საქმიანობის მოფიქრებას, დაგეგმვას და განხორციელებას. იგი შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს, მაგალითად, დრამატული, სენსორული, კონსტრუქციული თამაში და სხვა. ასევე შესაძლებელია მას პროექტის ან ღონისძიების სახე ჰქონდეს (მაგალითად, ექსკურსია სახანძროში) ან დარბაზის გადაქცევა თეატრად, სპექტაკლის დადგმა და მშობლებისთვის წარმოდგენის გამართვა. ინიცირებული საქმიანობები ისე უნდა იყოს შერჩეული ან მოფიქრებული, რომ კონკრეტულ სამიზნე უნარზე გაგვიყვანოს.

თუ თემატური კურიკულუმით ხდება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, შესაძლებელია ასევე თემის ინიცირება კონკრეტული მიზნისთვის. მაგალითად, მეგობრობის თემის შემოტანა პროსოციალური ქცევის ჩამოსაყალიბებლად.

წიგნის კითხვა

წიგნის კითხვა, როგორც საგანმანათლებლო სტრატეგია, გულისხმობს კონკრეტული თემის, წიგნის შერჩევას, წაკითხვას და ბავშვებთან ერთად გაანალიზებას კონკრეტული კომპეტენციების განვითარების მიზნით. მაგალითად, წიგნის შერჩევას, რომელშიც მთავარი პერსონაჟი სხვადასხვა ემოციას განიცდის, ამ წიგნის წაკითხვას სრულ ჯგუფთან, წიგნიერების ცენტრში მცირე ჯგუფებთან მის ხელახლა წაკითხვას და ბავშვებისთვის კითხვების დასმას: „როგორ ფიქრობთ, რას გრძნობს ამ დროს დათუნია?“, „თქვენ როგორ მოიქცეოდით დათუნის ადგილას?“

რეფლექსიის წახალისება

რეფლექსიის წახალისება გულისხმობს კონკრეტული სიტუაციების, საქმიანობების ან დღის ბოლოს ბავშვების დაფიქრებას იმაზე, თუ რა მოხდა, როგორ გრძნობენ თავს, რა მოეწონათ და არ მოეწონათ. რეფლექსიის წახალისება ხდება როგორც ღია კითხვების დასმით, ასევე მოდელირებით – საგანმანათლებლო პერსონალს შეუძლია ჯერ თავისი აზრები გაუზიაროს ბავშვებს.

ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობა

საკუთარი ემოციების ამოცნობა, გამოხატვა და მართვა და სხვების ემოციების ამოცნობა, მათ მიმართ ემპათიის განცდის უნარი ემოციური კომპეტენციებია. ადრეული ასაკი მნიშვნელოვანი პერიოდია ამ კომპეტენციების განვითარებისათვის.

ბ.ბ) ბავშვი ამჟღავნებს საკუთარ ემოციებს:

ემოციების გაცემა	ბაძავს სხვა ბავშვებს (მაგ., ტირის, როდესაც სხვა ბავშვები ტირიან).		იღებს ისეთივე გამომეტყველებას და გამოხატავს ისეთსავე ემოციას, როგორსაც მზრუნველის სახეზე ამოიკითხავს.	აღიქვამს სხვის მიერ გამოხატულ სხვადასხვა ემოციას (მაგ., სიხარულს, შიშს, მოწყენილობას).
ემოციების გამოხატვა	ილიმება, როდესაც ხედავს ნაცნობ სახეს.	როდესაც დახმარება, დამშვიდება ან ყურადღება სჭირდება, მზრუნველს ამაზე ტირილით, ხმით ან სხეულის მოძრაობით მიანიშნებს.	თამაშისას გამოხატავს ემოციებს (მაგ., ილიმება ან იცინის, კეთილგანწყობას პასუხობს ღიმილით, სიცილით, ხელის ქნევით. იღუშება, როდესაც რაღაც აწუხებს ან არ შეუძლია თავი გაართვას ამოცანას).	გამოხატავს ემოციებს, განცდებს ნაცნობი ადამიანების, ცხოველების ან საგნების მიმართ (ეხუტება და კოცნის მშობლებს).
ემოციების და ქცევის მართვა	ადვილად წყნარდება, როდესაც ანუგეშებს მზრუნველი ან თავს ირთობს სატყუართი, თითებით, ეღუღუნება საკუთარ თავს, ეხუტება და ეფერება რბილ სათამაშოს, საბნის კუთხეს.	დასამშვიდებლად მიმართავს მზრუნველს, ეძებს გზებს ყურადღების მისაპყრობად და წყვეტს ტირილს როგორც კი მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდება.	ბევრს ხმაურობს, ხმაშლით იცინის, სიამოვნებს თავისი ხმის გაგონება.	ავლენს უსაფრთხოების შეგრძნებას ახლოზე მზრუნველებთან, ეძებს მათ, როდესაც ეშინია ან დაწყენარება სურს.
იმპულსურობის და ქცევის მართვა	მზრუნველის დახმარებით უყალიბდება სიფხიზლის და კვების თანმიმდევრული ციკლი (მაგ., გამოხატავს უკმაყოფილებას ძილის დარღვევის შემთხვევაში).	ჩართულია რამდენიმე რეგულარულ აქტივობაში (მაგ., უმღერის ან ეღუღუნება საკუთარ თავს ძილის წინ).	ელოდება და წინასწარ ემზადება სასურველი ქმედებისათვის (მაგ., ეზოში გასვლის დროს ხელებს იწვევს მზრუნველისაკენ, რომ ხელში აიყვანოს).	ემორჩილება მზრუნველის მართვით (მაგ., წაიღე, მოიტანე, მომივი, დადე);

„ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტში“ ემოციური კომპეტენციები ოთხ კატეგორიად არის დაყოფილი:

- ემოციების გაგება;
- ემოციების გამოხატვა;
- ემოციების და ქცევის მართვა;
- იმპულსებისა და ქცევის მართვა.

თითოეული კატეგორიის განვითარება აღწერილია ინდიკატორების მეშვეობით.

სტანდარტში აღწერილი ემოციური კომპეტენციების ხელშეწყობა გულისხმობს ბავშვებისთვის საკუთარი და სხვისი ემოციების ამოცნობის სწავლებასთან ერთად, სხვისი პერსპექტივის და სიტუაციებისა და ემოციებს შორის მიზეზ-შედეგობრიობის დანახვის უნარების განვითარებასაც. ბავშვებში ამ უნარების განვითარება მათ ემპათიურს გახდის. ემპათიურია ბავშვი, რომელსაც შეუძლია სხვისი ემოციების გაგება და გაზიარება, სხვის ადგილას საკუთარი თავის წარმოდგენა. ემპათიის განცდა ეხმარება ბავშვებს თავი შეიკავონ ბუღინგური ქცევებისგან.

ემოციური კომპეტენციების განსავითარებლად შესაძლებელია გამოიყენოთ შემდეგი საქმიანობები:


სამაგიდო აქტივობა

„მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ“

თითოეული ბავშვისთვის ამოებეჭდეთ ბარათები და დაამზადეთ A3 ზომის პოსტერი ილუსტრაციის შესაბამისად. მოიმარაგეთ ცენტრში ბარათები, პოსტერები, ფერადი ფანქრები, მაკრატელი და წებო. მცირე ჯგუფებად მოკალათებულ ბავშვებს გაუზიარეთ ოქროს წესის შესახებ: „მოექეცი სხვებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ“. ჰკითხეთ, რას ნიშნავს ეს წინადადება, მათი აზრით. აუხსენით, რომ ეს შეიძლება ასევე გავიგოთ ასე: „არ მოექცე სხვებს ისე, როგორც არ გინდა. რომ შენ მოგექცნენ“. ისაუბრეთ მათთან ერთად, როგორ უნდათ, რომ მოექცნენ ან არ მოექცნენ მათ სხვები. დააფიქრეთ, როგორ იგრძნობდნენ თავს, თუ ვინმე მათ დაჩაგვრას შეეცდებოდა. შემდეგ გაარჩიეთ თითოეული ბარათი და სთხოვეთ, ჩააკრან პოსტერის შესაბამის სვეტში. იმის მიხედვით, უნდათ, თუ არა, რომ ასე მოექცნენ თანატოლები და, შესაბამისად, თვითონაც ასე მოექცნენ სხვებს. აქტივობის ბოლოს განიხილეთ ბავშვის არჩევანი.

შეგიძლიათ ბარათები გააფერადებინოთ, სანამ დააწებებენ. შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, დაამზადონ თავიანთი ბარათები: მოუმზადეთ ბა-

რათის ზომის ფურცლები; დაეხმარეთ ბარათის წარწერის მოფიქრებაში, სთხოვეთ, გააკეთონ ამ წარწერის შესაბამისი ნახატი და თქვენ მოგცეთ უფლება, მათ მიერ ნაკარნახევი წარწერა გაუკეთოთ ბარათს.



დრამატული თამაში

„გამოიცანი ემოცია“

მომზადეთ ემოციების ბარათები და მოათავსეთ კონტეინერში. მცირე ჯგუფში ბავშვებს სთხოვეთ მოკალათდნენ ერთად, ერთ-ერთი მათგანი გამოვიდეს და ამოიღოს ერთი ბარათი. ისე, რომ სხვებს არ გაუზიაროს, გაითამაშოს „ამოღებული ემოცია“. დანარჩენები ცდილობენ გამოიცნონ ემოცია.

დამატებით: ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეგიძლია მას სთხოვოთ, გაიხსენოს, როდის განიცადა ბოლოს „ამოღებული ემოცია“ და მოყვეს ეს სიტუაცია („მე ბოლოს ასე თავი ვიგრძენი, როცა...“) ან გაითამაშოს ეს სიტუაცია, რომ დანარჩენებმა გამოიცნონ.

დაამზადეთ ბარათები „მარტო ხმით“, „მარტო მოძრაობით“ და „ხმითა და მოძრაობით“. სთხოვეთ ბავშვს, „ემოციის ბარათებთან“ ერთად ამოიღოს ერთ-ერთი ამ ბარათებიდანაც. იმის მიხედვით, თუ რა ამოუვა, მარტო ხმით გამოხატოს ემოცია, გაითამაშოს უხმოდ ან ხმაც და მოძრაობაც გამოიყენოს ბავშვებისთვის მინიშნების მიცემისას.



მე ბოლოს ასე
თავი ვივრდები
როცა...



ხელოვნების საქმიანობა


ემოციების კოლაჟი

მოიმარაგეთ ძველი ჟურნალები და ილუსტრაციები. ამასთანავე, წებო და მაკრატელი. ბავშვებს სთხოვეთ მოძებნონ სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სახეები და ამოჭრან. დააწებონ ეს სახეები ერთ დიდ პოსტერზე.

დამატებით: სთხოვეთ გააფერადონ პოსტერი სხვადასხვა ფერად და თითოეულ ფერს მიაკუთვნონ ერთი ემოცია. ამოჭრილი სახეები იმ ფერში ჩააკრან, რომლის ემოციასაც შეესაბამება. მაგალითად, წითელი ბრავს გამოხატავს (და გაბრაზებულ სახეებს აკრავენ წითელ კუთხეში), ხოლო ყვითელი - სიხარულს.

როგორ იცვლება ჩემი ემოციები

მოიმარაგეთ დიდი პოსტერი და თითოეული ბავშვისთვის ემოციების შესაბამისი ღიმილები. დილის წრეზე სთხოვეთ ბავშვებს, ამოარჩიონ ღიმილი, რომელიც გამოხატავს მათ ემოციას და ჩააკრან მათი სახელის გასწვრივ პირველ გრაფაში. საღამოს წრის წინ სთხოვეთ თითოეულ ბავშვს, თავიანთი სახელის გასწვრივ მეორე გრაფაში ჩააკრან ღიმილი, რომელიც მათ ამჟამინდელ ემოციას გამოხატავს. საღამოს წრეზე ისაუბრეთ მიღებულ პოსტერზე. აუხსენით, რომ პოსტერზე ჩანს თითოეული მათგანის ემოცია, - როგორი იყო დღეს დილით და როგორია ახლა. ზოგიერთის ემოცია ერთნაირია, ზოგიერთს კი შეეცვალა. ჰკითხეთ, რატომ გრძნობდნენ ასე თავს დილით და გრძნობენ ახლა?



პროსოციალური ქცევის ჩამოყალიბება

პროსოციალური არის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანებისა და საზოგადოების დახმარებას. საზოგადოებრივი ნორმებისა და წესების დამორჩილება პროსოციალური ქცევას, ასევე გაზიარება, დახმარების გაწევა და თანამშრომლობა.

ბ.გ) ბავშვი ავლენს პროსოციალურ ქცევას:

სოციალური მოლოდინები და ნორმები	იმის გასარკვევად, რომელი ქცევაა მისაღები და რომელი – მიუღებელი, მზრუნველს აკვირდება.		მზრუნველის ამა თუ იმ მოქმედებიდან გამომდინარე, ხვდება, რის გაკეთებას ელიან მისგან და როგორ უნდა მოიქცეს.		იცის, რომ შეუძლია ითამაშოს ნებადართული ნივთებით, მაგრამ თუ აკრძალული ნივთის აღებას ცდილობს ამ დროს უყურებს მზრუნველს, აკვირდება მის რეაქციას.		იწყებს იმის გააზრებას, რომ ზოგიერთი ნივთი მას ეკუთვნის, ზოგიერთი – სხვას (მაგ., სათამაშოზე შეუძლია თქვას „ჩემია“, შეუძლია შეასრულოს მითითება: „მოიტანე ბეზოს სათვალე!“).	
ურთიერთობა	იმის მიხედვით, რა აწუხებს, სხვადასხვა ხმით ტირის.	სხვებს აგებინებს თავის მოთხოვნებს.	ბაძავს ნაცნობი უფროსების მიმიკასა და ჟესტებს (მაგ., ხელს იქნევს დამშვიდობების ნიშნად, გზავნის ჰაეროვან კოცნას).	მზრუნველების მიმართ სიყვარულს გამოხატავს სახის გამომეტყველებით, სხეულის მოძრაობით, ცდილობს ურთიერთობების დამყარებას.	ამოწმებს მზრუნველის რეაქციას საკუთარ ქცევაზე (მაგ., ტირის იმიტომ, რომ მზრუნველმა უბასუხოს).	იმეორებს ან ბაძავს მოქმედებებს, როდესაც იცის, რომ სხვები უყურებენ.		
სოციალური თამაში	უნებურად ელიმება სხვა ბავშვის დანახვამდე.	ამჟღავნებს, რომ სიამოვნებს სხვა ბავშვებთან ურთიერთობა (მაგ., ხელის გაწვდენით, სხეულის მოძრაობით, ხმოვანი სიგნალებით).	აკვირდება და ბაძავს სხვა ბავშვების მოქმედებას, ცდილობს სხვა ბავშვების მსგავსად მოქცევას.	სხვა ბავშვებისთვის სათამაშოს გამორთმევას ცდილობს.	სხვა ბავშვების მიმართ ამჟღავნებს ინტერესს, ცდილობს მიუახლოვდეს და შეეხოს მათ.	უხარია სხვა ბავშვების გარე-მოცვაში ყოფნა.		

კონფლიქტის მოგვარება	იბერობს მზრუნველის ყურადღებას და აგებიანებს, რა სჭირდება.	გამოკვეთს, რას ანიჭებს უპირატესობას და რა აქვს განზრახული, შეკითხვებზე „კი-არა“ პასუხების მეშვეობით.	თავისი მოთხოვნის საპასუხოდ ცდილობს მზრუნველის დახმარების მიღებას;
-------------------------	---	--	--

„ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტში“ პროსოციალური ქცევა ოთხ კატეგორიად არის დაყოფილი:

- სოციალური მოლოდინი და ნორმები;
- ურთიერთობა;
- სოციალური თამაში;
- კონფლიქტის მოგვარება.

თითოეული კატეგორიის განვითარება აღწერილია ინდიკატორების მეშვეობით.

პროსოციალური ქცევის ხელშეწყობა გულისხმობს ისეთი უნარებისა და ჩვევების განვითარებას, რომლებიც ეფექტურია ბულინგურ ქცევასთან გამკლავებაში. ბავშვი, რომელიც ცდილობს კონფლიქტების მოგვარებას, ხედავს გზებს პრობლემების გადასაჭრელად, ახერხებს გუნდურ მუშაობასა და თამაშს და ზრუნავს სხვებზე, ნაკლებად მიმართავს ბულინგს და აგრესიულ ქცევებს; ის მეტი ალბათობით მოახერხებს ბულინგის შეჩერებას.

პროსოციალური ქცევის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდეგი საქმიანობები:

ხელოვნების აქტივობა

„და მერე რა მოხდა?“

სხვადასხვა ტიპის ბულინგის აღმწერი სცენარის მიხედვით, წინასწარ უნდა დამზადეს თანმიმდევრობითი ბარათები და რამდენიმე ცარიელი ბარათი. მოიმარაგეთ დამზადებული ბარათები და სახატავი რესურსი. მცირე ჯგუფში ბავშვებს სთხოვეთ, დააწყონ დასურათებული ბარათები სწორი თანმიმდევრობით. ერთად მოყევით ამბავი, რომელსაც ბარათები აღწერს და ჰკითხეთ ბავშვს, რა შეიძლება მოიმოქმედონ მსხვერპლ-

მა და შემსწრემ, რა შეიძლება ამ მოქმედებებს მოჰყვეს. სთხოვეთ დახატონ: ერთ ბარათზე – მოქმედება, მეორეზე – ამ მოქმედების შედეგი. დაასრულეთ ამ ნახატებით სიტუაცია და განიხილეთ ის. დარწმუნდით, რომ ერთ-ერთ მოქმედებად ზრდასრულის დახმარების თხოვნა დაასახელონ.

დამატებით: ამ აქტივობის გასამართივებლად შესაძლებელია გეონდეთ მოქმედების და შედეგის წინასწარ დამზადებული ბარათების მრავალფეროვანი ვარიანტი. ამ შემთხვევაში აქტივობა სამაგიდო ცენტრში განხორციელდება. უფრო გასამართივებლად შესაძლებელია მხოლოდ ერთი ბარათი იყოს მთლიანი სიტუაციის, ხოლო მეორე – მოქმედებისა და მისი შედეგის აღსაწერად. ამ შემთხვევაში აქტივობა წიგნიერების ცენტრში განხორციელდება და მისი მიზანი მხოლოდ ამბების სიტყვიერად გადმოცემა და მათი ანალიზი იქნება.

აქტივობის გასაფართოებლად შეგიძლიათ შესთავაზოთ ბავშვებს, გაითამაშონ ბარათებით აწყობილი სიტუაციები. ამ შემთხვევაში დარწმუნდით, რომ მჩაგვრელს თქვენ გაითამაშებთ და ბავშვები გამოცდიან როგორც მსხვერპლის, ასევე ბულინგის შემსწრის როლებს.

დრამატული თამაში

„ერთად დავდგათ სპექტაკლი“

მოიმარაგეთ თეჯირი და ხელის თოჯინები სათამაშოების სპექტაკლის დასადგმელად. წაახალისეთ ბავშვები, დადგან სპექტაკლი. ხარაჩოს მეტოდის გამოყენებით შეუწყვეთ ხელი, რომ ბავშვებმა დამოუკიდებლად გადაინაწილონ როლები, მოიფიქრონ სცენარი და გამართონ წარმოდგენა.

დამატებით: აქტივობის გასართულებლად შესაძლებელია სპექტაკლი თვითონ გაითამაშონ. ამ შემთხვევაში მოიმარაგეთ კოსტიუმები ან ძველი ტანსაცმელი, რომელსაც კოსტიუმებად გამოიყენებენ. აქტივობის გასამართივებლად შესაძლოა შესთავაზოთ ნაცნობი ზღაპრის გათამაშება. ეს აქტივობა აუცილებლად მცირე ჯგუფში უნდა განხორციელდეს (მაქსიმუმ 6-7 ბავშვი).

ბულინგის დროს და მერე

უნივერსალური და პროაქტიული საგანმანათლებლო სტრატეგიების დანერგვა მნიშვნელოვანია ბულინგის პრევენციისთვის, თუმცა მას ვერ აღმოფხვრის. ამ საფეხურების სტრატეგიების დანერგვის შედეგად მხოლოდ შემცირდება ბულინგი და მისი წინარე ქცევების რაოდენობა. ამიტომ მნიშვნელოვანია იცოდეთ, როგორ მოიქცეთ ბულინგის დაფიქსირების შემდეგ იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, გამოვლენილი ქცევა ჩააქროთ და, მეორე მხრივ, ხელი შეუშალოთ ამ ტიპის ქცევების გამრავლებას.

ძალიან ცოტანი არიან ბავშვები, რომლებიც სხვებივით არ რეაგირებენ უნივერსალურ და პროაქტიულ სტრატეგიებზე და მაინც იყენებენ ბულინგს, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთ სახეს. ისინი არ არიან „ცუდი“ ან „პრობლემური“ ბავშვები. სხვადასხვა მიზეზების გამო მათ, უბრალოდ, მეტი მხარდაჭერა სჭირდებათ ზრდასრულების მხრიდან. ადრეული განათლების სპეციალისტის უპირველესი პასუხისმგებლობა სწორედ იმ ბავშვების მხარდაჭერაა, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალურ მიდგომას საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

არასწორი ხედვაა, როდესაც აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ფიქრობენ, რომ გამოწვევების შემთხვევაში კონკრეტულ ბავშვთან ფსიქოლოგმა ან სპეცპედაგოგმა უნდა იმუშაოს და ამ პროცესში თავად ჩართულები არ უნდა იყვნენ. საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვებთან ყოველთვის უნდა მუშაობდნენ აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი, ისინი არიან უპირველესი პასუხისმგებლები თითოეული ბავშვის განვითარებაზე. დაწესებულებაში და მის გარეთ მომუშავე ფსიქოლოგები, სპეცპედაგოგები, მეთოდისტები და სხვა სპეციალისტები არიან აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელის დამხმარე ძალა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩაერთოს პროცესში და მხარში დაუდგეს მათ.

ინდივიდუალიზებული სტრატეგიების და მიდგომების გასაწერად მნიშვნელოვანია მულტიგუნდთან მუშაობა, რომელიც ეხმარება აღმზრდელ-პედაგოგსა და აღმზრდელს ბავშვის ქცევის შეფასებაში, სტრატეგიების შერჩევასა და მათი ეფექტურობის შეფასებაში.

საგანმანათლებლო პერსონალის რეაქცია ბულინგზე განსაზღვრავს, ამ ქცევას ბავშვი ისევ გამოიყენებს და სხვა ბავშვებიც მიმართავენ თუ არა მას. ამიტომ მნიშვნელოვანია პერსონალმა იცოდეს, როგორ უნდა მოიქცეს, თუ ბულინგი შენიშნა:

■ თუ სიტუაცია შეიცავს ფიზიკურ საფრთხეს, პირველ რიგში, გაანეიტრალეთ ეს სიტუაცია. მაგალითად, ფიზიკურად გააშორეთ ბავშვები, ჩამოართვით სახიფათო ნივთი და სხვა.

■ გამოხატეთ ემპათია მსხვერპლის მიმართ. ვერბალიზება გაუკეთეთ მის განცდებს და აღწერეთ ამ ემოციების გამომწვევი მიზეზი: „თამუნა ტირის, რადგან ნაწყენია, რომ ხათუნამ მასთან თამაშზე უარი თქვა“.

■ განმუხტეთ სიტუაცია. თუ ბავშვები გაღიზიანებულები არიან და ძლიერ ემოციებს განიცდიან, დაეხმარეთ დამშვიდებაში.

■ მშვიდ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს დაეხმარეთ პრობლემის გადაჭრაში. ამ პროცესში დაეხმარეთ მსხვერპლს საკუთარი სურვილისა და გრძნობების ასერტულად გამოხატვაში (გამოიყენეთ მოდელირება ან დემონსტრირება) და მხაგრელს მსხვერპლის ემოციების გაგებასა და მის ქმედებებთან დაკავშირებაში, რათა ემპათიის უნარი განუვითარდეს.

„ეზოში ბავშვების მცირე ჯგუფთან ერთად ცარცით ძირს ვხატავდი, როდესაც შევნიშნე, რომ გუგა მობუზული განცალკევებით იდგა. იქამდე გუგა მამუკასთან, ლევანთან და დათოსთან ერთად დაჭერობანას თამაშობდა. გუგასთან რომ მივედი მიზეზების გამოსარკვევად, მან ჩემთან საუბარი არ ისურვა. მე ჩემი ეჭვები მქონდა – ბოლო პერიოდში შევამჩნიე, რომ როდესაც დათო ბაღს აცდენდა, იმ დღეებში გუგა უფრო მხიარული იყო და რთულ ქცევას ნაკლებად ავლენდა; ასევე დავაკვირდი, რომ ხშირად დათოსთან ერთად თამაში მისი გარიყვით სრულდებოდა. ვცადე გუგასთვის ამეხსნა, რომ შეეძლო ჩემთვის ნებისმიერი რამ ეთქვა, რომ მისი დახმარება მინდოდა. რადგან გუგა ვერ აგალაპარაკე, გადავწყვიტე დანარჩენი ბიჭებისთვის დამეძახა.

მე: ვხედავ, გუგა მოწყენილია, ხომ არ იცით, რა მოხდა?

დათო: დაჭერობანას ვთამაშობთ. ძალიან ბევრს დავგრბივართ... აი ასე... სწრაფად... გუგა ნელა დარბის, ვერავის გვიჭერს.

გუგა: დავიჭირე.

დათო: არა, ვერ დამიჭირე... აი ესე დარბიხარ შენ... ესე უნდა ირბინო, რომ ითამაშო.

მე: მე მგონი, გუგა ამის გამო არ არის მოწყენილი, მგონი ნაწყენია. გუგა, შეგიძლია გვითხრა, რა გეწყინა?

გუგა [ტირილით]: აღარ მეთამაშებიან.

სიტუაცია ნათელი იყო. დათომ გუგა გარიყა და ეს პირველად არ მომხდარა. როგორც კი ტირილი დაიწყო გუგამ, ჩავეხუტე და მისი დამშვიდება დავიწყე. ამ მომენტში დათო გაიქცა და დანარჩენ ბიჭებს დაუძახა, რომ თამაში განეგრძოთ. დათო და ბიჭები მიცდიდნენ, ამიტომ გუგას არ მოვშორებივარ, ჩავეხუტე, სანამ არ დაწყნარდა.

მე: ვიცი, როგორი მტკივნეულია, როდესაც უარს გეუბნებიან თამაშზე. შევამჩნიე, რომ დათო ხშირად იქცევა ასე. შენ ახლა ძალიან ნაწყენი ხარ. იცოდე, ჩემთვის ასეთი ქცევა მიუღებელია. აუცილებლად უნდა მითხრა ხოლმე, რომ შენი დახმარება შევძლო. რომ დაწყნარდები, ერთად მივიდეთ დათოსთან და ავუხსნათ, შენ რას გრძნობ, კარგი?

მართლაც, გუგას დაწყნარების შემდეგ ისევ დავუძახე ბიჭებს და ღია კითხვების დასმით და პასუხების მოდელირებით ხელი შევუწყვე გუგას, გამოეხატა თავისი ემოციები და დათოს – გაეგო, რა გავლენა ჰქონდა მის ქცევას გუგაზე. საუბრისას ჩემი აზრიც მკაფიოდ დავაფიქსირე – ასეთი ქცევა, რომელიც მიმართულია ყოველთვის ერთი და იმავე ბავშვის გარიყვაზე, სხვისი დაჩაგრავა და ეს ჩემთვის მიუღებელია. შემდგომ კი ყველა ბიჭს ვკითხე:

მე: თქვენი აზრით, რა შეგვიძლია ვქნათ, რომ ეს სიტუაცია მოვაგვაროთ?

ლევანი: შეგვიძლია რამე სხვა თამაში ვითამაშოთ ყველამ ერთად.

დათო: არ მინდა. მე დატერობანა მინდა... მართო დატერობანა მინდა.

მე: ყოჩაღ, ლევან ძალიან კარგი გამოსავალი მოძებნე. იქნებ კიდევ გქონდეთ სხვა იდეა?

ლევანი: როდესაც გუგა დამტერი იქნება, მეც დავეხმარები სხვების დატერაში.

მამუკა: კი, შეგვიძლია ორი ორზე ვიყოთ.

მე: ძალიან საინტერესო გამოსავალია, ხომ არ ვცადოთ? ყველა თანახმაა?

სანამ ოთახში ავიდოდით, სულ ბიჭებთან ერთად ვიყავი, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩავრეულიყავი. ამ პერიოდში გადავწყვიტე, რომ მომავალში ბუღინგის პრევენციის მიზნით უნდა დამეგეგმა დათოსა და გუგაზე მორგებული ინტერვენცია. სანამ სტრატეგიებს შევარჩევდი, გადავწყვიტე, იმ დღესვე, საღამოს, წრეზე გავგეხილა ეს სიტუაცია, მით

უმეტეს, „ექსპერიმენტი“ წარმატებულად დამთავრდა. საღამოს წრეზე ვიკითხე: „დღეს ვინ რა ითამაშა ეზოში?“ ამით საშუალება მივეცი გუგას, დათოს, ლევანს და მამუკას, მოეყოლათ, რა ითამაშეს, რა გამოწვევებს წააწყდნენ, რა განიცადეს და როგორ გადაჭრეს პრობლემა“.

სანდრო, აღმზრდელი

მნიშვნელოვანია, რომ ბუღინგი ზრდასრულის ყურადღების მიღმა არ დარჩეს. საგანმანათლებლო პროცესი ისე უნდა იყოს ორგანიზებული და აღმზრდელ-პედაგოგი და აღმზრდელი ისე უნდა ინაწილებდნენ მოვალეობებსა და როლებს, რომ ერთ-ერთი მათგანი ყოველთვის ახერხებდეს რეაგირებას ასეთ სიტუაციებზე. დაუშვებელია ბავშვების მიტოვება რთულ და კონფლიქტურ სიტუაციებში იმ იმედით, რომ ისინი დამოუკიდებლად შეძლებენ ამ სიტუაციებთან გამკლავებას.

პრობლემურ ქცევაზე საუბარი არ არის რეკომენდირებული მათ წარმოშობამდე, რადგან ამით შესაძლებელია ბავშვებს უბრალოდ არასასურველი იდეები მიაწოდოთ. ამის მიუხედავად მნიშვნელოვანია ბავშვებთან ბუღინგზე ღიად საუბარი, თუ ისინი მიხვდნენ ან გაუგიათ ასეთი სიტუაციის შესახებ. თუ დაჩაგვრის თემა ბავშვებისთვის აქტუალურია (იმის მიუხედავად, რომ შესაძლებელია თვითონ არც მჩაგვრელი, არც შემსწრეები და არც მსხვერპლი ყოფილან), მნიშვნელოვანია ამ საკითხზე ღიად საუბარი. ბუღინგი აქტუალური შეიძლება იყოს პირადი გამოცდილების გარდა იმიტომ, რომ აქტუალურია ბავშვის უფროსი დედამამიშვილისთვის, უყურა მულტფილმს, სადაც ეს საკითხი იყო განხილული ან მეგობარი მოუყვა ასეთ სიტუაციაზე.

ბუღინგზე საუბრისას მნიშვნელოვანია:

- მკაფიოდ დააფიქსიროთ თქვენი განწყობა ამ საკითხის მიმართ, რომ ბუღინგი მიუღებელია და ყოველთვის შეუძლიათ თქვენი იმედი ჰქონდეთ;

- რომ ბუღინგზე საუბარი მისაღებია და მნიშვნელოვანი, რადგან ყველას დაგვეხმარება მასთან გამკლავებაში;

- განიხილოთ გზები, როგორ შეძლებთ ბავშვები და ზრდასრულები ბუღინგთან ბრძოლას.

საგანმანათლებლო სტრატეგიების გამოყენება სერიოზული, თუმცა არასაკმარისი წინაპირობაა ბუღინგთან ბრძოლისას. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პერსონალი ამ მიზნით თანამშრომლობდეს მშობლებთან და დაწესებულების მასშტაბით - კოლეგებთან





მშობლებთან მუშაობის სტრატეგიები

მშობლებთან მუშაობის სტრატეგიები

ბულინგისგან თავისუფალი გარემოს შექმნა სკოლამდელ დაწესებულებებში გულისხმობს, რომ მის შექმნაში ჩართულია როგორც ზრდასრული, ისე ბავშვი. ეს გაგება ეფუძნება მიდგომას, რომ ბულინგი არის დამაზიანებელი და მიუღებელი ქცევა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლების ჩართვა, მათ შეუძლიათ საგანმანათლებლო გარემოში დანერგილი ბულინგის პრევენციისაკენ მიმართული მიდგომები გამოიყენონ სახლის გარემოში და ამით კიდევ უფრო განუმტკიცონ ბავშვებს ქცევა, რომელიც გამორიცხავს თანატოლების დანაშაულს, დამცირებას და ა.შ.

იმისთვის, რომ მშობლებმა აქტიური როლი შეასრულონ ბულინგისგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბებაში სკოლამდელ დაწესებულებაში და ხელი შეუწყონ ბავშვში ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც წარმოადგენს მედევი და სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური ბავშვის მახასიათებელს, მათ უნდა იცოდნენ, რა არის ბულინგი, მისი გამომწვევი ფაქტორები და შედეგები. ამ პროცესში ხშირად მათ სჭირდებათ ინფორმაციის მიწოდება ადრეული განათლების სპეციალისტების მხრიდან.

„ბულინგი ხშირად ბალიდან იწყება და შემდეგ უფრო მძიმე ფორმებს იღებს. სწორედ აქ გვჭირდება აღმზრდელის ქცევის სტრატეგია და მუშაობა მშობლებთან. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების გაერთიანება სხვადასხვა ფორმით, მათი ჩართვა ჩვენს მუშაობაში“

მაკა, სკოლამდელი დაწესებულების დირექტორი

„ძალიან მნიშვნელოვანია მშობლების ინფორმირება, თან ეს მუდმივი პროცესი უნდა იყოს. შეიძლება ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. ჩვენთან ერთად მშობლებმაც უნდა იცოდნენ, რა არის ბულინგი, რას იწვევს ის“

სოფო, აღმზრდელი

ბულინგის პრევენციის ღონისძიებებში მშობლებისა და ბავშვის განათლებაში ჩართული სხვა პირების მონაწილეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ბავშვები ბულინგსა და სხვა

აგრესიულ ქცევებს ხშირად ახორციელებენ სკოლამდელი დაწესებულების გარემოს გარეთ, მაგალითად, ეზოში თანატოლებთან თამაშისას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ოჯახსა და მშობლებს შორის არსებული ურთიერთობის ხარისხი ხშირად განსაზღვრავს ბავშვის მიერ ბულინგის განხორციელების რისკს. მნიშვნელოვანია, მშობლებს აღნიშნული რისკის შესახებ წინასწარ ჰქონდეთ ინფორმაცია, რაც ერთგვარ პრევენციულ ფუნქციასაც შეასრულებს.

„მშობლები ხშირად შვილებს ეუბნებიან, რომ თუ ჩაგარტყა ვინმემ, შენც უნდა დაუბრუნო პასუხი. მნიშვნელოვანია, მშობლებთანაც გმუშაობდეთ. რა მიდგომებსაც ჩვენ ვიყენებთ, მშობლებიც იმავეს უნდა აკეთებდნენ, რომ ბავშვს ერთიანი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს ამა თუ იმ სიტუაციაში მოქცევასთან დაკავშირებით“

ნინო, აღმზრდელი

„მშობლების ჩასართავად ასეთი რაღაც მოვიფიქრე: გავაკეთე პორტფოლიოები, თავიანთი ჩანთები აქვთ, იქ ვაწყობ ნამუშევრებს, ჩემს დაკვირვებებს ვინიშნავ და შემდეგ მშობლებს ვხვდები. ვაცნობ ბავშვის ნამუშევრებს და თან ვცდილობ ჩავრთო მათი ქცევის მართვაში“.

სოფო, აღმზრდელი

ბულინგის პრევენციაში მშობლების ჩართვის მიზნით შესაძლებელია განხილული იყოს რომელიმე ქვემოთ აღწერილი მიდგომა:

- მშობლებთან და ბავშვის განათლებაში ჩართულ სხვა პირებთან შეხვედრების გამართვა, რომელიც ფოკუსირებული იქნება ბულინგის პრევენციაზე;

- საინფორმაციო ბროშურების მომზადება მშობლებისათვის და ინფორმირების უზრუნველყოფა;

- მშობლების ჩართვა ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის პროგრამების შექმნაში (მნიშვნელოვანია მათი აქტიური ჩართვა ბულინგის შემთხვევებზე რეაგირების ეტაპზე, ინფორმაციის მიღება მათგან იმ რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ბავშვის აგრესიულ ქცევას);

- სკოლის შემდგომი კლუბების შექმნა.

მშობლების ინფორმირება ბულინგის პრევენციის მიზნით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებისთვის, როგორიცაა ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ან სხვა ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების ჩართვის პროცესი. მშობლებს სჭირდებათ ინფორმირება, რას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობა, როგორ უნდა შეუწყონ ხელი თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ეფექტურ ჩართვას სკოლამდელ დაწესებულებაში და რა როლი აქვთ მათ აღნიშნულ პროცესში.

„როცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი შემოდის, მაშინ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლებთან აქტიური კონტაქტი, რომ მომავალი გართულებები ავიცილოთ თავიდან. ხშირად მათგან დიდი ემოცია მოდის, ბავშვებისგან უფრო ნაკლებად, მშობლები უფრო რთულად ხვდებიან. ხშირად ამბობენ, ბავშვი ასე იქცევა, მოვიდა ნაკბენი, ბაძავს მას და ა.შ. თავიდან სულ ასეა ხოლმე. ამიტომ წინასწარ ამ თემაზე მუშაობა ჩვენი მხრიდან, აუცილებელია“

მანანა, აღმზრდელი

ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის პროცესში მნიშვნელოვანია, მშობელსა და სკოლამდელი განათლების სპეციალისტებს შორის არსებული კომუნიკაცია იყოს რეგულარული. პრევენციული ღონისძიებების ერთობლივ დაგეგმვასთან ერთად, აუცილებელია აღმზრდელისა და მშობლის ეფექტური კომუნიკაცია უკვე მომხდარი ბულინგის შემთხვევაზე რეაგირებისა და შემდგომი პრევენციის მიზნით. აღმზრდელმა აუცილებლად პირველივე შესაძლებლობისთანავე უნდა მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია ბულინგის შემთხვევის შესახებ (იყო თუ არა მისი შვილი ჩართული და რა ფორმით, რა ინტერვენცია განახორციელა აღმზრდელმა იმ წუთში) და მასთან ერთად განსაზღვროს, რისი გაცემა იქნება სამომავლოდ საჭირო პრევენციის მიზნით.

„მშობლებთან ხშირი კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ინდივიდუალური საუბრები, როცა ამის საჭიროება არის. ასეთი რაღაც მოვიფიქრე: ყოველ დილით ვხვდები მშობლებს შესას-

ვლელთან, რაღაც პატარა კომუნიკაცია ყველასთან სულ მაქვს. დღის განმავლობაში თუ რამე დავაფიქსირე, რაც გარკვეულ ჩარევას ან მშობლის ინფორმირებულობას მოითხოვს, საღამოს ისევ ვესაუბრები“

სოფო, აღმზრდელი

იმისთვის, რომ უკვე მომხდარი ბულინგის შემთხვევაზე რეაგირების პროცესში მშობელი მაქსიმალურად ეფექტურად იყოს ჩართული, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორედ სკოლამდელი დაწესებულების მუშაობას მშობლებთან ბულინგის, მისი ფორმების და მისი, როგორც სოციალური მოვლენის კონტექსტში ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში მოყვანის დღიდან. მშობელი, რომელიც ჩართული იყო სკოლის პოლიტიკის შექმნაში ბულინგის პრევენციასა და ინტერვენციასთან დაკავშირებით, ასევე მუდმივად იღებდა მონაწილეობას აღნიშნულ თემაზე გამართულ სამუშაო შეხვედრებში და თუ სხვა ფორმით გაეცნობა სკოლის პოლიტიკას ბულინგის პრევენციასთან დაკავშირებით, ბევრად უფრო ეფექტურად ჩაერთვება უკვე მომხდარი ბულინგის შემთხვევის მართვის პროცესში, მას ექნება მზაობა და ცოდნა თავისი ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

როგორც უკვე აღინიშნა, ბულინგის, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთი ფორმის განმაპირობებელი, შესაძლებელია იყოს ბავშვის გამოცდილება სკოლამდელი დაწესებულების გარეთ. სწორედ ამიტომ ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციისკენ მიმართული აქტივობები და პროგრამები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ უშუალოდ ბავშვებთან მუშაობით ან მხოლოდ გარე მაპროვოცირებელ ფაქტორზე აქცენტის გაკეთებით.

„მშობლებთან გვექონია ხშირად დაპირისპირება და ბავშვებიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ უკვე ჯგუფში. თავდაპირველად მშობლებთან მუშაობაზე გადავიტანეთ აქცენტი და ბავშვებს ნაკლებად მივაქციეთ ყურადღება. მაღევე მივხვდით, რომ შედეგს ვერ ვაღწევდით, ბავშვებს შორის კვლავ გრძელდებოდა დაძაბული ურთიერთობა. საჭირო იყო ბავშვებთანაც უნდა დაგვეწყო მუშაობა. ერთად ვაკეთებინებდით აქტივობებს, მაგიდას ერთად ვაშლევინებდით. ამან შედეგი მოგვცა მშობლებთან მუშაობის პარალელურად“

მაკა, სკოლამდელდაწესებულების ხელმძღვანელი

გორი რაჯმარცხოთ ბელონი





მართვის
სტრატეგიები

მართვის სტრატეგიები

ბულინგი საერთაშორისო მოვლენაა და გვხვდება ყველა გარემოსა და ქვეყანაში. ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის მნიშვნელობა გამომდინარეობს ბავშვის ძალადობისგან დაცვისა და მისი განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოფხვრის მიზნიდან. მშობლების გადამზადება და მათთან შეხვედრები, სათამაშო მოედნის სუპერვიზია, გრძელვადიანი და ბულინგის პრევენციაზე მიმართული აქტივობები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბულინგის ფაქტების შემცირებას. განსაკუთრებით ეფექტურია ბულინგის პრევენციაზე მიმართული აქტივობები და პროგრამები, თუ მათი გამოყენება და ბულინგის პრევენციაზე მუშაობა დაიწყება მაქსიმალურად ადრეული ასაკიდან.

სკოლამდელი დაწესებულების დონეზე ბულინგის პრევენცია და ინტერვენცია მოიცავს ყოველმხრივ, გრძელვადიან და სისტემურ მიდგომებს. მისი მიზანია სკოლამდელ დაწესებულებაში ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგრვისგან, დაეყრდნობა თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და უფლებების დაცვას. ასეთი გარემო წარმოადგენს აუცილებელ პირობას ბავშვის სოციალური, ემოციური და შემეცნებითი კომპეტენციების განვითარებისათვის.

ადრეული ბავშვობის პერიოდი ადამიანს აძლევს შესაძლებლობას მიიღოს ისეთი უნარები, რომლებიც მომავალში დაეხმარება მედეგობასა და სოციალურ-ემოციურ კომპეტენტურობაში. სკოლამდელ დაწესებულებას განსაკუთრებული როლი აქვს მედეგი და სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური ბავშვისთვის დამახასიათებელი უნარების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში, - ეს, პირველ რიგში, გულისხმობს ბავშვის უფლების მატარებელ სუბიექტად აღქმას, ბავშვის ძირითადი უფლებების ცოდნასა და პატივისცემას და მის გამოყენებას ბავშვებთან ურთიერთობასა და ყველა აქტივობის დაგეგმვის პროცესში.

იმისათვის, რომ ბავშვებმა შეძლონ სხვების უფლებებისა და ემოციების პატივისცემა, პირველ რიგში, თავად უნდა იცოდნენ საკუთარი უფლებები. ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული განათლება შესაძლებელია ბავშვის უფლებების ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკითა და მოდელირებით. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ასეთი განათლება, აუცილებელია, სკოლამდელ დაწესებუ-

ლებაში დასაქმებულმა ყველა ადამიანმა სიღრმისეულად იცოდეს, რას წარმოადგენს ბავშვის უფლებები, მისი განვითარების ისტორია, ბავშვის უფლებების დაცვის დღეს მოქმედი სტანდარტი, მისი როლი მედეგი და სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური ბავშვისათვის დამახასიათებელი უნარების განვითარების პროცესში და საკუთარი ფუნქცია ბავშვის უფლებების დაცვისა და რეალიზების მიმართულებით.

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია (Convention on the rights of the child – CRC) წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ საერთაშორისო დოკუმენტს. კონვენციაში აღწერილია ბავშვის ყველა უფლება და ის სავალდებულოა 194 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. კონვენციამ დაამკვიდრა სრულიად ახალი მიდგომა ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში, რომლის მიხედვითაც ბავშვი არის უფლებების მატარებელი სუბიექტი და არა ობიექტი. კონვენცია იყო წინ გადადგმული ნაბიჯი ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში, რადგან მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი საშუალებით დაცული სფეროები.

ბულინგის პრევენციაზე საუბრის დროს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს პრევენციაზე მიმართული აქტივობებისა და პროგრამების მრავალმხრივობა. მაგალითად, ის უნდა მოიცავდეს სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას ყველა ბავშვისთვის, მათი ინდივიდუალური საჭიროებების მხედველობაში მიღების გათვალისწინებით. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ჯგუფების მართვის ეფექტური მიდგომები. კარგად ორგანიზებული საგანმანათლებლო გარემო ამცირებს ბულინგის შემთხვევებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სათამაშო მოედნების სუპერვიზიის სტრატეგიების შემუშავება. ბულინგის პრევენციასა და ინტერვენციაზე მიმართული მართვის სტრატეგიებიდან შესაძლებელია გამოიყოს ე.წ. **ერთიანი მიდგომის სტრატეგია**, რომელიც გულისხმობს აღნიშნულ პროცესში ბავშვთან შემხებლობაში მყოფი ყველა სუბიექტის ჩართვას. აღნიშნული მიდგომა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის ითვალისწინებს და აღიარებს ბავშვთან შემხებლობაში მყოფი ყველა პირისა და გარემოს ფაქტორს ბავშვის ძალადობისგან დაცვის, ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის დროს.

ბავშვის განვითარებასა და ძალადობისგან მის დაცვაზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს, რომლებიც მოიცავს როგორც **ინდივიდუალურ დონეს** (ადამიანებს, ვისთანაც ბავშვი უშუალოდ ურთიერთობს), ასევე **სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ნიუანსებს**. ისინი გავლენას ახდენენ ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი სწორედ აღნიშნული ფაქტორების ურთიერთქმედებას აღწერს. ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ძალადობას, რისკფაქტორებად შეიძლება იყოს განხილული, ხოლო ფაქტორები, რომლებიც ამცირებენ ძალადობის რისკს, დამცავ ფაქტორებს მიეკუთვნებიან. სოციალურ-ეკოლოგიური მოდელი ეხმარება ბავშვთან მომუშავე ადამიანს, განსაზღვროს როგორც ძალადობის გამომწვევი რისკფაქტორები, ისე გამოიყენოს დამცავი ფაქტორები ძალადობის შესაჩერებლად. აღნიშნული მოდელი გარკვეული ფაქტორების ურთიერთქმედებას აღწერს, ესენია:

- ინდივიდუალური დონე;
- ურთიერთობის დონე;
- თემის დონე;
- საზოგადოების დონე.

თითოეული მათგანის შემთხვევაში შესაძლებელია გამოიყოს ძირითადი რისკფაქტორები:

საზოგადოების დონე	თემის დონე	ურთიერთობის დონე	ინდივიდუალური დონე
■ არაეფექტური სოციალური დაცვის სისტემა ■ კონფლიქტები და სტიქიური კატასტროფები ■ ეკონომიკური უთანასწორობა	■ სიღარიბე ■ სოციალური ინტეგრაციის დაბალი დონე ■ მუდმივი საცხოვრებლის არქონა	■ ემოციური მიჯაჭვულობის ნაკლებობა ■ ოჯახის დისფუნქცია ■ ძალადობა ბავშვის თანდასწრებით	■ სქესი ■ ასაკი ■ შეზღუდული შესაძლებლობა ■ შემოსავალი ■ განათლება

ეკოლოგიური მოდელი რისკფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს დამცავ ფაქტორებს. ინდივიდუალურ დონეზე არსებული რისკფაქტორე-

ბის შემცირებისა და აღმოფხვრის შესაძლებლობა იზრდება ისეთი დამცავი ფაქტორებით, როგორებიცაა: დადებითი ემოციური ურთიერთობები, მზრუნველი ოჯახი, მშობლების კარგი ურთიერთობა, ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ. ურთიერთობების დონეზე დამცავ ფაქტორებს შორის შესაძლებელია გამოიყოს: სოციალური მხარდაჭერა, ბავშვის უფლებების დაცვასა და განვითარებაზე ორიენტირებული ზრდასრულები (მათ შორის, ადრეული განათლების სპეციალისტები). თემის დონეზე ასეთ დამცავ ფაქტორებად გამოიყოფა: მჭიდრო და ჰარმონიული სამეზობლო ურთიერთობები, ხელმისაწვდომი განათლება, ჯანდაცვა, მხარდამჭერი მეგობრები. საზოგადოების დონეზე დამცავ ფაქტორებად გამოიყენება: ეფექტური სოციალური პოლიტიკა, ბავშვის უფლებების პატივისცემა ყველა გადაწყვეტილების მიღების დროს.

ეკოლოგიური მოდელის მიხედვით ინდივიდუალურ დონეზე პიროვნების ის თვისებები შეისწავლება, რომელთა არსებობის შემთხვევაში იზრდება ძალადობის რისკი; ურთიერთობების დონეზე შეისწავლება ურთიერთობა თანატოლებთან, ოჯახის წევრებთან; თემის დონე იკვლევს იმ გარემოს, რომელთანაც ბავშვს სოციალური ურთიერთობა აქვს (მაგალითად, სკოლამდელი დაწესებულება, სამეზობლო და ა.შ.), საზოგადოების დონე შეისწავლის ისეთ ზოგად ფაქტორებს, რომლებიც შეიძლება იყოს ძალადობის მაპროვოცირებელი. ესენია: კულტურული ნორმები, საზოგადოებაში დანერგილი ნორმები, რომლებიც აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს მისაღებად მიიჩნევს. აღნიშნული რისკფაქტორები და დამცავი ფაქტორები სასურველია გათვალისწინებული იყოს სკოლამდელი დაწესებულების დონეზე ერთიანი ეფექტური პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების დაგეგმვის პროცესში.

ეფექტური პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიები სკოლამდელი დაწესებულების დონეზე გულისხმობს ერთიანი, თანმიმდევრული ჩარჩოს შექმნას სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, რომელიც რამდენიმე აუცილებელ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს:

- მთლიანი სკოლამდელი დაწესებულება თანამშრომლობაზე დაფუძნებით მიმართული უნდა იყოს ერთიანი პოლიტიკის, გეგმებისა და პროგრამების შემუშავებისკენ, რაც უზრუნველყოფს ბავშვების კეთილდღეობას;

- პროცედურები უნდა იყოს მარტივი და გასაგები, რაც საშუალებას მისცემს სკოლამდელი განათლების სპეციალისტებს, მშობლებს, ბავ-

შვის განათლებაში ჩართულ პირებს, დაბრკოლებების გარეშე გააკეთონ შეტყობინება ბავშვის მიმართ არსებულ არასათანადო მოპყრობაზე, ძალადობაზე, უგულვებელყოფასა და ბულინგზე;

■ სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ფიზიკური და სოციალური გარემოს მუდმივი მონიტორინგის პროცედურა, რომელიც მიმართული იქნება ბულინგის გამომწვევი რისკების შემცირებისკენ;

■ სკოლამდელ დაწესებულებაში გამოყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სპეციალისტი, რომლის ვალდებულებაც იქნება ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და პროგრამების ეფექტურად მუშაობა და მონიტორინგი;

■ ყველა ახალი თანამშრომლისათვის უნდა არსებობდეს შესაბამისი გზამკვლევი, რომლის საშუალებითაც მას შესაძლებლობა მიეცემა სრულად გაიაზროს სკოლამდელი დაწესებულების ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკა და პროგრამები.

უაღრესად მნიშვნელოვანია ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის მიზნით ერთიანი მიდგომის არსებობა ამ მიმართულებით აღმზრდელების უწყვეტი გადამზადება და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტების და/ან საკონსულტაციო ჯგუფისგან კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ეს აღმზრდელებს შესაძლებლობას აძლევს ეფექტურად დაგეგმონ ბულინგის პრევენციისკენ მიმართული აქტივობები და პროგრამები, მართონ ბულინგის შემთხვევები, კონკრეტული შემთხვევების ანალიზისა და ინტერვენციის მიზნით მიიღონ რჩევები სპეციალისტებისგან.

„მე მგონია, რომ მხოლოდ ზოგადი ცოდნა არ არის საკმარისი. ხშირად არ ვიცი, როგორ მოვიქცეთ კონკრეტულ შემთხვევაში. ვცდილობთ თუნდაც პატარა რამეს ჩავებლაშოთ ბავშვში, პოზიტიურს და განგავითაროთ ის. ზოგჯერ ისეთ ფაქტებს ვაწყდები, მიჭირს ხოლმე გამკლავება“

სოფო, აღმზრდელი

„ხშირად მიჩნდება უსუსურობის განცდა, რომ რაღაც კიდევ მაკლია. ჩემთან ბავშვს მშობელი ჰყავდა გარდაცვლილი, სულ ამაზე რომ ლაპარაკობდა, აღარ ვიცოდი როგორ უნდა მოვქცეულიყავი, მჭირდებოდა ვიღაცის კონსულტაცია, მხარდაჭერა“

ნინო, აღმზრდელი

№	საკითხი	შენიშვნა
1	დოკუმენტის შექმნის მიზანი/სკოლამდელი დაწესებულების ხედვა	
2	რა მიზნის მიღწევა სურს სკოლამდელ დაწესებულებას. კერძოდ, როგორ უწყობს ხელს მედეგი და სოციალურ-ემოციურად კომპეტენტური ბავშვისთვის დამახასიათებელი უნარების განვითარებას	
3	ბულინგისა და მისი ფორმების განმარტება	
4	მითითება გარკვეულ მითებზე (მაგალითად, აგრესიული ქცევა შეიძლება ბავშვის განვითარებისთვის ნორმა იყოს ან ბიჭებისთვის ეს მისაღებია და ა.შ.)	
5	სამიზნე აუდიტორიის დეტალური განსაზღვრა, ვინ ისარგებლებს დოკუმენტით და ვინ იქნება მის შექმნაში უშუალოდ ჩართული	

№	საკითხი	შენიშვნა
6	დოკუმენტის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს/ პირების განსაზღვრა	
7	დეტალური ინსტრუქციის გაწერა, ვინ როგორ იქცევა ბუღინგის შემთხვევაში	
8	ძირითადი პრინციპები და მიდგომები, რომელიც უნდა გაითვალისწინოს სკოლაში- დელი განათლების სპეციალისტმა ბავშვთან ურთიერთობის დროს (მაგალითად, როგორ უნდა მოხდეს მისი აზრის მოსმენა, გათვალისწინება; როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის შეგროვება)	
9	მშობლების ინფორმირებულობისა და ჩართვასთან დაკავშირებული მიდგომები	
10	როგორ უნდა ხდებოდეს ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტის შეფასება და მონიტორინგი	

№	საკითხი	შენიშვნა
11	სკოლამდელი დაწესებულებების გარეთ არსებული სუბიექტები, რომლებიც შესაძლებელია ჩართულები იყვნენ ბულინგის პრევენციის პროგრამების განხორციელებაში. მათი ჩართულობის ფორმების განსაზღვრა	
12	როგორ უნდა მოხდეს სკოლამდელ დაწესებულებაში ცნობიერების გაზრდა ბულინგის პრევენციის მიზნით	
13	როგორ და რა ფორმით იღებენ ინფორმაციას სკოლამდელი დაწესებულებების თანამშრომლები ბულინგის, მისი პრევენციის და ინტერვენციის შესახებ სკოლამდელ დაწესებულებაში არსებული მიდგომების შესახებ	
14	ფინანსური რესურსები, რომელიც შესაძლებელია საჭირო იყოს, რომ ეფექტურად განხორციელდეს ბულინგის პრევენციის მიზნით განსაზღვრული მიდგომები და აქტივობები	
15	სხვა	

სკოლამდელი დაწესებულების მიერ ბუღინგის საწინააღმდეგო ერთიანი პოლიტიკის შექმნის პროცესში შესაძლებელია გამოყენებული იყოს ზემოთ მოცემული ცხრილი სრულად ან მისი პუნქტები კონკრეტული სკოლამდელი დაწესებულების და/ან მუნიციპალიტეტის საჭიროებისა და სურვილის მიხედვით. მასში აღწერილია ის ძირითადი თემები, რომელსაც სასურველია პასუხობდეს თითოეული სკოლამდელი დაწესებულების ბუღინგის პრევენციისა და ინტერვენციის ოფიციალური დოკუმენტი.

ერთიანი მიდგომის დროს ყველა მუშაობს, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში შეიქმნას უსაფრთხო და ინკლუზიური გარემო, რომელიც შესაძლებელს ხდის ბუღინგის პრევენციას და ეფექტურად რეაგირებს იმ შემთხვევაში, თუ მაინც ხდება ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის მიერ მეორე ბავშვის ჩაგვრა. ერთიანია მიდგომა, თუ მასში ჩართული იქნება მუნიციპალიტეტი, სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაცია, ადრეული განათლების სპეციალისტები, ბავშვები, მშობლები და თემი.

ერთიანი მიდგომა ყველაზე ეფექტურ გზად უნდა მივიჩიოთ ბუღინგის პრევენციისა და ინტერვენციისთვის. როცა ყველა ერთად მუშაობს, ბავშვები არიან უსაფრთხოდ, ჩართულები და მიღებული. ზრდასრულები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ბავშვებს შორის თანასწორობასა და ემპათიაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ურთიერთობების უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების კუთხით ისინი ბავშვების ცხოვრებაში არიან მოდელები და ქმნიან პოზიტიურ გარემოს, რომელიც თავისუფალია ძალადობისა და ბუღინგისგან. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში მომუშავე ადრეული განათლების ყველა სპეციალისტს (განსაკუთრებით კი აღმზრდელსა და აღმზრდელის თანაშემწეს) ჰქონდეს ერთიანი ცოდნა და მიდგომა ბუღინგის პრევენციასთან დაკავშირებით, რათა მათი მიდგომები იყოს შეთანხმებული და თანმიმდევრული.

„ვმუშაობდი აღმზრდელად ჯგუფში, სადაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები უნდა შემოსულიყვნენ. ჩემი დანაშაული იყო, რომ აღმზრდელის თანაშემწე წინასწარ არ გავაფრთხილე და ერთად არ დავგეგმეთ ჯგუფში ბავშვების ეფექტური ჩართვის სტრატეგიები. მერე გავაცნობიერე, რომ აღმზრდელსა და აღმზრდელის

თანაშემწეს ერთნაირი ცოდნა და მიდგომები უნდა ჰქონდეს. ჯგუფში ერთ-ერთი ბავშვი რომ შემოვიდა, აღმზრდელის თანაშემწემ: „უი, ეს აზერბაიჯანელი ყოფილაო“. აქ დასრულდა ყველაფერი, ბავშვები სრულიად შეიცვალნენ. სამი თვე დამჭირდა, რომ მერე ეს ყველაფერი გამომესწორებინა“.

ნინო, აღმზრდელი

ერთიანი მიდგომის თანახმად ბულინგის პრევენცია ყველაზე ეფექტურია ისეთი ღონისძიებების განხორციელებით, რომლებიც:

- **ითვალისწინებს ჰოლისტურ მიდგომას** - მასში ჩართულია არა მხოლოდ აღმზრდელი, არამედ მთელი სკოლამდელი დაწესებულება;

- **მოიცავს ისეთ საგანმანათლებლო მიდგომებს**, რომლებიც ეხმარება ბავშვებს სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებაში და ასწავლის მათ, როგორ უნდა უპასუხონ/გაუმკლავდნენ ბულინგს, რომელიც წარმოადგენს აგრესიული ქცევის სახეს;

- **უზრუნველყოფს ადრეული განათლების სპეციალისტების მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებას**, რათა სკოლამდელ დაწესებულებაში იყოს პოზიტიური სოციალური გარემო;

- **მუდმივად ახორციელებს ბულინგის პრევენციაზე მიმართული პროგრამებისა და ღონისძიებების შეფასებასა და მონიტორინგს**.

ბულინგის, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთი ფორმის პრობლემა მოიცავს არა მხოლოდ სკოლამდელ დაწესებულებას, არამედ უფრო ფართო სოციალურ მოვლენას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიები ეფუძნებოდეს ჰოლისტურ მიდგომას, რომელშიც ჩართული იქნება სკოლამდელი დაწესებულება და ფართო საზოგადოებაც. ჰოლისტური მიდგომა გულისხმობს, რომ პოზიტიური გარემო, რომელიც მიმართულია ბავშვების კეთილდღეობის, ინკლუზიურობისა და მრავალფეროვნების პატივისცემისკენ, არის უმნიშვნელოვანესი ბულინგის პრევენციისთვის. აღნიშნული მიდგომა ოთხი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- **ბულინგის საწინააღმდეგო ერთიანი პოლიტიკისა და პროგრამების დანერგვა** სკოლამდელ დაწესებულებაში;

- **განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება** ბულინგის პრევენციაზე სკოლამდელი დაწესებულების კონკრეტულ ფიზიკურ გარემოში;

- **ბულინგის შემთხვევების განხილვისა და სუპერვიზიის კულტუ-**

რის დანერგვა;

■ თანამშრომლობა მშობლებთან და ბავშვის განათლებაში ჩართულ სხვა პირებთან.

„ხშირად გვჭირდება მხარდაჭერა. შეიძლება დავინახო, რომ პრობლემა არსებობს და არ ვიცოდე, რა იქნება ყველაზე სწორი სტრატეგია მის შესაჩერებლად. თითქოს ზოგჯერ რაღაც შედეგს ვიღებთ, მაგრამ არ ვართ დარწმუნებულები მაინც, რამდენად სწორად ვაკეთებთ“

სოფო, აღმზრდელი

„ბევრი აღმზრდელი რეკავს სააგენტოში. თუ არის ისეთი შემთხვევა, რომ უშუალოდ ჩვენ ვერ ვცემთ პასუხს, მულტიდისციპლინური გუნდი გვყავს და მას ვრთავთ. ესენი არიან სპეციალისტები, რომელთა მომსახურებასაც ვყიდულობთ, რათა ეფექტური სუპერვიზია და მხარდაჭერა განხორციელდეს ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის მიმართულებით“

ხათუნა, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელი

პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების მნიშვნელობა

ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიები ადმინისტრაციულ დონეზე მოიცავს მართვის ისეთ მიდგომებსა და მიმართულებებს, რომლებიც სკოლამდელ დაწესებულებაში ქმნის ძალადობისგან თავისუფალი გარემოს და ძალადობისა და ბულინგის არსებულ შემთხვევებზე ეფექტური რეაგირების შესაძლებლობას იძლევა. ეფექტური პრევენციისა და ინტერვენციის სტრატეგიების ძირითადი კომპონენტები შესაძლებელია მოიცავდეს:

■ ბულინგის შესახებ არსებული ცნობიერებისა და ცოდნის გაზრდას, მის შესახებ არსებული მითების შემცირებას ადრეული განათლების სპეციალისტების, მშობლებისა და ყველა იმ პირის შემთხვევაში, ვისაც შეხება აქვს ბავშვთან (მაგალითად, „ბიჭები ყოველთვის ბიჭები იქნებიან და მისაღებია მათ შორის ჩხუბი“. ან ბულინგის შემთხვევებში იგნორირების სტრატეგიის გამოყენება შეაჩერებს მას);

■ **საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა**, რომელიც შეიმუშავებს და გე-დამხედველობას გაუწევს სკოლამდელ დაწესებულებაში ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის მიდგომებს;

■ **ინსტრუქციების განსაზღვრა**, რომელიც დაეხმარება სკოლამ-დელ დაწესებულებას, ჰქონდეს ადვილად გასაგები, ყველასათვის ხელ-მისაწვდომი მიდგომები და პროცედურები ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციისთვის (მაგალითად, ინსტრუქციები, სადაც განსაზღვრული იქნება მშობლებთან კომუნიკაციის ფორმები და პრინციპები, მათი ჩარ-თვა ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციის აქტივობებში, ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები);

■ **ადრეული განათლების სპეციალისტების გადამზადება** მათი ცოდნის გაზრდისა და მათ მიერ ბულინგის პრევენციისა და ინტერვენცი-ის მიზნით ეფექტური აქტივობებისა და პროგრამების განხორციელების მიზნით;

■ **უსაფრთხო ფიზიკური და სოციალური გარემოს შექმნა** სკოლამ-დელ დაწესებულებაში.

პოზიტიური გარემო, როგორც ზემოთ არაერთხელ აღინიშნა, გან-საკუთრებით მნიშვნელოვანი კომპონენტია ბულინგის პრევენციის-თვის. პოზიტიური გარემო სახეზეა, როცა სკოლამდელ დაწესებულებაში მყოფი ყველა ადამიანი, ზრდასრული თუ ბავშვი, თავს გრძნობს უსაფ-რთხოდ, დაცულად, ჩართულად და ერთმანეთთან აქვს პოზიტიური ურ-თიერთობა. ეს თანასწორობისა და ინკლუზიური განათლების განუყო-ფელი ნაწილია. პოზიტიური გარემო სკოლამდელ დაწესებულებაში არ-სებობს, როდესაც:

■ მის შექმნაში ჩართულია ყველა საგანმანათლებლო და სათემო რესურსი/პარტნიორი;

■ სკოლამდელ დაწესებულებაში მყოფი ყველა ადამიანი თავს გრძნობს დაცულად, კომფორტულად, ჩართულად და მიღებულად;

■ სკოლამდელ დაწესებულებაში მყოფი ყველა ადამიანი ერთმა-ნეთის მიმართ გამოხატავს პატივისცემას, სამართლიანობას, კეთილგან-წყობას. ქმნის გარემოს, რომელიც თავისუფალია დისკრიმინაციისა და გარიყვისგან;

■ ბავშვები იღებენ მათი განვითარებისა და განათლებისთვის სა-ჭირო მხარდაჭერას ზრდასრულებისგან;

- არსებობს ღია და მუდმივი კომუნიკაცია სკოლამდელი განათლების სპიალისტებსა და მშობლებს შორის;
- ბულინგის პრევენციის სტრატეგიები და მიდგომები, მისთვის საჭირო რესურსები ასახულია პროგრამებსა და კურიკულუმებში;
- განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბულინგის პრევენციას სკოლამდელი განათლების სპეციალისტების მხრიდან.

პრევენციული სტრატეგიები

ბულინგის პრევენციული და მისი საწინააღმდეგო პროგრამები ყველაზე მეტ ეფექტურობას სწორედ ადრეულ ასაკში დაწყების შემთხვევაში აღწევს. სკოლამდელ დაწესებულებაში წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს პრევენციაზე მიმართული სტრატეგიები. ის უნდა მოიცავდეს როგორც ადრეული ინტერვენციის სტრატეგიებს, ისე რეაგირებას მიმდინარე ბულინგის შემთხვევებზე საჭიროებისას მართვაში შესაბამისი უწყებების (მაგალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოს) ჩართვის უზრუნველყოფით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შემთხვევაში პრევენციული სტრატეგიები და ინტერვენცია უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეს, საჭიროებებს და იმ მიზნებს, რომლებზე მუშაობაც განსაზღვრულია უშუალოდ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმით.

„ერთი შემთხვევის შესახებ მინდა მოვყვე. ჯგუფში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი შემოდიოდა. მასწავლებელმა ვითომ მოამზადა ბავშვები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირიქით გააკეთა. უთხრა, „ახლა მოვა ბავშვი, რომელსაც ექნება სათვალე და არ დასცინოთ“. ძალიან არასწორი იყო ასეთი ფორმით ინფორმაციის მიწოდება და ყურადღების გამახვილება, რომ არ უნდა დაეცინათ. მთელი ჯგუფი უჩვეულოდ გაჩუმებული დახვდა ამ ბავშვებს“

ხათუნა, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელი

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულია, რომ თითოეულ მათგანს გარკვეული მიზანი და ამ მიზნის მიღწევის სტრატეგიები გააჩნდეს. მაგალითად:

მიზანი	სტრატეგია
სოციალური უნარების განვითარება	მოდელირება
აგრესიული ქცევის შემცირება	როლური თამაში
მშობლების ჩართვა ბულინგის პრევენციაში	დისკუსიები მათი როლისა და მონაწილეობის მნიშვნელობაზე
მასწავლებლების ინფორმირებულობის გაზრდა	გადამზადება

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას შეიძლება იყოს გამოყენებული სხვადასხვა მიდგომა. მაგალითად, ის შესაძლებელია ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- ზრდასრულების მიერ მზრუნველობის გამოხატვა;
- არასასურველი ქცევის ახსნის მნიშვნელობა;
- ზრდასრულების მიერ პოზიტიურ როლის/მოდელს შესრულება ბავშვებისათვის.

„ჩვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. როგორც მე ვარ განწყობილი ბავშვის მიმართ, მთელი ჯგუფიც ისევე განეწყობა. აღმზრდელი არასოდეს უნდა ამჟღავნებდეს თავის დამოკიდებულებებს ბავშვების თანდასწრებით, მისთვის ყველა ბავშვი ერთი უნდა იყოს“

სოფო, აღმზრდელი

„თავიდანვე უნდა გაითავისოს ადამიანმა, რომ ეს არის მისი პროფესია. ჩემთვის არ არსებობს განსხვავება ბავშვებს შორის, ყველა მიყვარს, ყველას ვკოცნი. პირი არა აქვს დაბანდილი? შევალ, დავბან. თუ შენ ამას აკეთებ, სხვებიც ამას იმეორებენ. წინასწარი განწყობა მაქვს, რომ ბავშვებს არ ვარჩევ, ეს არის ჩემი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგია“

ნინო, აღმზრდელი

ინტერვენციის სტრატეგიები

მნიშვნელოვანია, სკოლამდელი დაწესებულების დონეზე პრევენციულ სტრატეგიებთან ერთად განსაზღვრული იყოს ინტერვენციის სტრატეგიები. მათი საშუალებით შემუშავებული იქნება ის ძირითადი, ზოგადი პრინციპები და მიდგომები, რომლებიც უნდა გამოიყენოს აღმზრდელმა ან პირიქით, არ უნდა გამოიყენოს უკვე მომხდარ ბულინგის ფაქტზე რეაგირების დროს.

მაგალითად, ზოგადი პრინციპის დონეზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რისი გაკეთება იქნება უმჯობესი პირველ რიგში, როდესაც **აღმზრდელი დაინახავს, რომ სახეზეა ბულინგი, - ერთი ბავშვი ან ბავშვთა ჯგუფი ახორციელებს აგრესიულ ქცევას სხვა ბავშვის მიმართ:**

- ჩარევა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ;
- უნდა მოხდეს ბავშვების განცალკევება;
- ადრეული განათლების სპეციალისტი უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა ბავშვი უსაფრთხოდ არის და არავის არა აქვს რაიმე დაზიანება;
- დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- ადრეული განათლების სპეციალისტი უნდა იყოს მაქსიმალურად მშვიდი;
- მუდმივად უნდა შევთავაზოთ ბავშვებს პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის მოდელირება.

„ჩვენს ერთ ბაღში არის ბავშვი მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახიდან. საკმაოდ სტრესულ გარემოში იზრდება და ამის გამო. სირთულეებიც აქვს ქცევის თვალსაზრისით. მასწავლებლის სტრატეგია: „ ვაიმე, შე საწყალო, მოდი აბა აქ, ეს მაინც გააკეთე, ეს მაინც ვცადოთ“... რამდენჯერმე პირადად ველაპარაკე მასწავლებელს, რომ შეეცვალა ეს სტრატეგია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ არის საკმარისი, არ იცის, სხვანაირად როგორ მიუდგეს, უფრო მეტი ინფორმაცია სჭირდება. რომ ესაუბრები, თითქოს იგებს, მაგრამ მართო რომ რჩება, ვერ ახერხებს ბავშვთან მუშაობას, სხვა სტრატეგიას ვერ პოულობს. მასწავლებლის ეს დამოკიდებულება ზოგადად ამ ბავშვის მიმართ დამოკიდებულებასაც განსაზღვრავს სხვა ბავშვების მხრიდან. დას-

ცინიან, სუნი ასდისო ამ ბავშვს, ასე ამბობენ. ბავშვი არის ჯგუფიდან გარიყული. ბავშვების ეს დამოკიდებულება სწორედ აღმზრდელის შეფასებებიდან მოდის“

სალომე, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელი

„ერთ-ერთ ბაღში სუპერგიზიის მიზნით ვიყავით შესულები, როცა აღმზრდელმა მოგვაძახა ყველა ბავშვის თანდასწრებით, შეხედეთ, ამ ბავშვს 6 თითი აქვს. ეს ბავშვი იჯდა ცალკე და გარიყული იყო ჯგუფიდან. ასეთი შემთხვევები ხშირია, როცა აღმზრდელი თავად არის ბულინგის მაპროვოცირებელი. განსაკუთრებით, როცა სოფლის კონტექსტში ვსაუბრობთ, ბაღში ვინც ერთად არიან, სკოლაშიც ერთად მიდიან და ეს აღქმა სკოლაშიც მიჰყვებათ“

თაკო, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელი

ასევე მნიშვნელოვანია, განსაზღვრული იყოს, რისი გაცემება არ არის სასურველი ბულინგის შემთხვევაზე რეაგირების დროს ინტერვენციის სტრატეგიების ფორმატში. მაგალითად:

- არასოდეს უნდა მოხდეს ასეთი შემთხვევების იგნორირება იმ მოტივით, რომ ბავშვები ზრდასრულების ჩარევის გარეშე გაუმკლავდებიან აღნიშნულ სირთულეს;
- ბავშვებს საჯაროდ არ უნდა მოეთხოვოთ იმის თქმა, რა დაინახეს;
- არ უნდა ხდებოდეს ბავშვებისათვის კითხვების დასმა სხვების თანდასწრებით;

იმუთიერი ინტერვენციის შემდეგ მნიშვნელოვანია, შეიმუშაოთ გრძელვადიანი ჩარევის სტრატეგია ბულინგის მომხდარ შემთხვევაზე, რომლის დროსაც უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი ზოგადი მიდგომები:

- ყველა შემთხვევა საჭიროებს ინდივიდუალურ ანალიზს;
- გრძელვადიანი ინტერვენციის დაგეგმვის პროცესში ჩართულები უნდა იყვნენ მშობლები;
- შემუშავებული უნდა იყოს მსხვერპლი ბავშვის დაცვისა და გაძლიერების სტრატეგიები;
- მჩაგვრელი ბავშვის შემთხვევაში უნდა დაიგეგოს მისი ქცევის მართვისა და ჩანაცვლების სტრატეგიები;

ბუღინგის, როგორც აგრესიული ქცევის ერთ-ერთი ფორმის ფაქტზე რეაგირების დროს სასურველია განსაზღვრული მეთოდოლოგია, ადმინისტრაციის როლი, ფაქტების შესწავლის ეტაპები, ინტერვენციის სტრატეგიები და ყველა ის ნაბიჯი, რომლის საშუალებითაც მაქსიმალურად დროულად და ეფექტურად შეიძლება ბუღინგის შემთხვევის აღმოფხვრა და აღნიშნულ პროცესში ბავშვის ინტერესების გათვალისწინება. ეს მიდგომები უნდა იყოს სკოლამდელი დაწესებულების ერთიანი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სასურველია წერილობით ფორმით არსებობდეს ამ დაწესებულებებში. საორიენტაციოდ შესაძლებელია გამოყენებული იყოს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი:

მეთოდი	- რა იქნება საუკეთესო მიდგომა იმი-სათვის, რომ შევაჩეროთ ბუღინგი? - როგორ შევავსოთ ინფორმაცია? - რომელი პრინციპები უნდა გამოვიყენო? (მაგალითად, კონფიდენციალობა, ინფორმირება და ა.შ.)
ადმინისტრაციის როლი	ვის ვრთავთ სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებიდან და რა მიზნით?
ანალიზი	ვინ აანალიზებს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციას და როგორ?
ინტერვენციის სტრატეგიები	რა სახის აქტივობები შეიძლება განვახორციელოთ იმისათვის, რომ ეფექტური ინტერვენცია განვახორციელოთ?
ინტერვენციის სტრატეგიები	- რა რესურსი გვჭირდება ამისთვის? - რა ფორმით ვრთავთ აღნიშნული კონკრეტული ინტერვენციის პროცესში მშობელს/მშობლებს?

შეფასება

- როგორ იმუშავა ინტერვენციის განსაზღვრულმა სტრატეგიამ?
- რამ იმუშავა ყველაზე უკეთ და რატომ?
- რამ ვერ იმუშავა და რატომ?

ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტში შესაძლებელია ასევე განსაზღვრული იყოს ის ძირითადი საგანმანათლებლო სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება აღმზრდელს, ეფექტურად შეძლოს ჯგუფში ბავშვებთან კომუნიკაცია, კონფლიქტური სიტუაციების აღმოფხვრა, ბულინგის პრევენცია და ინტერვენცია. ასეთი ზოგადი სტრატეგიები შეიძლება იყოს შემდეგი:

- ადრეული განათლების სპეციალისტები ყოველთვის უნდა იყოს მშვიდი და ზრდილობიანი ბავშვებთან ურთიერთობის დროს;
- ადრეული განათლების სპეციალისტი უნდა იყოს ყურადღებით, რომ შეუმჩნეველი არ დარჩეს რამე; ყოველთვის ეცადეთ დაიჭიროთ ბავშვებში სასურველი ქცევა;
- წახალისებული უნდა იყოს ბავშვის სასურველი ქცევა;
- ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება უნდა იყოს უმთავრესი მიზანი ყველა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;
- მოუსმინეთ ბავშვებს;
- შეფასებული უნდა იყოს ქცევა და არა უშუალოდ ბავშვი;
- არ უნდა გაკეთდეს წინასწარი დასკვნები;
- ყველა აქტივობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვს/ბავშვებს, რომლებიც ნაკლებ აქტიურობას იჩენენ;
- მუდმივად უნდა ხდებოდეს დაკვირვება ბავშვების თამაშზე და საჭიროების შემთხვევაში ადრეული განათლების სპეციალისტი უნდა შეუერთდეს თამაშს...

„ხშირად ხდება, რომ ბავშვზე ლაპარაკობენ და არა მის ქცევაზე. თან ამაზე ხმამაღლა აღნიშნავენ. ესეც პრობლემაა. ამ დროს, რა თქმა უნდა, ჯგუფის დამოკიდებულებაც იცვლება. ხშირად გვიწევს შეჭირვებულ ბავშვებთან მუშაობა. ყოფილა ჰიგიენის დაცვის პრობლემა და ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობენ ზოგჯერ აღმზრდელები. სულ იმისთვის ვიბრძვით, რომ ამაზე ბავშვების თანდასწრებით არ ილაპარაკონ“
მაკა, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომელი

თანამშრომლების გაძლიერების სტრატეგიები

ბულინგის პრევენციის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკოლამდელი განათლების სპეციალისტების ინფორმირებულობის ხარისხს ბულინგის, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგების და აღნიშნული შედეგების პრევენციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ, მათ მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებას.

სკოლამდელი განათლების სპეციალისტების მხარდაჭერისა და პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული სამუშაოები შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: გრძელვადიანი სტრატეგიები, რომლის მიზანაც გრძელვადიან პერსპექტივაში სკოლამდელი განათლების სპეციალისტების გაძლიერებას გულისხმობს და მოკლევადიანი სტრატეგიები, რომლებიც იმწუთიერად არსებული სირთულეების გამკლავებაში დაეხმარებათ სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლებს.

გრძელვადიანი სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად შესაძლებელია გამოყენებული იყოს **ტრენინგების ფორმატი**. მოკლევადიანი სტრატეგიების მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც უფრო კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზეა ორიენტირებული, შესაძლებელია გამოყენებული იყოს არსებული მულტიდისციპლინური გუნდი (საკონსულტაციო ჯგუფი ან დაწესებულების/ მუნიციპალიტეტის დონეზე მოქმედი მხარდაჭერი სპეციალისტების ჯგუფი).

„თუ განსაკუთრებით რთული შემთხვევაა, არ ვიცი, როგორ გავუმკლავდეთ. ისედაც გვინდა უკუკავშირის მიღება ჩვენს სტრატეგიებზე. ბულინგის პრევენციისა და ინტერვენციისთვის გვყავს საკონსულტაციო საბჭო ბავშვის უფლებებზე, მივდივართ და იმათთან გავდივართ კონსულტაციას. ასეთი ორგანო ყველგან უნდა იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანების მხარდაჭერა, ვინც უფრო მეტად ერკვევა ამ სფეროში“

ნინო, აღმზრდელი

სკოლამდელი დაწესებულების დონეზე ბავშვების ძალადობისგან დაცვის, ბულინგის პრევენციისა და მართვის, ასევე მშობლებთან მუშაობის სტრატეგიების ეფექტურობის შესაფასებლად სასურველია სკოლამდელმა დაწესებულებამ გამოიყენონ ქვემოთ მოცემული კითხვები, რომლებზე დადებით პასუხის შემთხვევაში, ითვლება, რომ იდგმება ეფექტური ნაბიჯები სკოლამდელი დაწესებულების დონეზე ძალადობისა და ბულინგისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად.

ძალადობისა და ბუღინგისგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად არსებული პროგრამის ეფექტურობა	პასუხი/შენიშვნა
აქვს თუ არა პროგრამას ნათლად განსაზღვრული მიზანი?	
არის თუ არა მისი ამოცანები და შესრულების ფორმები წერილობითი ფორმით განსაზღვრული?	
ითვალისწინებს თუ არა ის მშობლებთან თანამშრომლობის ეფექტურ ფორმებს?	
დირექტორის ეფექტურობა ძალადობისა და ბუღინგისგან თავისუფალი გარემოს შექმნის პროცესში	
არის თუ არა მუდმივად ინფორმირებული თანამშრომლების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიმართულებით?	
ახორციელებს თუ არა რეგულარულად ვიზიტებს ჯგუფებში შეფასების მიზნით?	
უზრუნველყოფს თუ არა თანამშრომლების მიმდინარე საჭიროებების დაკმაყოფილებას ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების თუ ინდივიდუალური კონსულტაციების მიწოდების გზით?	

საგანმანათლებლო გარემოს მოწყობის დროს გასათვალისწინებელი ფაქტორები	პასუხი/შენიშვნა
არის თუ არა დაყოფილი ფიზიკური გარემო სივრცეებად?	
არის თუ არა უზრუნველყოფილი ბავშვებზე მორგებული აგეჯი და საჭირო რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსები?	
ადრეული განათლების სპეციალისტების ეფექტურობა	
არის თუ არა დეტალურად განსაზღვრული მათი სამუშაო აღწერილობები და სრულდება თუ არა ისინი თანმიმდევრულად?	
ხდება თუ არა მუდმივად მათი უწყვეტი გადამზადება და საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა ადმინისტრაციის მხრიდან?	
შექმნილია თუ არა ადრეული განათლების სპეციალისტებსა და ადმინისტრაციას შორის ინფორმაციის გაცვლის, შემთხვევების განხილვისა და საჭირო კონსულტაციების მიღების ფორმები?	

ადრეული განათლების სპეციალისტების ეფექტურობა	პასუხი/შენიშვნა
არიან თუ არა ისინი გადამზადებულები ბავშვის უფლებების, განვითარების, ძალადობისგან დაცვის, ბუღინგის ფორმების, მათი პრევენციისა და ინტერვენციის მართვისა და საგანმანათლებლო სტრატეგიების მიმართულებით?	
მშობლებთან მუშაობის ფორმების ეფექტურობა	
ჩართულები იყვნენ თუ არა მშობლები ძალადობისგან და ბუღინგისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული ერთიანი პოლიტიკის შექმნის პროცესში?	
უზრუნველყოფილი არის თუ არა მშობლებთან რეგულარული შეხვედრები ადრეული განათლების სპეციალისტების მიერ?	
არის თუ არა მშობლებთან სკოლამდელი განათლების ადმინისტრაციისა და ადრეული განათლების სპეციალისტების კომუნიკაცია გახნილი, პატივისცემაზე დაფუძნებული და ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული?	

უმრუნველყოფს თუ არა სკოლამდელი დაწესებულება მშობლების ინფორმირებულობას ბუღინგის პრევენციისთვის საჭირო აქტივობების შესახებ?	პასუხი/შენიშვნა
არის თუ არა განსაზღვრული მშობლებთან კომუნიკაციისა და ჩართვის პროცედურები ბუღინგის შემთხვევებზე რეაგირების დროს?	

გამოყენებული ლიტერატურა

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013. http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

გრონლუნდი გ. (2012) დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისათვის: სკოლამდე დელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში. Redleaf Press.

გრონლუნდი, გ. (2012). დაგეგმვა თამაშის, დაკვირვებისა და სწავლისთვის. სკოლამდე დელ დაწესებულებებსა და წინასასკოლო ჯგუფებში.

დვალისილი, დარეჯან (2013). ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში. UNICEF, თბილისი. http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf

თამთა კუხალიშვილი და ნინო ჯიჯავაძე (2019). ადრეული და სკოლამდელი განათლების ხარისხის სტანდარტის გზამკვლევი. გაეროს ბავშვთა ფონდი

იან პიტერსი და ჰესტერ ჰულპია (2018). საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. გაროს ბავშვთა ფონდი

კრეატიული კურიკულუმი საბავშვო ბაღებისთვის. ნაწილი 1. თავი 4 'მასწავლებლის როლი'

ნინო ალელიშვილი, ანა ჯანელიძე, ნინო ჯიჯავაძე, თამთა კუხალიშვილი (2019). გარემო, რომელსაც უყვარს ბავშვი. გაეროს ბავშვთა ფონდი

ნინო ცინცაძე, ხათუნა დოლიძე და მერი ალისია მორანი (2019). ადრეული ინკლუზიური განათლება: სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პიტერსი ი. ჰულპია ჰ. (2018) საქართველოში სკოლამდელი განათლების ხარისხის კვლევა. UNICEF. თბილისი.

საიფერი ს. ბალანჩივაძე ი. ბაქრაძე თ. გაბისონია თ. ლაბარტყავა ნ. ფრუიძე ნ. ლორია თ. (2015) სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში – სწავლისა და განვითარებისთვის აღმზრდელის სახელმძღვანელო. თბილისი.

საქართველოს მთავრობა (2017). დადგენილება №478 აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404>

საქართველოს მთავრობა. (2017). დადგენილება № 488 ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3838798?publication=0>

საქართველოს პარლამენტი. (2016) საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237>

ჯეიმს ი. ჯონსონი, ჯეიმს ფ. ქრისტი, ფრენსის უორდლი (2005). თამაში, განვითარება და ადრეული განათლება. „პირსონ ედუქეიშენ“

ჯონსონი, ჯ.ი, ქრისტი, ჯ.ფ, უორდლი, ფ. (2005). თამაში, განვითარება და ადრეული განათლება

Committee on the rights of the child. (2005). *General comment No. 7 General Implementing child rights in early childhood*;

Committee on the rights of the child. (2006). *General comment No. 9 The rights of children with disabilities*;

Committee on the rights of the child. (2011). *General comment No. 13 The rights of the child to freedom from all forms of violence*;

Committee on the rights of the child. (2013). *General comment No. 17 on the right of the child to rest, leisure, play, recreational activities, cultural life and the arts (art. 31)*;

Currie, J., & Spatz Widom, C. (2010). Long-term consequences of child abuse and neglect on adult economic well-being. *Child maltreatment*, 15(2), 111-120.

Deming, D. (2009). Early childhood intervention and life-cycle skill development: Evidence from Head Start. *American Economic Journal: Applied Economics*, 1(3), 111-34.

Dodge D.T., Colker J.L., Heroman C. (2007). *The Creative Curriculum for Preschool*. Teaching Strategies.

Fox, L., Carta, J., Strain, P. S., Dunlap, G., & Hemmeter, M. L. (2010). Response to intervention and the pyramid model. *Infants & Young Children*, 23(1), 3-13.

Fox, L., Dunlap, G., Hemmeter, M. L., Joseph, G., & Strain, P. (2003). *The Teaching Pyramid: A model for supporting social competence and preventing challenging behavior in young children*. *Young Children*, 58(4), 48-53.

Garces, E., Thomas, D., & Currie, J. (2002). Longer-term effects of Head Start. *American economic review*, 92(4), 999-1012.

Goldberg, S. (1997). *Attachment and childhood behavior problems in normal, at-risk and clinical samples*.

Head Start Programs. (n.d.). Retrieved March 31, 2019, from <https://www.acf.hhs.gov/ohs/about/head-start>

HELP: Hawaii Early Learning Profile (n.d.) VORT Corporation

Hemmeter, M. L., Ostrosky, M., & Fox, L. (2006). Social and emotional foundations for early learning: A conceptual model for intervention. *School Psychology Review*, 35(4), 583.

Hornby G. (2016). *Bullying: an ecological approach to intervention in schools*, Preventing school failure, (60)3, 222-230;

Huang, H., Liu, Y., & Chen, Y. (2018). Preservice preschool teachers' responses to bullying scenarios: the roles of years of study and empathy. *Frontiers in psychology*, 9, 175.

Hwa-Froelich, D. A. (2014). Social-emotional development associated with social communication. In Hwa-Froelich, D. A. (Ed.), *Social communication development and disorders* (pp. 50-78). Psychology Press.

Inventory of practices for promoting children's social and emotional competence (2006). www.vanderbilt.edu/csefel. Center on the Social and Emotional Foundations for Early Learning (CSEFEL).

Kaiser, B., (2007). *Challenging Behavior in young children – understanding, preventing and responding effectively*. 3rd edition, Pearson.

Kerig, P., Ludlow, A., & Wenar, C. (2012). *Infancy through Preschool: Insecure Attachment, Oppositional Defiant Disorder and Enuresis*. In *Developmental Psychopathology* 6th ed. (pp. 183-210). McGraw-Hill.

Kirves, L., & Sajaniemi, N. (2012). *Bullying in early educational settings*. *Early Child Development and Care*, 182(3-4), 383-400.

Kristjansson, A. L., James, J. E., Allegrante, J. P., Sigfusdottir, I. D., & Helgason, A. R. (2010). *Adolescent substance use, parental monitoring, and leisure-time activities: 12-year outcomes of primary prevention in Iceland*. *Preventive medicine*, 51(2), 168-171.

Laevers, F. (2005). *The curriculum as means to raise the quality of early childhood education. Implications for policy*. *European Early Childhood Education Research Journal*, 13 (1), 17-29.

Lee C. (2004). *A guide for teachers and other professionals*, London: Paul Chapman Publishing;

Liebenberg, L., Ungar, M., & LeBlanc, J. C. (2013). *The CYRM-12: A brief measure of resilience*. *Canadian Journal of Public Health*, 104(2), e131-e135.

Masten, A. S. (2014). *Global perspectives on resilience in children and youth*. *Child Development*. 6-20

Masten, A. S. (2015). *Ordinary magic: Resilience in development*. Guilford Publications,;

Middlebrooks, J. S., & Audage, N. C. (2008). *The effects of childhood stress on health across the lifespan*.

Ministry of Education and Ministry of Attorney General of British Columbia. (1999). *Focus on bullying, A prevention program for elementary school communities*. მოპოვებულია <https://www.prevnet.ca/sites/prevnet.ca/files/Books-Focus-on-Bullying.pdf>;

Panther-Brick C. and Leckman J. F. (2013). *Editorial Commentary: Resilience in child development –interconnected pathways to wellbeing*. *Journal of Child Psychology and Psychiatry* 54:4, pp 333–336

project 'RESCUR (2015)- Developing a Resilience Curriculum for Primary Schools in Europe' www.rescur.eu, funded by the EU Commission Lifelong Learning Programme. No. 526813-LLP-1-MT-COMENIUS-CMP

Puma, M., Bell, S., Cook, R., Heid, C., Shapiro, G., Broene, P., ... & Ciarico, J. (2010). *Head Start Impact Study. Final Report*. Administration for Children & Families.

Repo L. (2015). *Bullying and its prevention in early childhood education* (Academic dissertation), მოძიებულია <https://core.ac.uk/download/pdf/33734476.pdf>;

Saracho N.O. (2016). *Bullying prevention in early childhood education*, *Early childhood Educ J*, DOI10.1007/s10643-016.0793-y;

Shonkoff, J. P., Garner, A. S., Siegel, B. S., Dobbins, M. I., Earls, M. F., McGuinn, L., ... & Committee on Early Childhood, Adoption, and Dependent Care. (2012). *The lifelong effects of early childhood adversity and toxic stress*. *Pediatrics*, 129(1), e232-e246.

Siegel, D. J. (1999). *The developing mind* (Vol. 296). New York: Guilford Press.

Sigfusdottir, I. D., Kristjansson, A. L., Gudmundsdottir, M. L., & Allegrante, J. P. (2011). *Substance use prevention through school and community-based health promotion: a transdisciplinary approach from Iceland*. *Global health promotion*, 18(3), 23-26.

Snow, K. (2014). *Bullying in Early Childhood*. NAEYC. Retrieved from <https://www.naeyc.org/resources/blog/bullying-early-childhood>

Son, E., Parish, S. L., & Peterson, N. A. (2012). *National prevalence of peer victimization among young children with disabilities in the United States*. *Children and Youth Services Review*, 34(8), 1540-1545.

Storey, K., Slady R. (2013). *Eyes on bullying in early childhood*, Waltham, MA: Education development center;

Storey, K., & Slaby, R. (2013). *Eyes on bullying in early childhood*.

Swearer M.S., Espelage L.D., Napolitano A.S. (2009). *Bullying prevention and intervention*, New York, NY: A division of Guilford publishing;

Twemlow W.S., Sacco C.F. (2012). *Preventing bullying and school violence*, Arlington, VA: American psychiatric publishing;

United Nations Children's Fund. (2007). *Implementation handbook for the Convention on the rights of the Child*, მოპოვებულია https://www.unicef.org/ecuador/Implementation_Handbook_for_the_Convention_on_the_Rights_of_the_Child.pdf;

Vlachou, M., Andreou, E., Botsoglou, K., & Didaskalou, E. (2011). *Bully/victim problems among preschool children: A review of current research evidence*. *Educational Psychology Review*, 23(3), 329.

Vlachou, M., Botsoglou, K., & Andreou, E. (2013). *Assessing bully/victim problems in preschool children: A multimethod approach*. *Journal of criminology*.

Zajac, K., & Kobak, R. (2006). *Attachment*. In G. G. Bear & K. M. Minke (Eds.), *Children's needs III: Development, prevention, and intervention* (pp. 379-389). Washington, DC, US: National Association of School Psychologists,;

Ainsworth, M. D. S., Bell, S. M., & Stayton, D. F. (1974). *Infant-mother attachment and social development: Socialization as a product of reciprocal responsiveness to signals*. In M. P. M. Richards (Ed.), *The integration of a child into a social world* (pp. 99-135). New York, NY, US: Cambridge University Press.

Beane L.A. (2008). *Protect you child from bullying*, San Francisco, CA: Jossey-bass;

Bradshaw P.C. (2015). *Translating research to practice in bullying prevention*, *American Psychologist*, Vol 70, No. 4, 322-332;

Bronfenbrenner, U. (1979). *The ecology of human development*. Harvard university press.

Cassidy and Shaver (2008). *Handbook of attachment: Theory, research, and clinical applications*;

Cate D., Diefendorf M., McCullough K., Peters M., Whaley K. (2010), *Quality Indicators of Inclusive Early Childhood Program/Practices, A Compilation of Selected Resources*. Chapel Hill: The University of North Carolina, FPG Child Development Institute, National Early Childhood Technical Assistance Center.

Center on the Developing Child at Harvard University (n.d.). *Resilience*. Retrieved from <https://developingchild.harvard.edu/science/key-concepts/resilience/>

Cicchetti, D. (2013). *Annual research review: Resilient functioning in maltreated children—past, present, and future perspectives*. *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 54, 402–422.

Committee on the rights of the child. (2001). *General comment No. 1 The aims of Education*;

Committee on the rights of the child. (2003). *General comment No. 5*